საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№02 (520)
22 - 28 იანვარი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




ირგვლივ უპატრონო ადამიანებიც არიან და მათაც სჭირდებათ თბილი საკვები, თავზე ხელის გადასმა და მოფერება **10**

## «ენ-დი-აი»-ს გამოკითხვებში ყველაფერი ზუსტად ისეთი «გათვლით» არის აწყობილი, გიგა ბოკერიასა და მის გუნდს რომ აძლევთ ხელს

კვლევებიდან ისე ჩანს, თითქოს პატრიარქზე მეტად ხალხი ელენე ხოშტარიას ენდობა **2**

თვალშისაცემია ლორა ტორნტონზე ბოკერიების ოჯახში ჩერგოლეიშვილის ხელით მირთმეული ძვირფასი კონიაკის გავლენა



**9** ცხვრის ტყავში გახვეული ტურა, ვაზელინის დეფიციტი და ჰეი, ვოვა, როდის გაიყვან საქართველოდან ჯარს?!





ვაჟა ოთარაშვილი:

მატერიალიზმის ჭაობში ჩაძირული ხატმებრძოლების ხროვა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ვერ დაანგრევს **8**

# რა გვჭირს, რა გვეშველება?!



**3** ნანა კაკაბაძე:

## საქართველო, უწინარესად, უნდა გამოვიდეს დასავლეთის მონური მორჩილებიდან!

«ყველა ცივილიზებულ, სუვერენულ სახელმწიფოში კონსტიტუცია უპირატესია ნებისმიერ საერთაშორისო დოკუმენტზე»



**4** ირაკლი გოგავა:

## ჩვენ მოთმინებით ვუსმენთ ყალბ ლიბერალურ დოქტრინებს და ვემსახურებით ყველას ინტერესებს, გარდა საკუთარისა

«ახალი, ხალხის ინტერესებისთვის მოღვაწე პოლიტიკური ჯგუფების აღმოცენება იბლოკება»



**6** თამარ კიკნაძე:

## კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა, სწორი არ იყო

«რუსეთის მიმართ დესტრუქციული პოლიტიკა ძალიან დიდი შეცდომა იყო ყველასთვის»

როდის ვისწავლით საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვასა და სხვისი მითითებების გარეშე ცხოვრებას? **7**



## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნაცვლად რეალური პრობლემებისა, ნაცვლად ხალხის გასაჭირზე მსჯელობისა, ნაცვლად იმისა, რომ ვინმემ პასუხი მოსთხოვოს ამ მართლაც უნიათო ხელისუფლებას იმ ურთულესი ვითარების გამო, რომელიც ქვეყანაშია, ყურადღება გადადის იმაზე, კახა კალაძე უფრო დადებითი იმიჯით სარგებლობს თუ ბიძინა ივანიშვილი. დავით ბაქარაძეს უფრო ენდობა საქართველოს მოსახლეობა თუ გიორგი გახარიას; ირაკლი ღარიბაშვილი უფრო კოლორიტული პერსონაა თუ ზვიად კუპრავა; ნინო ბურჯანაძე უფრო ქალია თუ ელენე ხოშტარია უფრო კაცია და სხვა მსგავსი სულელური თემები იწევს წინ.**

# «ენ-დი-აი»-ს გამოკითხვებში ყველაფერი ზუსტად ისეთი «გათვლით» არის აწყობილი, გიგა ბოკერიასა და მის გუნდს რომ აძლევთ ხელს

**ქართული პოლიტიკური ველი კიდევ ერთხელ შეძრა ნაცნობმა ქარიშხალმა სახელად „ენ-დი-აი“. მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, იაპონიაში, ავსტრალიაში მიღებულია ქარიშხლების, შტორმების, ცუნამებისა და სხვა სტიქიური უბედურებისთვის სახელის დარქმევა. გვსმენია ქარიშხალ „ალისაზე“, შტორმ „ბილზე“, ცუნამ „მარგარიტაზე“ და ა.შ., რომლებმაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა დოზით დააზიანა ჩამოთვლილი ქვეყნების საოკეანო სანაპიროები. აი, ჩვენში კი სულაც არ არის ახალ-ახალი სახელების მოფიქრება აუცილებელი — ერთადერთ „ცუნამს“, რომელიც თავს დაგვატყდება ხოლმე ლამის ყოველ ორ თვეში ერთხელ, სახელად სწორედ „ენ-დი-აი“ ჰქვია და, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ წინასწარ ვიცით, რა შედეგებსაც მოგვიტანს, იგი მაინც მძლავრად და კარგა ხნით აფორიაქებს ქართველ საზოგადოებას. მართალია, არსებობს მეორე სტიქიური უბედურებაც — „აი-არ-აი“ (ხალხი რომ „მოფერებით“ „აი-რა-ის“ უწოდებს), მაგრამ ეგ „ენ-დი-აი“-ს ცუნამთან შედარებით მხოლოდ მცირე ზომის გრიგალია და მეტი არაფერი.**

„ენ-დი-აი“-ს მიერ ატეხილი ქარიშხალი, შტორმი და ცუნამი ერთად სულ სხვა განზომილებისაა, თუმცა ამ სტატიის მიზანი „ენ-დი-აი“-სა და მისი „გამოკვლევების“ კრიტიკა იმდენად არ არის, რამდენადაც, უბრალოდ, გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების ვითომდა აღშფოთებას „ენ-დი-აის“ ამ სრულიად იდიოტურ გამოკითხვათა მიმართ, სინამდვილეში კი მათ არც ისე უკმაყოფილო სახეებსა და რეალურ ქმედებებს.

თუ კარგად დავუფიქრდებით, „ენ-დი-აი“-ს ეს სამარცხვინო გამოხდომები ყველაზე მეტად სწორედ „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხელს და მოდი, გულახდილად ვთქვათ რატომაც: **ნაცვლად რეალური პრობლემებისა, ნაცვლად ხალხის გასაჭირზე მსჯელობისა, ნაცვლად იმისა, რომ ვინმემ პასუხი მოსთხოვოს ამ მართლაც უნიათო ხელისუფლებას იმ ურთულესი ვითარების გამო, რომელიც ქვეყანაშია, ყურადღება გადადის იმაზე, კახა კალაძე უფრო დადებითი იმიჯით სარგებლობს თუ ბიძინა ივანიშვილი. დავით ბაქარაძეს უფრო ენდობა საქართველოს მოსახლეობა თუ გიორგი გახარიას; ირაკლი ღარიბაშვილი უფრო კოლორიტული პერსონაა თუ ზვიად კუპრავა; ნინო ბურჯანაძე უფრო ქალია თუ ელენე ხოშტარია უფრო კაცია და სხვა მსგავსი სულელური თემები იწევს წინ.**

„ენ-დი-აი“-ს ბოლო გამოკითხვის ერთგვარი „სპოილერი“ სწორედ **კახა კალაძე** იყო და მოდით, ნუ დავუკარგავთ მათ ამ ღვაწლს. კახა კალაძის თემა აშკარად განგებ არის ჩადებული ამ გამოკვლევაში და „კალას“ უსაზღვროდ გაზრდილი რეიტინგი, ექსპერტების აზრით, ერთგვარი შეშფოთების საფუძველს უნდა აძლევდეს პირადად **ბიძინა ივანიშვილსაც** და, როგორც ამბობენ, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებსაც, რომლებსაც ან ახლა უჭირავთ მაღალი თანამდებობა, ან სამომავლოდ აპირებენ თბილი სკამების დაკავებას.

„კალას“ პერსონა, როგორც ამბობენ, საფრთხეს ქმნის. იმასაც ამტკიცებენ მავანნი, რომ „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში საკმაოდ ააკან**კალა**, როდესაც დედაქალაქის მერის რეიტინგის ასეთი მატების შესახებ შეიტყო...

ეს რეალობაა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „ენ-დი-აი“-ს ამჯერად ძალიან საეჭვოდ შეუყვარდა **დავით ბაქარაძე** და კახა კალაძე. მთელი კვლევა მიმართულია იქით, რომ, უბრალოდ, ძალიან არ დაწყვიტონ გული ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს, თორემ ისე, კვლევის მთავარი გმირები სწორედ ბაქრაძე და კალაძე გახლავან.

სულაც არ არის გამორიცხული, რომ კახა კალაძეს გარკვეული თანხაც ჰქონდეს გადახდილი მისი სახელისა და გვარის „ენ-დი-აი“-ს კვლევებში ამოსატივტივებლად.

ან ვინმე სხვას აქვს **ლორა ტორნტონის** (ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ოჯახური წყვილის ახლო მეგობარი და „ენ-დი-აი“-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელი) გული და ჯიბე მოგებული საიმისოდ, რომ ბიძინა ივანიშვილსა და მის ერთ-ერთ ყველაზე მყარ დასაყრდენ კალაძეს შორის შავ კატას გაარბენინოს?

ცნობილია, უხსოვარი დროიდან მბრძანებლები ყოველთვის მეტად მტკივნეულად განიცდიდნენ ხოლმე რომელიმე ვეზირის მეტისმეტად აღზევებასა და ხალხის თვალში მისი ავტორიტეტის გაზრდას. მოგეხსენებათ, არც ბიძინა განსხვავდება დიდად „აღმოსავლეთის მბრძანებლების“ ტიპაჟისგან და იქნებ, ვიღაცას იმედი აქვს, თუკი მას შეუქმნის განცდას, რომ „კალას“ ავტორიტეტი განუზომლად იზრდება, ეს აუცილებლად გამოიწვევს „მბრძანებლის“ მხრიდან შესაბამის რეაქციას. აკი, არაერთხელ დაგორებულა „ბრწყინვალე ვეზირთა“ თავები ამა თუ იმ შაჰის კარზე სწორედ ერთადერთი მიზეზით — შაჰი შურითა და მრისხანებით ალავსო ვაზირის მზარდმა გავლენამ და ავტორიტეტმა.

საბოლოოდ, მართლა აакан**კალა** თუ არა ბიძინას „ენ-დი-აი“-ს კვლევების გაცნობის გამო, ეს მალე გამოჩნდება. მინიმალური შედეგი, რომელიც მმართველ გუნდს ამ კვლევებმა მოუტანა, არის სწორედ ის, რომ ყველა ტელევიზიისა და საინფორმაციო საშუალების განხილვის უმთავრესი საგანი, მთელი კვირაა, სწორედ „ენდიაი“-ს კვლევები და მისი საოცარი შედეგებია.

საოცარია ისიც, რომ, ამ კვლევების მიხედვით, მკვეთრად დაეცა საპატრიარქოსა და პირადად პატრიარქის რეიტინგიც — კვლევებიდან ისე ჩანს, თითქოს პატრიარქზე მეტად ხალხი **ელენე ხოშტარიასაც** კი ენდობა და პატივს სცემს.

ხატოვნად შეგვიძლია ვთქვათ: თვალშისაცემია ლორა ტორნტონზე ბოკერიების ოჯახში ჩერგოლეიშვილის ხელით მირთმეული ძვირფასი კონიაკის გავლენა.

„ენ-დი-აი“-ს გამოკითხვებში ყველაფერი ზუსტად ისეთი „გათვლით“ არის აწყობილი, როგორიც ყველაზე მეტად სწორედ გიგა ბოკერიასა და მის გუნდს აძლევთ ხელს:

**1. კახა კალაძის ავტორიტეტის „საშიშად“ წარმოჩენა, რამაც, მათი ვარაუდით, ბიძინა-კალას სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტი უნდა გამოიწვიოს;**

**2. პატრიარქისა და საპატრიარქოს „დაკნინებულ“ ორგანიზაციად ჩვენება, ანუ პრევენცია საიმისოდ, რომ ხალხმა აღარ ისურვოს საპატრიარქოს დაძახილზე ქუჩაში გამოსვლა;**

**3. დავით ბაქრაძისა და მისი სახით პარტია „ევროპული საქართველოს“ წონიან პოლიტიკურ ორგანიზაციად წარმოჩენა.**

აქ ე.წ. ორმაგი მიზნებიც შეგვიძლია დავინახოთ — დიდი ხანია, ისედაც საუბრობენ, რომ „ევროპულ საქართველოს“ პრეტენზია აქვს, ჩაანაცვლოს „ნაციონალური მოძრაობა“ და 2020-ის არჩევნების შემდეგ საქართველოს მოევლინოს „მეორე პოლიტიკურ ძალად“, ანუ ე.წ. მთავარ ოპოზიციურ ძალად. არცთუ უსაფუძვლოდ, იმასაც ამბობენ, რომ გიგა ბოკერიას ამ თემაზე „დაკერილი“ ჰყავს თვითონ ბიძინა ივანიშვილი და ყოველივე სწორედ მათი ფარული შეთანხმებით ხდება. სხვათა შორის, თუ ამ თვალით და ამ ჭრილიდან შევხედავთ „ენ-დი-აი“-ს ბოლო კვლევებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი ნათელია და მართლაც ზუსტად თავის ადგილზეა.

მათ შორის კალაძის თემაც — აკი, თუკი კალაძემ დააპირა „ქართული ოცნებიდან“ გასვლა და ცალკე პოლიტიკური პარტიის შექმნა, მას მართლა ყველაზე დიდი შანსი აქვს, კონკურენცია გაუწიოს გიგა ბოკერიასა და მის „ევროპულ საქართველოს“. კახა კალაძეს, დღევანდელი მდგომარეობით, მართლაც ექნება პოტენცია, ჩამოაყალიბოს „მთავარი ოპოზიციური ძალა“, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, მატერიალურადაც მყარად იდგება ფეხზე, და მოიპოვოს ადგილების სოლიდური რაოდენობა 2020-ის ფორმაციის პარლამენტში.

აქვე ისიც აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კალაძე ძალიან ფრთხილობს...

სამაგიეროდ, არ ფრთხილობს და თავის სათქმელს, როგორც ყოველთვის, პირდაპირ და ხმამაღლა ამბობს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, კერძოდ, **ირმა ინაშვილი.**

აქამდე არ გვიხსნებია და მოდი, ესეც ვთქვათ: „ლორას კვლევებში“ ირმას მოკრძალებულად ხსენება, უფრო ხშირად კი – საერთოდ არხსენება, ბოკერია-ივანიშვილის „რასკლადის“ გააზრებით, ყველაზე მარტივად აიხსნება. კერძოდ, **ბოკერიას სურს, კალაძით დააშინოს ივანიშვილი, პარალელურად დაანახვოს, როგორი რეიტინგულია ბაქრაძე, მაგრამ ვერ ხვდება, რა მოუხერხოს ინაშვილს, რომელიც რეალურად მართლაც არის რეიტინგული პოლიტიკოსი, ამიტომ „აქრობს“ მას „ლორას კვლევებიდან“, თითქოს არც „პატრიოტთა ალიანსი“ და არც ირმა ინაშვილი არ არსებობენ...**

სხვანაირად წარმოუდგენელია, აიხსნას ფაქტი, რატომ არის „ენ-დი-აი“-სთვის საინტერესო ვინმე ელენე ხოშტარიას პიროვნება, რომელიც კვლევების ოთხ თუ ხუთ სხვადასხვა გამოკითხვაშია ნახსენები, და რატომ არ იწვევს ინტერესს პარლამენტის თავმჯდომარის მოქმედი მოადგილის რეიტინგები თუნდაც პოპულარობის, თუნდაც ნდობის ან სხვა მიმართულების გამოკითხვებში.

საბოლოოდ, თუკი ყოველივეს კარგად „დავალაგებთ“, ნათელი გახდება, რომ **„ენ-დი-აი“-ს კვლევების გარშემო ატეხილი ხმაური სინამდვილეში მხოლოდ სხვა თემების გადასაფარავად დადგმული სპექტაკლია. ისევე, როგორც, ძალიან საეჭვოა ბოლო დღეებში გიორგი გახარიას პრემიერმინისტრის პოსტიდან გადაყენების (ან თუნდაც გადადგომის) შესახებ გააქტიურებული საუბრები მედიაში. პირდაპირ რომ ვთქვათ, ხელისუფლებას არ ელევა საკუთარი თავის ვითომდა „საწინააღმდეგო“ თემები, რომლებითაც ეფექტიანად იფარება ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც რეალურად მიუთითებს „ქართული ოცნების“ მთავრობის, ასე ვთქვათ, „მოფამფალებაზე“ და იმაზე, რომ ქვეყანა მართლაც კატასტროფის პირას არის.**

ივანიშვილი და კომპანია დიდი მონდომებით ცდილობენ, არ მისცენ საზოგადოებას საშუალება ამ კატასტროფის დანახვისა და გააზრებისა. თუმცა, მეტი კატასტროფა რაღა გინდათ, როდესაც ბიძინა ივანიშვილთან ერთად, კატასტროფის გადაფარვაზე ხმაშეწყობილად მუშაობს სისხლიანი ცხრა წლის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გიგა ბოკერია?!



თამარ ჩერგოლეიშვილი და ლორა ტორნტონი

**კვლევების მიხედვით, მკვეთრად დაეცა საპატრიარქოსა და პირადად პატრიარქის რეიტინგი – კვლევებიდან ისე ჩანს, თითქოს პატრიარქზე მეტად ხალხი ელენე ხოშტარიასაც კი ენდობა და პატივს სცემს. ხატოვნად შეგვიძლია ვთქვათ: თვალშისაცემია ლორა ტორნტონზე ბოკერიების ოჯახში ჩერგოლეიშვილის ხელით მირთმეული ძვირფასი კონიაკის გავლენა**



კახა კალაძე

„ჩვენზე მცირერიცხოვანი ერებიც არსებობენ, ჩვენზე ნაკლები რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე, მაგრამ ჩვენზე უფრო დამოუკიდებლები არიან... უბრალოდ, მათ ჰყავთ ხელისუფლება, რომელსაც მეტი სინდისი და სახელმწიფოებრივი აზროვნება გააჩნია. არაფერს ვამბობ ღირსებასა და თავმოყვარეობაზე“.

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნანა კაკაბაძე: საქართველოს, უწინარესად, სჭირდება გამოსვლა დასავლეთის მონური, კოლონიური მორჩილებიდან!

**15 იანვარს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალური საკრებულოსადმი ყოველწლიურ მიმართვაში მის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ, აღნიშნული ცვლილებების თანახმად, რუსეთის სამართლებრივ სივრცეში უპირატესობა ქვეყნის კონსტიტუციას უნდა მიენიჭოს. მისი თქმით, ახალ ჩანაწერში, რომელიც ქვეყნის ძლიერებისა და სტაბილურობის გარანტი იქნება, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს შეუძლია, დარჩეს რუსეთად მხოლოდ როგორც სუვერენული სახელმწიფო: „ეს ნიშნავს შემდეგს: საერთაშორისო კანონმდებლობისა და შეთანხმებების, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანოების მოთხოვნების მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც მათ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა არ მოსდევს და არ ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას...“**

პუტინის განმარტებით, მსგავსი საკანონმდებლო ცვლილები რუსეთს, უკვე დიდი ხანია, სჭირდება, თუმცა რიგი პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით ეს ცვლილებები დღეს განსაკუთრებით საჭიროა... საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვლადიმერ პუტინის ინიციატივით გამოსვლის შემდეგ შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა წინადადებათა პაკეტი უკვე წარუდგინა სახელმწიფო სათათბიროს.

**რას ნიშნავს ვლადიმერ პუტინის ინიციატივა ქვეყნის კონსტიტუციის უპირატესობაზე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიმართ და სჭირდება თუ არა საქართველოსაც მსგავსი საკონსტიტუციო ცვლილება? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ვლადიმერ პუტინის განცხადებას, რომ რუსეთში ქვეყნის კონსტიტუცია უნდა იყოს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა თუ შეთანხმებებზე მნიშვნელოვანი, ლიბერალური ისტებლიშმენტის მხრიდან კიდევ ერთი ისტერიკული შეშფოშება-აღშფოთება მოჰყვა. ბევრი ითქვა და დაიწერა იმის თაობაზე, რომ ამ ცვლილებით რუსეთი კიდევ უფრო შორდება ცივილიზებულ მსოფლიოს. თქვენ, როგორც ადვოკატი და უფლებადამცველი, როგორ ფიქრობთ, მიზანშეწონილია დღეს რომელიმე ქვეყნისთვის მსგავსი ცვლილება?**

— დავიწყოთ იმით, რომ ვლადიმერ პუტინს არ უთქვამს არაფერი ახალი და რაც საერთაშორისო სამართლებრივმა პრაქტიკამ არ იცის. ყველა სუვერენულ სახელმწიფოში კონსტიტუცია უპირატესია ნებისმიერ საერთაშორისო დოკუმენტზე, თუმცა საერთაშორისო ნორმებიც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და თავისთავად არ არის სასურველი, როცა ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუცია უხეშად ეწინააღმდეგება მათ (ან პირიქით. რედ.).

პუტინის განცხადებას რაც შეეხება, არ მგონია, რომ რუსეთი ამ შემთხვევაში გადიოდეს საერთაშორისო სამართლებრივი სივრციდან და უხეშად ილაშქრებდეს მის წინააღმდეგ. უბრალოდ, ეს ხაზგასმა კონსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე იყო ერთგვარი პოლიტიკური გზავნილი, რომ კრემლი პრინციპულია თავის კურსში და არანაირი საერთაშორისო კონიუქტურის გამო ის ამ თვალსაზრისით კომპრომისზე არ წავა. სხვა დანარჩენი, ვფიქრობ, არაფერი განსაკუთრებული და, მით უმეტეს, საგანგაშო ამ განცხადებაში არ არის. რუსეთის გარდა გერმანიაშიც, საფრანგეთშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, დიდ ბრიტანეთშიც და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში საკუთარი კონსტიტუცია უპირატესია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე.

**— მაშინ რატომ გამოიწვია პუტინის განცხადებამ დასავლეთის გარკვეულ წრეებსა და საქართველოშიც ერთგვარი განგაში?**

— ესეც, ალბათ, არის ნაწილი პოლიტიკური რიტორიკისა, რომელიც პროცესის დისკრედიტაციაზე უფროა გათვლილი. კიდევ ვიმეორებ: ვერავინ ვერანაირი არგუმენტებით ვერ ახსნის, რატომ არის საგანგაშო, თუკი ამა თუ იმ სუვერენულ სახელმწიფოში მისი კონსტიტუციის უპირატესობა დადგინდება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე. საქართველოში ვინ ატეხა ამაზე განგაში, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყველაფერზე ხმაური და ყველაფრის რაღაც პოლიტიკური სპეკულაციების საგნად გადაქცევა კომიკურად გამოიყურება. **საკუთარ თავს მივხედოთ და ჩვენს სამართლებრივ სივრცეს. საქართველოს არავინ არ ეკითხება, რა ცვლილებებს მიიღებენ ზესახელმწიფოები და რა კორექტივებს შეიტანენ თავიანთ კონსტიტუციებში...**

**— საქართველოს თუ სჭირდება მეტი კონსტიტუციური დამოუკიდებლობა? რეალური სამართლებრივი დამოუკიდებლობა მაქვს მხედველობაში, თორემ ფორმალურად, ქაღალდზე ისედაც გვიწერია, რომ საქართველოში საქართველოს კონსტიტუციაა მთავარი სამართლებრივი დოკუმენტი.**

— საქართველოს, უწინარესად, სჭირდება გამოსვლა დასავლეთის მონური, კოლონიური მორჩილებიდან, რომელიც ყველაფრის შემაფერხებელი და დამამუხრუჭებელია. ამ მონური მორჩილების შედეგია ის, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, პარალიზებულია პოლიტიკური სისტემა, პარალიზებულია ჯანსაღი პროცესები და არ ხდება არაფერი... სხვათა შორის, ეს თანდაყოლილი მონობა და მმართველი ელიტის მიერ კოლონიად ყოფნით ტკბობა მთავარი მიზეზია იმისა, რომ დღეს ქვეყანაში, პრაქტიკულად, არ არსებობს სამართალი — არ არსებობს განცდა კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო დამნაშავეები, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყანას ანგრევდნენ, ისევ სახელმწიფო სტრუქტურებში არიან წარმოდგენილნი.

**— დღევანდელი ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი წინა რეჟიმის ხალხია. თქვენი აზრით, ამ ადამიანების ხელშეუხებლობა გარედანაა ნაკარნახევი?**

— შეთქმულების თეორიების მოყვარული არ ვარ და არ მგონია, რომ მათ ასე პირდაპირ, თითის ქნევით ეუბნება ვინმე, — დამნაშავეები არ დასაჯოთო. ეს, უბრალოდ, მათი კომპლექსი და მონური ფსიქოლოგიაა, რომ, არიქა, დემოკრატიული დასავლეთი რას იტყვისო... ვერავინ ვერაფერსაც ვერ იტყვის. ან რა ლაპარაკი უნდა იმას, რომ **ბოკერია** დამნაშავეა და **უგულავა** და ძმანი მისნი სასჯელს უნდა იხდიდნენ?! **რაც შეეხება ჩვენს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ დამოუკიდებლობას, ჩვენს მთავარ სამართლებრივ დოკუმენტში შავით თეთრზე გვიწერია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, სამართლებრივი სახელმწიფო, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას აქვს საკუთარი გზის, საკუთარი მომავლის განსაზღვრის უფლება. ახლა ის ფაქტი, რომ ხელისუფლება თვალებში შესციცინებს დასავლეთს და ამერიკის ელჩთან შეუთანხმებლად მინისტრებს ბრიფინგი ვერ გაუმართავთ, კანონის თუ კონსტიტუციის პრობლემა არ არის. ეს არის პოლიტიკური პრობლემა, რომელიც ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, რომ ისინი ამ კომპლექსიდან ოდესმე გამოვლენ.**

**— როგორ ფიქრობთ, რა უშლით მათ ხელს რეალურად? რა არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი კონსტიტუცია და კანონი დასავლეთის ნებაზეა დამოკიდებული?**

— ვფიქრობ, ამ მონური მორჩილების უმთავრესი მიზეზი არის სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი. როდესაც ხელისუფლებაში მყოფ ადამიანს თუ ადამიანების ჯგუფს სახელმწიფოებრივი აზროვნება არ აქვს და ყველაფერი ერთპარტიულ დონეზეა დაყვანილი, იქ, რა თქმა უნდა, მთავარი ამოსავალი წერტილი პიროვნული კეთილდღეობაა. საერთოდ, ასეთი ხელისუფლება მუდმივად ორიენტირებულია უპრინციპობაზე, იმიტომ, რომ მყარი სახელმწიფოებრივი პრინციპები მას ყოველთვის დააყენებს სირთულის წინაშე.

**— რა თვალსაზრისით?**

— იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი სახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულება მარტო შენი ძალებით მოგიწევს. თუმცა, თუ შენ პრინციპები არ გაქვს და მზად ხარ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, უსიტყვოდ მიიღო ყველა დირექტივა, რომლებსაც გარედან გიკარნახებენ, ცხადია, ყველაფერი მზამზარეული გაქვს და საფიქრალ-სადარდებელი არაფერია. აი, ზუსტად ეს კომფორტია, ჩემი აზრით, მთავარი ხიბლი, რომელიც საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დასავლეთის მონურ მორჩილებაში ამყოფებს და არა ის, რომ თურმე აქ ვიღაცა ვიღაცას ემუქრება. არ არის ნამდვილად ასე. **ჩვენზე მცირერიცხოვანი ერებიც არსებობენ, ჩვენზე ნაკლები რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე, მაგრამ ჩვენზე უფრო დამოუკიდებლები არიან... უბრალოდ, მათ ჰყავთ ხელისუფლება, რომელსაც მეტი სინდისი და სახელმწიფოებრივი აზროვნება გააჩნია. არაფერს აღარ ვამბობ ღირსებასა და თავმოყვარეობაზე...**

**— რას იტყვით იმ ანგარიშებსა და მწვავე შეფასებებზე, რომლებსაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აკეთებდა, როცა, მაგალითად, მერაბიშვილის წინააღმდეგ აღიძრა საქმე ან იგივე კეზერაშვილსა და ადეიშვილზე. შეიძლება, ეს ზეწოლად შეფასდეს?**

— ამერიკისა და მთლიანად დასავლეთის პოლიტიკურ სისტემაში ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელიც სუბიექტურად შეაფასებენ ამა თუ იმ მოვლენას, მაგრამ ეს ხომ არ უნდა იყოს ხელისუფლებისთვის სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი? მაშინ რად გვინდა ან პრეზიდენტი, ან პარლამენტი და სასამართლო? დაველოდოთ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებს და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ (ფაქტიურად ასეცაა სინამდვილეში. რედ.). აი, ეს არის ზუსტად მონობა და კოლონიალიზმი, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, გამჯდარი აქვს ხელისუფლებას. ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, როგორც ჩანს, ერთი რამ ავიწყდებათ — ხელისუფლების წყარო ხალხია და ხალხი ნამდვილად არ არის ამ სამარცხვინო მდგომარეობით კმაყოფილი...

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეიცვალოს?**

— პირველი და უმთავრესი — ძირეული პოლიტიკური ცვლილებები. ოღონდ ეს უნდა იყოს ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები და არა ისეთი, როგორიც აქამდე, — შემსრულებლების ჩანაცვლება შემსრულებლებით. ისე, აქ, ალბათ, უმნიშვნელოვანესი მომენტი თვითონ ხალხის ფაქტორიცაა და საზოგადოებაშიც არის მიდგომები სერიოზულად შესაცვლელი; პირველ რიგში, იმ კუთხით, რომ ბრმა არჩევანი არ კეთდებოდეს. არ შეიძლება, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას ვენდობოდეთ იმის მიხედვით, რამდენი ფული აქვს და როგორი მხარდაჭერა გააჩნია საერთაშორისო დონეზე. ერთიც და მეორეც ის პარამეტრებია, რომლებსაც ასი პროცენტით აკმაყოფილებდა ბოლო ორი ხელისუფლება, მაგრამ, რაც მოგვიტანეს ამ წლების განმავლობაში, ყველა ვხედავთ.

**«ყველა ცივილიზებულ, სუვერენულ სახელმწიფოში კონსტიტუცია უპირატესია ნებისმიერ საერთაშორისო დოკუმენტზე»**

**«ჩვენს მთავარ სამართლებრივ დოკუმენტში შავით თეთრზე გვიწერია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, სამართლებრივი სახელმწიფო. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას აქვს საკუთარი გზის, საკუთარი მომავლის განსაზღვრის უფლება. ახლა ის ფაქტი, რომ ხელისუფლება თვალებში შესციცინებს დასავლეთს და ამერიკის ელჩთან შეუთანხმებლად მინისტრებს ბრიფინგი ვერ გაუმართავთ, კანონის თუ კონსტიტუციის პრობლემა არ არის. ეს არის პოლიტიკური პრობლემა, რომელიც ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, რომ ისინი ამ კომპლექსიდან ოდესმე გამოვლენ»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

რა გვჭირს, რა გვეშველება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოსახლეობის 85 პროცენტი ინფორმაციას ტელევიზიით იღებს, ტელევიზიებს კი პარტიები ფლობენ. მსჯელობა არ მიდის ქვეყნის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე; არ ვსაუბრობთ ეკონომიკაზე, სამუშაო ადგილებზე, სიღარიბის დაძლევაზე, განათლების დონის ამაღლებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მთავარი თემა თურმე ის ყოფილა, როგორი წესით შევლენ პარლამენტში პოლიტიკოსები“.**

ირაკლი გოგავა:

# ახალი, ხალხის ინტერესებისთვის მოღვაწე პოლიტიკური ჯგუფების აღმოცენება იბლოკება

ირაკლი გოგავა — საერთაშორისო ურთიერთობების მცოდნე, პოლიტოლოგი. იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე. გაიარა სტაჟირება საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, ირლანდიისა და შვედეთის პარლამენტებში. ექსპერტის რანგში თანამშრომლობდა საერთაშორისო საკომუნიკაციო კორპორაციებთან. ფლობს ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და უკრაინულ ენებს.

**საქართველოს საზოგადოებრიობაში მორიგი გაურკვევლობაა, როგორი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ჩამოყალიბდა ქვეყანაში? განვითარების ზუსტი ორიენტირები ლოზუნგებმა შეცვალა, საპროტესტო აქციებმა — საზოგადოებრივი შემოქმედებითი აქტივობა, კეთილდღეობის სუფევა ჰორიზონტის მიუღწევლობასავით გვცილდება. მკითხველი კომპეტენტურ შეფასებას ითხოვს, განათლებული ავტორების დასკვნებს ელოდება. ჩვენც გთავაზობთ.**
**გაზეთის სტუმარია ბატონი ირაკლი გოგავა.**

**— საქართველო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ: იმედიანი მომავალი თუ არმაგედონის მოლოდინი?**

— წლებია, ვაკვირდებით საქართველოში ხელოვნურად შექმნილ ვირტუალურ პოლიტიკურ სისტემას. მდიდარი და რეიტინგული ტელევიზიების მეშვეობით ხელოვნურად ხდება „საჭირო“ პოლიტიკური ფიგურებისა და „საჭირო“ თემების საზოგადოებისთვის თავს მოხვევა. ამ ტექნოლოგიით, როცა თემატიკა და რესპონდენტები ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე კი არ შეირჩევა, არამედ ფულიანი ლიდერების გარშემო შეკრებილი ადამიანების დაკვეთით, ბუნებრივი, საზოგადოებრივი კანონზომიერებებით ახალი ძალების წარმოშობა იბლოკება. მედიაში გამოჩენის სიხშირით რეგულირდება ამა თუ იმ პოლიტიკური ფიგურის რეიტინგი. ინტერნეტგამოცემები, პრესა, სოციალური ქსელები შედარებით თავისუფალია, მაგრამ ფაქტია, რომ **მოსახლეობის 85 პროცენტი ინფორმაციას ტელევიზიით იღებს. ტელევიზიებს კი პარტიები ფლობენ. მსჯელობა არ მიდის ქვეყნის უაქტუალურეს პრობლემებზე, არ ვსაუბრობთ ეკონომიკაზე, სამუშაო ადგილებზე, სიღარიბის დაძლევაზე, განათლების დონის ამაღლებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მთავარი თემა თურმე ის ყოფილა, როგორი წესით შევლენ პარლამენტში პოლიტიკოსები.** შედეგად პოლიტიკური პარტიები სულ უფრო ნაკლებ ნდობას იმსახურებენ ხალხისგან და ეს სურათი კვლევებშიც არის ასახული.

**2020 წელს „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ამის მცდელობა თვითონვე დაადასტურეს 20 ივნისის მოვლენების დროს, რადგან არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის თეორიული შანსი აღარ დარჩათ.** თვით „ენ-დი-აი“-ს ივლისის კვლევითაც კი მათი რეიტინგი 9 პროცენტია. ხალხს ვერ უყრიან თავს. თუ ხელისუფლებამ განგებ არ დაუთმო, რევანშის შანსი, პრაქტიკულად, არ აქვთ. უკვე გაშიფრული ძალაა. ხალხს კატეგორიულად არ სურს დიქტატურასა და ტერორში დაბრუნება.

**— პოლიტოლოგები გვარწმუნებენ, რომ საზოგადოებას აღარ სჯერა პოლიტიკური დაჯგუფებების. ასეა?**

— ხალხში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა ისტორიულ მინიმუმზეა. ამ ფონზე კი ჯიუტად ითხოვენ პროპორციულ, მხოლოდ პარტიულ არჩევნებს. პარტიული სიებით ვინც აირჩევა, მათგან 90 პროცენტს სამართლიანი მაჟორიტარული არჩევნების პირობებში საკანონმდებლო ორგანოში შესვლის შანსი არ აქვთ. ნახეთ პარლამენტის ვებგვერდზე დეპუტატების სიები და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ. რატომ ხდება ასე? ვფიქრობ, **იმიტომ, რომ ხელოვნურად შექმნილ ვირტუალურ და მკაცრად იზოლირებულ პოლიტიკურ ველში გვაცხოვრებენ, რის გამოც ბუნებრივი საზოგადოებრივი პროცესები და პოლიტიკური კანონზომიერებების მიხედვით ახალი, ხალხის ინტერესებისთვის მოღვაწე პოლიტიკური ჯგუფების აღმოცენება იბლოკება. ეს გამიზნულად კეთდება, რათა პროცესებზე გავლენა არ დაკარგონ. შედეგად ვიღებთ არა სახელმწიფოსა და ხალხისთვის მოღვაწე პოლიტიკოსებს, არამედ ხელოვნური, ვირტუალური პოლიტიკუმის ყალბ მონაწილეებს, რომელთა მთავარი მიზანი არ არის საზოგადოებრივი ინტერესი,** რადგან საზოგადოება არ წყვეტს მის ამგვარ პოლიტიკუმში ყოფნა-არყოფნის საკითხს.

ანალოგიური მდგომარეობაა სამოქალაქო სექტორშიც, რომელიც 90-იანი წლების შემდეგ თვისობრივად აღარ ვითარდება. 7-8 „დანიშნული“ და გულუხვად დაფინანსებული ორგანიზაციის გარდა, არავის ეძლევა შანსი, საზოგადოებრივი ინტერესების მსახური გახდეს. ასეთი რეალობა ბარიერია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის. სიყალბისა და გამრუდებული რეალობის მიღება ჩვენს განვითარებას არ წაადგება.

**— ვის დავეყრდნოთ? ძალაში რჩება დებულება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს მართავს ის, ვინც ფლობს ტელევიზიას? თუ სისტემური კრიზისის ეტაპზე ვიმყოფებით?**

— დღევანდელი სიტუაცია ავლენს იმ ხელოვნური სისტემის კრიზისს, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა. ხდება ლუსტრაცია პოლიტიკური მოთამაშეების, რომ-



**«ჩვენ გვჭირდება დეტალურად გაწერილი ეკონომიკის განვითარების გეგმა. საქართველოში 3600 სოფელი და 50 ქალაქია. საჭიროა თითოეული სოფლის, ქალაქის დეტალური გეგმის გაწერა, რომელშიც მითითებული იქნება, — სად რა საწარმო უნდა აშენდეს, რა ნედლეულზე იმუშავებს, რამდენი ადამიანი დასაქმდება, რამდენი ექნებათ ხელფასი, სად გაიყიდება პროდუქცია და ა.შ.»**

ელთა დიდი ნაწილი ძიძგილაობს ე.წ. „კარმუშკამდე“ მისასვლელად და იქ უკეთესი ადგილის დასაკავებლად. ქვეყნის ინტერესები განზეა გაწეული და თავის გამოჩენას ცდილობენ რადიკალური განცხადებებით. **ზოგიერთი მოითხოვს, რომ ამერიკული სამხედრო ბაზა გახსნან საქართველოში, ზოგიერთი ამბობს, რომ საქართველო სექსუალური უმცირესობების ქვეყანაა და ა.შ. ასეთი და მსგავსი განცხადებები ემსახურება იმას, რომ შეამჩნიონ ვაშინგტონში, ბრიუსელში, მოსკოვში და რამე ხეირი მიიღონ სანაცვლოდ. ეს არ არის სისტემური კრიზისი, ეს არის საქართველოს კვაზიპოლიტიკური სისტემის კრიზისი, განსაკუთრებით, ოპოზიციურ ნაწილში. ოპოზიცია კი უმეტესწილად დაჭაობებულია, რამდენიმე, შედარებით ახალი სუბიექტის გარდა. ეს ჭაობი უნდა გაიწმინდოს. ათწლეულებია, ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ ამ წრეში. ახალი სისხლია საჭირო.** ჩვენ კი ვხედავთ, რომ ამათ უკვე თავიანთი ოჯახის წევრებიც კი წარმოაჩინეს და ლამის საოჯახო ბიზნესად აქციეს ოპოზიციონერობა და პოლიტიკა.

მსოფლიოში ლიბერალური რადიკალიზმი დაღმასვლაზეა, ძლიერდება პატრიოტული პლატფორმა. ქართულ საზოგადოებაშიც არის ამის ნიშნები, მხოლოდ ჭკვიანური ორგანიზებაა საჭირო. ხელისუფლება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ახალი ძალების ჩამოყალიბებას საზოგადოების წიაღში, რადგან საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამ საზოგადოების გარდა სიმართლის მხარეს, შესაძლოა, არავინ არ დადგეს. ნებისმიერ ქვეყანაში ჯერ ოპოზიცია ირყვნება და შემდეგ — ხელისუფლება.

**— პიროვნების როლმა დღევანდელობის ჭრილში განიცადა ტრანსფორმაცია? მაჟორიტარ-პროპორციულობანას თამაშმა ხომ არ დააბნია ჩვენი საზოგადოება?**

— პარლამენტის არჩევის წესი საინტერესო საკითხია, თუმცა ქვეყნის მთავარი პრობლემა ნამდვილად არ არის. **2015 წელს სოროსის ფონდის სემინარიდან დაიწყო პროპორციული არჩევნების თემის რეკლამირება საქართველოში. ეს თემა უცხოეთიდან მოვიდა. მიზანი კი ის არის, რომ უფრო მეტი ისეთი ადამიანი შეუშვან პარლამენტში, რომლებიც მათთვის მისაღებ იდეოლოგიას იზიარებენ და ამავე დროს შანსი არ აქვთ მაჟორიტარულ არჩევნებში. ასიათასობით დოლარი დაიხარჯა პროპორციული არჩევის წესის პროპაგანდასა და მაჟორიტარული წესის დემონიზაციაზე.** ათეულობით სიუჟეტი გადასცეს ბოლო წლებში ლოზუნგით „მაჟორიტარი ფეოდალია“. სინამდვილეში კი მაჟორიტარების საერთო ხარისხი ყოველთვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე პარტიული სიით გასულების. ეს ყველას შეუძლია ნახოს პარლამენტის ვებგვერდზე სიებში და ეს ეხება თითქმის ყველა მოწვევის პარლამენტს. დღეს ამომრჩეველს ორი ხმა აქვს: ერთს აძლევს პარტიას, მეორეს — პიროვნებას. ამ ძალებს კი სურთ, რომ ერთი ხმა წაგვართვან და ჩვენს ნაცვლად პარტიის ლიდერებმა გადაწყვიტონ, ვინ უნდა შევიდეს პარლამენტში. ოპოზიციური პარტიების აბსოლუტურ უმრავლესობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ჰყავს ისეთი სახეები, რომლებიც მოიგებენ მაჟორიტარულ არჩევნებს. **ამერიკაში ყველა დონის არჩევნები 100 პროცენტით მაჟორიტარულია: პოლიციის უფროსი, პროკურორი, გუბერნატორი, კონგრესმენი, სენატორი, პრეზიდენტი — ყველას მაჟორიტარული წესით ირჩევენ. დიდად მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ მაჟორიტარული წესი, მომავალში კი საერთოდ გადავიდეთ ამერიკულ მოდელზე, ანუ სრულად მაჟორიტარულ არჩევნებზე. არჩეული ადამიანი პიროვნულად უნდა იყოს პასუხისმგებელი კონკრეტული ამომრჩევლის წინაშე.** ნახეთ ნაციონალების ძირითადი სახეები და შეეცადეთ, წარმოიდგინოთ, მათგან ვის აქვს შანსი, მოიგოს რომელიმე მაჟორიტარული ოლქი და მიხვდებით, რატომ ატეხეს ერთი ამბავი ამ საკითხზე.

**— ილია ჭავჭავაძის მეტაფორა ბაზალეთის ტბის ძირას დავანებულ ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმის შესახებ ლეგენდად რჩება?**

— ბუნებრივი პროცესები თუ არ შეიზღუდება, საზოგადოება თვითონ იპოვის ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმას. ეს კანონზომიერებაა, რომელიც ადრე თუ გვიან დადგება. **ჩვენი მდგომარეობა უკვე ძალიან კრიტიკულია, ჩვენი თანამემამულეების 50 პროცენტს სამუშაო არ აქვს და მოსახლეობა ქვეყნიდან გაედინება ამის გამო. გაერომ გადაშენების გზაზე მდგომ ერად გამოგვაცხადა, ჩვენ კი მოთმინებით ვუსმენთ ყალბ ლიბერალურ დოქტრინებს და ვემსახურებით ყველას ინტერესებს, გარდა საკუთარისა. ასეთია დღევანდელი დაჭაობებული პოლიტიკუმი საქართველოში, სამწუხაროდ.**

იმედი მაქვს, რომ საზოგადოების განათლებული ნაწილი უფრო გააქტიურდება: საუნივერსიტეტო წრეებს, მეცნიერებათა აკადემიას, კვლევით ინსტიტუტებს, შემოქმედებით ხალხს, ექიმებს, საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს უნდა დაეთმოს ტრიბუნა და მათ უნდა მოვუსმინოთ. ამ ხალხისგან უნდა დაკომპლექტდეს ქართული პოლიტიკუმი. ემიგრაციაშიც არის ბევრი ღირსეული ადამიანი.

**— არის საქართველოში ღირსეული პოლიტიკური ელიტა?**

— საქართველოში არიან მოაზროვნე ადამიანები, თუმცა ისინი ჩრდილში იმყოფებიან. რადგან, რასაც პოლიტიკოსები კადრულობენ, იმას ისინი ვერ იკადრებენ. მათ არც აჩენს „წამყვანი“ მედია. **ტელევიზიებს „მოლაპარაკე თავების“ საკუთარი სიები აქვთ და ეს სიები თითქმის ერთნაირია ყველა ტელევიზიაში, განსხვავება მხოლოდ კონკრეტული პირების გამოჩენის სიხშირეშია. 2004**

▶

რა გვჭირს, რა გვეშველება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2020 წელს „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ამის მცდელობა თვითონვე დაადასტურეს 20 ივნისის მოვლენების დროს, რადგან არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის თეორიული შანსიც არ აქვთ. თვით „ენ-დი-აი“-ს ივლისის კვლევითაც კი მათი რეიტინგი 9%-ია. ხალხს ვერ უყრიან თავს. თუ ხელისუფლებამ განგებ არ დაუთმო, რევანშის შანსი, პრაქტიკულად, არ აქვთ. უკვე გაშიფრული ძალაა. ხალხს კატეგორიულად არ სურს დიქტატურასა და ტერორში დაბრუნება“**

**◀ წლიდან ტელეეთერში აკადემიკოსის, მეცნიერის, პროფესორის, სწავლულის გამოჩენა იშვიათობაა, მათ არავინ არ ეკითხება აზრს. ზერელე განათლებისა და ერთწლიანი უცხოური კურსებგავლილნი „კომპეტენტური“ სახით გვიყვებიან, როგორ უნდა ვიცხოვროთ ლიბერალურ საზოგადოებაში. ავადმყოფურია ეს ყველაფერი და დამანგრეველი.** პოლიტიკუმი ნეპოტიზმით არის შეკოწიწებული. მე მას ელიტას ვერ ვუწოდებ, რადგან ელიტა უნდა ფიქრობდეს ქვეყნის, სახელმწიფოს, ერის განვითარებაზე.

**— სად ვეძებოთ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისკენ მიმავალი გზის ორიენტირები?**

**— მოსახლეობის კეთილდღეობას სამი ძირითადი კომპონენტი აქვს: უსაფრთხოება, სოციალურ-ეკონომიკური ყოფა და მორალურ-ზნეობრივი წესები. ჩვენ თავს მოგვახვიეს ყალბი ორიენტირები და ყალბი მიზნები სამივე მიმართულებით. ჩვენი სუვერენიტეტიც შეზღუდულია. აუცილებელია პატრიოტი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა, რომლებიც დაიწყებენ „ქართული პროექტის“ განხორციელებას.**

ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, აუცილებლად უნდა გვქონდეს მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა. ვალდებულნი ვართ, მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას დიდ მოთამაშეებთან, რომ ყველას ინტერესი იყოს დაბალანსებული, დაცული, უპირველესად კი — საკუთარი. საქართველოს ტერიტორიიდან საფრთხე არავის არ უნდა შეექმნას და ამ კონტექსტში დავითანხმოთ ზესახელმწიფოები საქართველოს განვითარების ჩვენეულ მოდელზე. მთავარია უსაფრთხოება და ჩვენი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად მაქსიმალური გარანტიების მიღება. ამისთვის სამი პროექტია განსახორციელებელი:

**1. ჩვენთან უნდა გაიაროს მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალებმა და არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტით, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთისაც.** მაგალითისთვის: აფხაზეთის რკინიგზის ამუშავებას წელიწადში 200 მილიონ დოლარამდე შეუძლია მოგვიტანოს. საზღვაო ნაოსნობა, რკინიგზა, მილსადენები, საჰაერო და სახმელეთო გადაზიდვები ის სფეროებია, რომლებიც დიდ შემოსავალსაც მოგვცემს და უსაფრთხოების გარანტიებსაც. ყველა, ვისი ტვირთიც ჩვენთან გაივლის, დაინტერესებული იქნება საქართველოში სტაბილურობითა და მშვიდობით.

**2. უნდა მოვახერხოთ და საქართველო გადავაქციოთ საერთაშორისო მნიშვნელობის ფინანსურ ცენტრად.** დღეს ჰონგკონგის 3,9-ტრილიონიანი საფონდო ბირჟა ნელ-ნელა იშლება. ჰონგკონგიდან ყოველდღიურად 1,5 მილიარდი დოლარი გადის. ეს ბრიტანული, ამერიკული, ჰონგკონგური და ჩინური კაპიტალია, რომელიც ეძებს ალტერნატიულ ჰაბს. მათ შევთავაზებდი „ფინანსურ სამოთხეს“, მაგალითად, აჭარაში, და მოვიწვევდი კაპიტალის ჩვენთან განსათავსებლად ყოველგვარი გადასახადის გარეშე. იქნებოდა მხოლოდ ერთი ვალდებულება, რომ ჩადებული კაპიტალის 2 პროცენტიან სესხად გაიცეს საქართველოს რეზიდენტებზე ყოველწლიურად „ლიბორის“ პროცენტით ან, თუნდაც, „ლიბორს+1 პროცენტით“. სავსებით რეალისტურია 100-200 მლრდი დოლარის მოზიდვა ამ გზით, რომელსაც რეგიონის ქვეყნების კაპიტალიც შეიძლება დაემატოს. აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა და არის საშუალება იქ განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი და კანონმდებლობა მოქმედებდეს. წლების განმავლობაში ასეთი ფინანსური ცენტრი გამსხვილდება, ათასობით ადამიანი დასაქმდება პირდაპირ თუ ირიბად და იქიდან აღებული იაფი სესხები კი ქვეყანაში ეკონომიკურ ბუმს გამოიწვევს. ვისაც აქ ფული ექნება განთავსებული, ჩვენზე არანაკლებად მოინდომებს, რომ აქ სიმშვიდე და სტაბილურობა სუფევდეს.

**«ათეულობით სიუჟეტი გაუშვეს ბოლო წლებში ლოზუნგით «მაჟორიტარი ფეოდალია». სინამდვილეში კი მაჟორიტარების საერთო ხარისხი ყოველთვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე პარტიული სიით გასულების. ეს ყველას შეუძლია ნახოს პარლამენტის ვებგვერდზე სიებში და ეს ეხება თითქმის ყველა მოწვევის პარლამენტს. დღეს ამომრჩეველს ორი ხმა აქვს: ერთს აძლევს პარტიას, მეორეს — პიროვნებას. ამ ძალებს კი სურთ, რომ ერთი ხმა წაგვართვან და ჩვენს ნაცვლად პარტიის ლიდერებმა აირჩიონ, ვინ შევიდეს პარლამენტში. ოპოზიციური პარტიების აბსოლუტურ უმრავლესობას არც ჰყავთ ისეთი სახეები, რომლებიც მოიგებენ მაჟორიტარულ არჩევნებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა»**

**3.** რთულია, მაგრამ **უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველო გახდეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი ოფისების მასპინძელი ქვეყანა. ცენტრი სამშვიდობო მოლაპარაკებების, კონფერენციების, გამოფენების. ეს უსაფრთხოების დამატებით ხარისხს მოგვანიჭებდა.**

**ჩამოთვლილი სამი კომპონენტის ერთობლიობა უსაფრთხოების უმაღლეს გარანტიებს მოგვცემს, პარალელურად კი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნად გადაგვაქცევს.**

**— ეკონომიკური განვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— 1990-იან წლებში ჩვენი უგნურებით 260 მლრდ დოლარის კაპიტალიზაციის ინდუსტრია ჯართში ჩავაბარეთ. ერთეული საწარმოები შემორჩა მხოლოდ. ეს გამოუსწორებელი დანაშაული იყო. მთელი დარგები გავაჩერეთ ან გაგვაჩერებინეს. ვინც რას უნდა გვირჩევდეს, მრეწველობის განვითარება არის ეკონომიკის ხერხემალი. დღეს გეგმა არ არსებობს, მხოლოდ ფრაგმენტული ხედვებია. არადა, **გვჭირდება დეტალურად გაწერილი ეკონომიკის განვითარების გეგმა. საქართველოში 3600 სოფელი და 50 ქალაქია. საჭიროა თითოეული სოფლის, ქალაქის დეტალური გეგმის გაწერა, რომელშიც მითითებული იქნება, სად რა საწარმო უნდა აშენდეს, რა ნედლეულზე იმუშავებს, რამდენი ადამიანი დასაქმდება, რამდენი ექნებათ ხელფასი, სად გაიყიდება პროდუქცია და ა.შ.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნახევრად დანგრეული გერმანია როგორ „ამოქაჩეს“ გერმანელებმა?! **ლუდვიგ ერჰარდმა** გერმანიის საუკეთესო სპეციალისტები ქალაქგარეთ, ერთ შენობაში ჩაკეტა, აუკრძალა გარე სამყაროსთან კონტაქტი, და იმათაც შეიმუშავეს გერმანიის ეკონომიკური აღორძინების დეტალური პროგრამა, გაწერილი დროისა და რეგიონების მიხედვით, დეტალური კალკულაციით. ამ პროგრამამ დააყენა ფეხზე გერმანია და არა „მარშალის გეგმამ“, რომლის ეფექტი გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ.

ჩვენ გვჭირდება უახლოეს 4-5 წელიწადში 1600 საწარმოს ამუშავება და გადაიჭრება უმუშევრობის პრობლემა, ამასთან ერთად ქვეყნის ხალხისგან დაცლაც.

**ეკონომიკას აქვს თავისი კანონები: მრეწველობაში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ირიბად ქმნის 3-4 სამუშაო ადგილს მომიჯნავე სფეროებში. არ გვჭირდება გიგანტი ქარხნები. აქცენტი რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით უნდა გაკეთდეს. უნდა ავიღოთ იმპორტის საქონლის სია და დავიწყოთ იმპორტის პროდუქტის პირველი ასეულის წარმოება პირველ წელს, შემდეგ მეორე ასეული მეორე წელს და ა.შ.** გასაგებია, რომ ყველაფერს ვერ ვაწარმოებთ, მაგრამ უამრავი პროდუქტის წარმოება შეგვიძლია. თითო ტურისტი საქართველოში საშუალოდ 700 დოლარს ხარჯავს და ამ თანხის, სულ ცოტა, 70 პროცენტი ისევ საზღვარგარეთ მიდის იმ პროდუქტების შემოსატანად, რომლებსაც ტურისტი აქ იყენებს: პირსახოცით დაწყებული, გაყინული ხორცით დამთავრებული.

**ჩემი გათვლებით, მართებული ინდუსტრიული და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, სავსებით რეალურია 5-6 წელიწადში ეკონომიკის გაორმაგება. ხსენებული საშუალო ზომის 1600 საწარმოს ამუშავებას 8-10 მილიარდი სჭირდება და დაფინანსების წყაროებიც მოფიქრებული მაქვს. ეკონომიკის გაორმაგება კი ნიშნავს ხელფასების, პენსიების გაორმაგებას; მეცნიერებაზე, განათლებაზე, მედიცინაზე, არმიაზე, კულტურაზე დაფინანსების გაორმაგებას. ეს უნდა გახდეს „საქართველოს ეროვნული პროექტი“.**

**„ამერიკაში ყველა დონის არჩევნები 100 პროცენტით მაჟორიტარულია: პოლიციის უფროსი, პროკურორი, გუბერნატორი, კონგრესმენი, სენატორი, პრეზიდენტი — ყველა მაჟორიტარული წესით ირჩევა. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ შევინარჩუნოთ მაჟორიტარული წესი, მომავალში კი საერთოდ გადავიდეთ ამერიკულ მოდელზე, ანუ სრულად მაჟორიტარულ არჩევნებზე. არჩეული ადამიანი პიროვნულად უნდა იყოს პასუხისმგებელი კონკრეტულ ამომრჩეველთან. ნახეთ ნაციონალების ძირითადი სახეები და შეეცადეთ, წარმოიდგინოთ, ვის აქვს მათგან შანსი, მოიგოს რომელიმე მაჟორიტარული ოლქი და მიხვდებით, რატომ ატეხეს ერთი ამბავი ამ საკითხზე“**

უმთავარესი: ჩვენი საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი დონის ამაღლება უკიდურესი სიღარიბისა და მასობრივი ემიგრაციის პირობებში სიზიფეს შრომაა და წარმოუდგენლად რთულია. ასევე რთულია ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში აფხაზებისა და ოსებისთვის რაიმე რეალურის შეთავაზება. დიდი სამუშაო გვაქვს წინ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საკვები პროდუქტებითა და სამუშაო ადგილებით




**შარშან, დეკემბრის ბოლოს საქპატენტმა დაამტკიცა ევგენი უშვერიძის პატენტი „მცენარეების მოყვანის ხერხი და კომპლექსი მის განსახორციელებლად“, რომლის შესახებ „საქართველო და მსოფლიომ“ არაერთი მასალა გამოაქვეყნა.**

კომპლექსი შექმნილია სოფლის მეურნეობის კულტურების და სოკოს ყოველდღიური მოყვანის, იშვიათი ჯიშის ხეების და სამკურნალო მცენარეების ნერგების ყოველდღიური მიღებისათვის. ნაგებობა ორი ტიპისაა:

1. საბოლოო შედეგზე ორიენტირებული მცენარეებისათვის: მაგალითად: ხორბალი, ლობიო, ბრინჯი, კომბოსტო, კარტოფილი, ანანასი და სხვა.

2. მცენარეებისათვის, რომლებიც ნაყოფის მოცემას იწყებს შუა ვეგეტაციის პერიოდიდან. მაგალითად: პომიდორი, კიტრი, ყაბახი, ბადრიჯანი და სხვა.

წინასწარი გათვლებით, ამ ტექნოლოგიით, პირველ შემთხვევაში 1250 კვ.მ ფართობის მქონე ორსართულიან კომპლექსში, რომელსაც გააჩნია სარდაფი, შესაძლებელია ყოველდღიურად მოვიყვანოთ 115,2 კგ ხორბალი, 394,5 კგ სოკო და მივიღოთ 960 ცალი იშვიათი ჯიშის ხის ან სამკურნალო მცენარეების ნერგი (კედარი, ჟენშენი და სხვა), ანუ წელიწადში 42 ტ ხორბალი, 144 ტ სოკო და 350,4 ათასი ცალი ნერგი. მოსავლის ორჯერ ან მეტად გაზრდის მიზნით საჭიროა ორსართულიანი კომპლექსი სიმაღლეში განმეორდეს იმდენჯერ, რამდენსაც გაუძლებს შენობის კონსტრუქციები. სარდაფის სართულში დასაქმდება ოცი, ხოლო ორსართულიანი კომპლექსის ყოველ სართულზე — ათი ადამიანი.

მეორე შემთხვევაში 660 კვ.მ ფართობის მქონე ორსართულიან კომპლექსში, რომელსაც გააჩნია სარდაფი, შესაძლებელია მოვიყვანოთ ყოველდღიურად 40 კგ პომიდორი, 197,25 კგ სოკო და მივიღოთ 1440 იშვიათი ჯიშის ხის ან სამკურნალო მცენარის ნერგი (კედარი, ჟენშენი და სხვა), ანუ წელიწადში 14,6 ტ პომიდორი, 72 ტ სოკო და 525,6 ათასი იშვიათი ჯიშის ხის ან სამკურნალო მცენარის ნერგი (კედარი, ჟენშენი და სხვა). მოსავლის ორჯერ ან მეტჯერ გაზრდის მიზნით საჭიროა ორსართულიანი კომპლექსი სიმაღლეში განმეორდეს იმდენჯერ, რამდენსაც გაუძლებს შენობის კონსტრუქციები. სარდაფში დასაქმდება 14, ხოლო ორსართულიანი კომპლექსის ყოველ სართულზე 8 ადამიანი.

ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიების განხორციელება შესაძლებელია ყველგან, სადაც იქნება სინათლე, წყალი და ჰაერი.

ორსართულიანი კომპლექსების მშენებლობის და მთელი წლის მომსახურების ხარჯები დაიფარება წლის განმავლობაში ნერგების რეალიზაციით მიღებული მოგებით, რომელიც, სულ მცირე, პირველ შემთხვევაში იქნება 3,5 მილიონი ევრო, ხოლო მეორე შემთხვევაში — 2,5 მილიონი ევრო. რაც შეეხება პირველ შემთხვევაში ხორბალსა და სოკოს, ხოლო მეორე შემთხვევაში პომიდორსა და სოკოს, ისინი უსასყიდლოდ დარჩება კომპლექსის მეპატრონეს.

**ქართლოს ჯობავა**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსეთთან ურთიერთობა კავკასიაში არ გვაქვს მხოლოდ ჩვენ, აზერბაიჯანიც და სომხეთიც გამუდმებით ცდილობდნენ, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები ჰქონოდათ. საქართველოს პოლიტიკური არჩევანი და კურსი შეცდომა იყო. საქართველოს მოუწევს ამ შეცდომების გამოსწორება. ეს გაცილებით მტკივნეული იქნება, ვიდრე ის, რომ თანმიმდევრული, სწორი პოლიტიკა ეწარმოებინათ და არ შეშინებოდათ გარეშე თუ შიდა ძალების რეაქციისა“.**



# თამარ კიკნაძე: კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა, სწორი არ იყო

## ნატოსა და ევროკავშირის ძახილს, სჯობდა, რუსეთთან უფრო კონსტრუქციული და პოზიტიური ურთიერთობა გვქონოდა

**15 იანვარს რუსეთის ფედერაციის მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა. ამ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მთავრობის გადაყენების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: „დროა, მსოფლიო უსაფრთხოებაზე სერიოზულად ვილაპარაკოთ. ...სერიოზული და პირდაპირი დიალოგი მსოფლიოს სტაბილური უსაფრთხოების ძირითად საფუძვლებზე, იმ მწვავე პრობლემებზე, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას, რა თქმა უნდა, მომწიფდა. საჭიროა პოლიტიკური ნების, სიბრძნის, გამბედაობის გამოჩენა. დრო გვაიძულებს, გავაცნობიეროთ საერთო პასუხისმგებლობა და რეალურად ვიმოქმედოთ. მაგალითი იმ ქვეყნებმა უნდა აჩვენონ, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დააარსეს. სწორედ ხუთ ბირთვულ სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კაცობრიობის შენარჩუნებასა და მდგრად განვითარებაზე. ხუთმა ერმა, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს ზომების მიღება გლობალური ომის წინაპირობების აღმოსაფხვრელად, შეიმუშავოს ახლებური მეთოდები პლანეტაზე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც სრულად გაითვალისწინებენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ასპექტებს...“**
**რა ცვლილებებსა და ახლებურ გადანაწილებაზე საუბრობს რუსეთის პრეზიდენტი? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე.**

— რუსეთს, დიდ ხანია, წამოყენებული აქვს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს იდეა. ეს გადაწყვეტილება მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ განაპირობა... საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ იყო მცდელობა, რომ რუსეთი, როგორც დიდი მოთამაშე, ნიველირებული ყოფილიყო. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ისტორიის გადაწერა დაიწყეს და დიდი სამამულო ომის შედეგები და გამარჯვების ავტორი **სტალინი** გაუტოლეს **ჰიტლერს.** რუსეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყანა და მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა, მიუხედავად ამისა, გამუდმებით იყო მცდელობა, რომ ეს ქვეყანა გლობალური პროექტებიდან ამოეშალათ, მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიოს დაანახვა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულმა პროპაგანდამ არ გაამართლა, გეგმა ვერ განხორციელდა.

**ამერიკის პრეზიდენტად ტრამპის მოსვლაც შემთხვევითი არ არის და არც ის პოლიტიკაა შემთხვევითი, რომელსაც აწარმოებს. ამერიკა, როგორც ჰეგემონი, აღარ არსებობს, ტრამპის პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით შეძლოს ლიდერის პოზიციის შენარჩუნება, მაგრამ ასე არ გამოვა — მსოფლიო პოლიტიკის „არქიტექტურა“ სულ სხვა იქნება** — იქნება მრავალპოლუსიანი სამყარო და იქნებიან რეგიონული ლიდერები. ასეთ ვითარებაში რუსეთი ერთ-ერთ რეგიონულ ლიდერად მოგვევლინება დასავლეთის უშუალო თანხმობით. ამ თანხმობას ადასტურებს ამერიკის პრეზიდენტის განცხადებები, საფრანგეთის პრეზიდენტი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია პირდაპირ არ ამბობს სათქმელს, მისი დაინტერესება „ჩრდილოეთის ნაკადით“ და ასევე, გააქტიურებული ურთიერთობები რუსეთთან ამ სახელმწიფოსადმი მხარდაჭერაზე მეტყველებს.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ევროპამ გადაწყვიტა, რომ რუსეთთან ურთიერთობა ჯობია მისგან დისტანცირებას. ცვლილებები, რომლებიც რუსეთში დაიწყო, ბევრ რამეს შეცვლის. რუსეთმა წარმატება მოიპოვა საერთაშორისო ორბიტაზე, მაგრამ რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვს ქვეყანაში, ამიტომ საჭირო შეიქნა მედვედევის მთავრობის შეცვლა, რაც მისცემს ქვეყანას იმის საშუალებას, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელოს, რომლებიც საჭიროებამ მოითხოვა, რადგან ქვეყანაში რუსეთის პრეზიდენტის რეიტინგი ეკონომიკური პრობლემების გამო საგრძნობლად დაეცა.

რუსეთში მიმდინარე საკადრო ცვლილებები ითვალისწინებს ფუნქციების გადანაწილებას სხვადასხვა შტოზე, გაძლიერდება პარლამენტის როლი, აღმასრულებელ ხელისუფლებას დაემატება ფუნქციები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ერთპიროვნული მმართველობა აღარ იქნება.

რუსეთის პრეზიდენტი ქვეყანას მომავლისთვის ამზადებს, რადგან ფაქტია, რომ მსოფლიოს „არქიტექტურა“ იცვლება, ამას კი, შესაძლოა, ჩვენს რეგიონშიც მოჰყვეს მტკივნეული ცვლილებები.

**— როდის მოხდება ეს ე.წ. არქიტექტურული ცვლილებები და რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს მას?**

— პროცესები კულუარულად, ალბათ, უკვე დაწყებულია, მაგრამ ამის გაფორმება იქნება საჭირო და ეს მოხდება მსოფლიო ლიდერების შეხვედრის შემდეგ; შესაძლოა, იალტის კონფერენციის მსგავსი შეხვედრა გაიმართოს და გაფორმდეს ის ყველაფერი, რაზეც, ამდენი ხანია საუბრობენ — მსოფლიო მრავალპოლუსიანი უნდა გახდეს და სრულიად შეიცვალოს არსებული ვითარება. ძალიან მალე ვიხილავთ ახალ რეგიონულ გადანაწილებას, ზოგიერთი ქვეყნის დასუსტებას, ზოგიერთის — გაძლიერებას. ამ გადანაწილებამ, შესაძლოა, ევროკავშირის ბევრი ქვეყანა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილი შეიწიროს.

**— ფაქტია, რომ ცვლილებები გარდაუვალია. როგორ ფიქრობთ, „ჩვენი სტრატეგიული“ პარტნიორები ამ გადანაწილებისას საქართველოს გაიხსენებენ? რა ბედი გველის?**

— საქართველო პატარა ქვეყანაა. ჩვენ პოლიტიკურ ამინდს ვერ ვქმნით. **კარგი იქნება, თუ ევროპა და რუსეთი შეთანხმებულად ითანამშრომლებენ. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოს კარგი ადგილი და როლი ერგოს. ამისთვის კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა, სწორი არ იყო; სწორი არ იყო ნატოსა და ევროკავშირის ძახილი; სჯობდა, რუსეთთან უფრო კონსტრუქციული და პოზიტიური ურთიერთობა გვქონოდა, რადგან მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთში მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაგვანახვა, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა.** რუსეთის ისტორია კარგად ვიცი და მის ძლიერებაში ეჭვი არასოდეს შემპარვია. ამ ქვეყნის შესაძლებლობები ვინც იცის, უნდა სცოდნოდა, რომ ეს ქვეყანა, მიწაზე გართხმულიც კი, ადრე თუ გვიან ფეხზე დადგებოდა. გათვლები, რომლებიც დასავლეთმაც გააკეთა და საქართველომაც მიბაძა, არ აღმოჩნდა ზუსტი. რუსეთის მიმართ დესტრუქციული პოლიტიკა დიდი შეცდომა იყო ყველასთვის და განსაკუთრებით — საქართველოსთვის. ჩვენმა ქვეყანამ რა პოზიციაც აირჩია, ასეთი არავის აურჩევია, **რუსეთთან ურთიერთობა, კავკასიაში არ გვაქვს მხოლოდ ჩვენ, აზერბაიჯანიც და სომხეთიც გამუდმებით ცდილობდნენ, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები ჰქონოდათ.** საქართველოს პოლიტიკური არჩევანი და კურსი შეცდომა იყო. საქართველოს მოუწევს ამ შეცდომების გამოსწორება. ეს გაცილებით მტკივნეული იქნება, ვიდრე ის, რომ თანმიმდევრული, სწორი პოლიტიკა ეწარმოებინათ და არ შეშინებოდათ გარეშე თუ შიდა ძალების რეაქციისა.

**— მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესში რა პერსპექტივა აქვს ნატოსა და ევროკავშირს?**

— ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ ცხადყოფს, რომ ამ მოთამაშეების როლი აქტუალური აღარ არის. ასე ვთქვათ, ბლოკური პოლიტიკის დრო დასრულდა...

**— აცნობიერებს ჩვენი ხელისუფლება იმას, რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში და რა რეალობის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ?**

— თვალყურს ვადევნებ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ არაფერი ჩანს ისეთი, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველო ემზადება სიახლეებისთვის. კულუარებში რა ხდება, რას გეგმავენ, არ ვიცი, არც ის ვიცი, გათვითცნობიერებული აქვთ თუ არა, რა ხდება მსოფლიოში... ერთი, რასაც ვამჩნევ, არის ის, რომ თვითონ სახელისუფლო გუნდი ანტირუსული განცხადებებით არ გამოირჩევა, საერთოდ, „ქართული ოცნება“ არ იყო წინა ხელისუფლების მსგავსად აგრესიული რუსეთის მიმართ. მათ ეშინიათ ე.წ. ოპოზიციის, მაგრამ დღეს უკვე აღარ არის შიშის დრო, სჯობს, შეცვალონ მიმართულება და გეზი აიღონ რუსეთისკენ, ურთიერთობების მოგვარებას შეეცადონ, რადგან რუსეთი არის ქვეყანა, რომლის გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება.

სამწუხაროა, რომ ამდენი წელია, ვერ მივხვდით, საით უნდა აგველო გეზი და რა გვეკეთებინა, რადგან ძალიან დიდი დანაკარგი გვაქვს. მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ამაზე სერიოზულად დაფიქრდებიან. მტკივნეული იქნება ცვლილება, მაგრამ აუცილებელი.

**— როგორ უნდა მოიქცეს საქართველო, ადგილი რომ დაიმკვიდროს ახალ მსოფლიო წესრიგში და ვინ იქნებიან ჩვენი პარტნიორები? რა პირობებზე უნდა ავაგოთ საერთაშორისო თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და ეკონომიკის კუთხით?**

— პირველ რიგში, უნდა დავაკვირდეთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს; შევხედოთ, როგორ გადანაწილდება რეგიონული მმართველობა, ვის მიგვაკუთვნებენ.

**— გამოდის, ჩვენზე არაფერია დამოკიდებული. რა გვინდა, როგორ გვინდა ან სად გვინდა?**

— ჩვენზეც არის დამოკიდებული. პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა, ამიტომ აუცილებელია მუშაობა კულისებში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანასთან, როგორც არის რუსეთი.

**— შეძლებს ეს ხელისუფლება ამ თამაშს და კულუარულ ურთიერთობებს? როგორც თქვენ აღნიშნეთ, შეშინებული არიან. ამერიკელებმა ორი დღის წინათ რაღაც ფურცელი გამოგზავნეს, რომელშიც მთავრობის მუშაობა იყო დაწუნებული და ამის გამო ერთი ამბავია ატეხილი...**

— რუსეთთან მოლაპარაკება უნდა შეძლონ, სხვა გზა არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისედაც ყველაფერი დაგვიანებულია, ცვლილებები მტკივნეული იქნება, მაგრამ თადარიგი დასაჭერია. რაც შეეხება ამერიკიდან გამოგზავნილ წერილებს, ყველამ კარგად იცის, ეს როგორ კეთდება. აქაური ძალები ლობირებენ ვილაცებს და მერე სოციალურ ქსელში და ზოგიერთ საინფორმაციოში თვითონვე ტეხენ ერთ ამბავს. ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, დესტრუქციულ ძალებს ღრმად აქვთ ფესვები გადგმული, რაც ისევ და ისევ ხელისუფლების ბრალია.

საქართველოს ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს. რუსეთში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოს გადანაწილება დაწყებულია, მრავალპოლუსიან მსოფლიოზე საუბარი მითი არ არის. რუსეთში დაიწყო ლიბერალების შევიწროება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა გაძლიერდება ეკონომიკურად და ეს მსოფლიოზეც აისახება. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი უნდა იყოს სუვერენული სახელმწიფო და მის კანონმდებლობას მეტი ძალა უნდა ჰქონდეს, ვიდრე საერთაშორისო აქტებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«რუსეთის მიმართ დესტრუქციული პოლიტიკა ძალიან დიდი შეცდომა იყო ყველასთვის»**

**«რუსეთის პრეზიდენტი ქვეყანას მომავლისთვის ამზადებს, რადგან ფაქტია, რომ მსოფლიოს «არქიტექტურა» იცვლება, ამას კი შეიძლება ჩვენს რეგიონშიც მოჰყვეს მტკივნეული ცვლილებები»**

**ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც იმაზე კი არ უნდა იფიქრონ, როგორ აამონ დასავლეთს და როგორ მოწმინდონ ერთი ადგილი, არამედ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ქვეყანა იმ უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა არის. ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან ჩვენი პოლიტიკოსები, ევროპისა და ამერიკის ლიდერები, რომლებიც რუსეთის კრიტიკისკენ მოგვიწოდებენ, თვითონ რატომ ხვდებიან რუსეთის პირველ პირებს ძალიან მშვიდ და მეგობრულ გარემოში, რატომ აქვთ საქმიანი ურთიერთობა და სამომავლო გეგმებს აწყობენ.**

პოლიტიკური ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდის ვისწავლით საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვასა და სხვისი მითითებების გარეშე ცხოვრებას?

**რუსეთის მთავრობაში სერიოზული საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ქვეყნის პირველი პირის ინიციატივით, ამიერიდან მთავრობას დაამტკიცებს არა პრეზიდენტი, არამედ დუმა და ამ ინიციატივის გახმაურების შემდეგ პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა კაბინეტის წევრებთან ერთად თანამდებობა დატოვა. დუმამ კი ახალ პრემიერმინისტრად მიხეილ მიშუსტინი აირჩია. ეს არის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენა ნებისმიერი სახელმწიფოს ცხოვრებაში და, წესით, ჩვენ, ქართველებს, არც პრემიერის შეცვლა უნდა გვიკვირდეს და არც მინისტრების, მაგრამ...**

როგორც კი ეს მოხდა, გამოდგა ქართული პოლიტიკური სპექტრი და **ვლადიმერ პუტინთან** ერთად ახალი პრემიერის ლანძღვაც დაიწყო. ჯერ რუსეთშიც კი არ იცოდნენ კარგად მიშუსტინის ბიოგრაფია, ახალ თანამდებობაზე კაცს ერთი განცხადებაც არ ჰქონდა გაკეთებული და ის ჩვენმა პოლიტიკოსებმა მიწასთან გაასწორეს.

„ამით ჩვენთვის არაფერი იცვლება, ეს არის პუტინის მორიგი მარიონეტი, ეს არის დემოკრატობანას თამაში, პუტინი როგორი დიქტატორიც იყო, ისეთივე დარჩა", — ეს იყო ძირითადი პათოსი იმ განცხადებებისა, რომლებიც საქართველოში გაკეთდა.

ცოტა **უხერხული ხომ არ არის, თუნდაც ხელისუფლებისა და თუნდაც ოპოზიციის მხრიდან იმის აღნიშვნა, რომ პრემიერი თურმე მარიონეტია?** გნებავთ, ნაციონალების მმართველობის პერიოდს გადახედეთ და გნებავთ, „ოცნების" მმართველობის, მერე პრემიერები გაიხსენეთ და კიდევ გავიმეორებ კითხვას: **უხერხული ხომ არ არის, ბატონებო, რუსეთის ახალი პრემიერის მარიონეტად მოხსენიება?** მით უმეტეს, ახალი კაცია, საგარეო კურსზე კი არა, საშინაოზეც არაფერი უთქვამს და უკვე ყველა მისასვლელი გზა მოვჭერით, რადგან წარმოუდგენელია, ასეთი განცხადებების შემდეგ მას საქართველოზე კარგი შთაბეჭდილება შეექმნას და საუბრის სურვილი გაუჩნდეს. ან რაზე უნდა ესაუბროს ადამიანებს, რომლებმაც ახალი თანამდებობა ლანძღვით „მიულოცეს"? თანაც გაითვალისწინეთ, რომ არავის, არც ერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, არაფერი უთქვამთ, მათ, უბრალოდ, ფაქტი აღნიშნეს და ელოდებიან, როდის იტყვის მიშუსტინი რამეს.

რატომღაც გვგონია, რომ ჩვენი პოლიტიკოსების განცხადებები სხვისი ნაკარნახევი იყო. დიმიტრი მედვედევთან საუბარი რომ არ გამოვიდოდა, ისედაც ცხადი იყო, რადგან არც ჩვენ ვაკლებდით კრიტიკულ განცხადებებს და არც ყოფილი პრემიერი იყო მაინცდამაინც კეთილგანწყობილი. **ახალი პრემიერის დანიშვნა კი შანსი იყო იმისა, რომ ყინული დაძრულიყო, მაგრამ ეს შანსი ჩანასახშივე მოვაშთეთ და ახლა, თუ რუსეთთან საუბრის სურვილი გაგვიჩნდება და მზადყოფნას გამოვთქვამთ, იძულებული ვიქნებით, მესამე მხარე ჩავრიოთ, მესამე მხარე კი ევროპა ან ამერიკა იქნება და ისინი ყველაფერს გააკეთებენ, მათ გარეშე მოლაპარაკებები რომ არ გაიმართოს, რომ ერთ მაგიდასთან მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლები არ დასხდნენ. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ სწორედ პირისპირ მოლაპარაკებებისას შეიძლება გაირკვეს, რომ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს და მხარეები ორივე სახელმწიფოსთვის მისაღებ პირობებზე შეთანხმდნენ?** ეს ხომ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამდენი წლის განმავლობაში სწორედ დასავლეთი გვიშლიდა ხელს ურთიერთობის მოგვარებაში და სწორედ ეს არ აძლევთ ხელს.

ისე, გვეეჭვება, ბევრმა იცოდეს, მაგრამ **თვის ბოლოს ამუშავდება მექანიზმი, რომელიც საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის (მათ შორის, საქართველოსთვის) რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის შემთხვევაში არასატარიფო კვოტების დაწესებას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მეგობარ ქვეყნებს ხორბალს იაფად მისცემს, ხოლო მათ, ვისთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს, ძვირად მიჰყიდის. შეიძლება ბევრმა არც ის იცის, რომ საქართველოში შემოსული სასურსათო ხორბლის 90% სწორედ რუსულია, ანუ ერი მთლიანად რუსული პურით იკვებება და გაძვირება ხალხს მძიმე ტვირთად დააწვება.**

რა თქმა უნდა, ამ მექანიზმის ამოქმედების შემდეგ აუცილებლად ვიტყვით, რომ რუსეთმა მორიგი პროვოკაცია მოგვიწყო, რომ გვაიძულებს, ვიშიმშლოთ, მაგრამ ეს რეგულაციები არ არის მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ არის საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის. და, **დიდი ბოდიში, თუ რუსეთის ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაზე ზრუნავს და ცდილობს, მტერს მტრულად უპასუხოს, მეგობრებს — მეგობრულად. მაშინ არავის ამოუღია ხმა, როცა ლამის მთელმა მსოფლიომ რუსეთს სანქციები დაუწესა და საშიმშილოდ გაწირა. ხომ ამბობდნენ, ჩრდილოელი მეზობლის აღსასრული დგებაო და აგერ იმაზე მეტი მიწა დახნეს, ვიდრე მანამდე და რეკორდული, 120 მილიონი ტონა ხორბალიც მოიწიეს.** წელს უფრო მეტი დახნეს და ეჭვი გვაქვს, მსოფლიოს ნახევარი სწორედ რუსულ პურს ჩამოეკიდება და გამოეკიდება. ამ პირობებში ჩვენ ხმამაღლა და გამოთქმით ვაკრიტიკებთ ახალ პრემიერს და მარიონეტს ვეძახით.

ახლა ისე არ გაიგოთ, თითქოს საუბარი სხვა მიმართლებით მიგვყავს. პირიქით, ადრეც არაერთხელ დაგვიწერია და ახლაც გავიმეორებთ — **ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც იმაზე კი არ უნდა იფიქრონ, როგორ აამონ დასავლეთს და როგორ მოსწმინდონ ერთი ადგილი, არამედ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ქვეყანა იმ უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა არის. ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან ჩვენი პოლიტიკოსები, ევროპისა და ამერიკის ლიდერები, რომლებიც რუსეთის კრიტიკისკენ მოგვიწოდებენ, თვითონ რატომ ხვდებიან რუსეთის პირველ პირებს ძალიან მშვიდ და მეგობრულ გარემოში, რატომ აქვთ საქმიანი ურთიერთობა და სამომავლო გეგმებს აწყობენ.** იმაზე თუ დაფიქრებულან, რუსულ ბაზარზე უარის თქმის შემდეგ არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ სანქციებზე რომ უარი თქვა და რუსულ ბაზარზე ისევ შევიდა? რატომ? იმიტომ, რომ მიხვდნენ, ეს მათი ქვეყნისთვის იყო საზიანო და სწორედ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამოვიდნენ. ვერ გეტყვით, **როდის ვისწავლით საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვასა და სხვისი მითითებების გარეშე ცხოვრებას, მაგრამ დღევანდელი რეალობა ძალიან მწარეა.**

ამ კვირაში დავოსის ფორუმი იმართება, სადაც აუცილებლად იქნებიან, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოს პირველი პირები. შანსი იმისა, რომ სწორედ დავოსში მოხდება საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენელთა შეხვედრა, არსებობს და ეს ჩვენზე კარგად სწორედ ევროპამ და ამერიკამ იცის. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ, მიშუსტინი სასწრაფოდ „ჩავდეთ" მიწაში, რადგან ახალ პრემიერს სურვილი არ გასჩენოდა, ქართულ მხარესთან საუბარი სუფთა ფურცლით დაეწყო. ფურცელი სუფთა უკვე აღარაა, მაგრამ, მიშუსტინი თუ მაინც გადაწყვეტს საუბარს, უკვე უპირატესობა ექნება, რადგან უსამართლოდ გავაკრიტიკეთ, მას კი სიტყვაც არ უთქვამს.

შესაძლოა, ისიც აღარ ახსოვს ბევრს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რომ განაცხადა, — საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე საუბრის დაწყება გაზაფხულზე შეიძლებაო. შარშან ჩავარდნილი ტურისტული სეზონის ამოქაჩვის შესაძლებლობა ამ ზაფხულს უნდა გაჩენილიყო, მაგრამ ისე ჩანს, ეს მატარებელიც ჩაივლის და ისევ სხვა ქვეყნის ტურისტების იმედად ვიქნებით. ეს იმის მიუხედავად, რომ ქართულმა მხარემაც აღიარა და საერთაშორისო ექსპერტებმაც თქვეს: ტურისტების ჩანაცვლება არ ხდება, არ არსებობს ასეთი რამ და ჩანაცვლებას ხშირ შემთხვევაში საუკუნე სჭირდებაო.

ისე, პარადოქსულია, **ჩრდილოელ მეზობელს ვეძახით მტერს და მისგან ვიღებთ პურის 90%-ს, ელექტროენერგიის უდიდეს ნაწილს, ბუნებრივ აირს, საწვავს, ანუ საარსებოდ აუცილებელ პროდუქტებს და საკმარისია, ამ ლანძღვის გამო რუსეთმა ერთი ხაზი მაინც გადაკეტოს, კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. აი, ლანძღვა, გინება და ოკუპანტის ძახილი მერე ნახეთ, ასე თუ მოხდება, მაგრამ აქეთკენ მიზანმიმართლად რომ მივდივართ, ამაზე ხმას არ ვიღებთ.** უნდა აიტანოს რუსეთმა ჩვენი კრიტიკა, უნდა შეირგოს და უხმოდ გვასაზრდოოს ყველაფრით. ისიც ხომ ცხადია, ალტერნატიული გზები რომ არსებობდეს, აქამდე ან ჩვენი ხელისუფლება ნახავდა, ან დასავლეთი შემოგვტენიდა და საკუთარ პროდუქციას გაგვასაღებინებდა, მაგრამ არ გამოდის, არ არსებობს სხვა გზა და ალტერნატივე, ამის მიუხედავად, ცეცხლთან თამაშს განვაგრძობთ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მიშუსტინი თავის ქვეყანასა და ხალხზე იმაზე უკეთ იზრუნებს, ვიდრე ქართველი პრემიერები ზრუნავენ საქართველოზე. იმაშიც დარწმუნებულები იყავით, რომ სხვა ქვეყნების ლიდერები მიშუსტინს სიხარულით შეხვდებიან, სიხარულით ჩამოართმევენ ხელს და მომავალ სტრატეგიულ პარტნიორობაზეც იმსჯელებენ. ჩვენ ვიქნებით ამ სამყაროში ერთადერთი, ვინც მუშტის ქნევით მოვიხსენიებთ მას და ყველა მისასვლელ გზას მოვჭრით, ყველა ხიდს დავწვავთ. ჰოდა, სანამ ამას ვიზამთ, სანამ დაწყებულ სისულელეს ბოლომდე მივიყვანთ, ეგებ მათ, ვინც აღნიშნული განცხადებების გაკეთებას კარნახობს ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, კითხვა დავუსვათ: თვითონ რატომ არ აკრიტიკებენ ახალ პრემიერს და რატომ უგებენ ფიანდაზებს, პირველად ჩემთან ჩამოდიო?

**ბესო ბარბაქაძე**



> **თვის ბოლოს ამუშავდება მექანიზმი, რომელიც საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის (მათ შორის, საქართველოსთვის) რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის შემთხვევაში არასატარიფო კვოტების დაწესებას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მეგობარ ქვეყნებს ხორბალს იაფად მისცემს, ხოლო მათ, ვისთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს, ძვირად მიჰყიდის. შეიძლება, ბევრმა არც იცის, რომ საქართველოში სასურსათო ხორბლის 90% სწორედ რუსულია, ანუ ერი მთლიანად რუსული პურით იკვებება და გაძვირება ხალხს მძიმე ტვირთად დააწვება**

> **დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მიშუსტინი თავის ქვეყანასა და ხალხზე იმაზე უკეთ იზრუნებს, ვიდრე ქართველი პრემიერები ზრუნავენ საქართველოზე. იმაშიც დარწმუნებულები იყავით, რომ სხვა ქვეყნების ლიდერები მიშუსტინს სიხარულით შეხვდებიან, სიხარულით ჩამოართმევენ ხელს და მომავალ სტრატეგიულ პარტნიორობაზეც იმსჯელებენ. ჩვენ ვიქნებით ამ სამყაროში ერთადერთი, ვინც მუშტის ქნევით მოვიხსენიებთ მას, ყველა მისასვლელ გზას მოვჭრით და ყველა ხიდს დავწვავთ. ჰოდა, სანამ ამას ვიზამთ, სანამ დაწყებულ სისულელეს ბოლომდე მივიყვანთ, ეგებ იმათ, ვინც აღნიშნული განცხადებების გაკეთებას კარნახობს ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, კითხვა დავუსვათ: თვითონ რატომ არ აკრიტიკებენ ახალ პრემიერს და რატომ უგებენ ფიანდაზებს, — პირველად ჩემთან ჩამოდიო?**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უმთავრესი, რაც, ჩემი აზრით, მოსაგვარებელია, ეს არის რუსეთთან ურთიერთობა. აუცილებელია პირდაპირი დიალოგი და ბლეფია ის, რომ ჩვენს პრობლემებს ამერიკა ან ევროპა მოაგვარებს. ჩვენ, კიდევ ვიმეორებ, ერთი-ერთზე, პირდაპირ, შუამავლების გარეშე უნდა ველაპარაკოთ ჩრდილოელ მეზობელს. ეს დიალოგი სჭირდება არა მხოლოდ საქართველოს, რუსეთსაც“.**



# ვაჟა ოთარაშვილი: მატერიალიზმის ჭაობში ჩაძირული ხატმებრძოლების ხროვა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ვერ დაანგრევს

**ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებსა და შემდგომ უკვე მათზე დაყრდნობით მედასავლეთე „ექსპერტ-ანალიტიკოსთა“ შეფასებებს თუ დავუჯერებთ, ბოლო პერიოდში საზოგადოებაში ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი ნდობა მნიშვნელოვნად შემცირდა. კვლევის თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში რაოდენობამ იმ ადამიანებისა, რომლებიც საპატრიარქოს საქმიანობას ცუდად აფასებენ, 10%-მდე მოიმატა, 2% კი მას ძალიან ცუდად (კრიტიკულად), ხოლო 25% საშუალოდ აფასებს.**

რაც შეეხება ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტზე დადებითი აზრის მქონე მოქალაქეებს, „ენ-დი-აი“-ის თანახმად, მათი რაოდენობა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კატასტროფულად შემცირდა. დღეს მხოლოდ 34% ფიქრობს, რომ ეკლესიისა თუ სამღვდელოების საქმიანობა ქვეყნისთვის სასარგებლოა, რაც წინა წლის მონაცემებზე 27%-ით ნაკლებია.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა აღნიშნული კვლევა დიდი ბრიტანეთის მთავრობის უშუალო მხარდაჭერითა და ფინანსური ხელშეწყობით მოამზადა, საველე სამუშაოები კი 2003 წელს დაფუძნებულმა უცხოეთიდან დაფინანსებულმა ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ ჩაატარა.

შემცირდა თუ არა ეკლესიის რეიტინგი თუ ავტორიტეტი, რა მიზანს ემსახურება „ენ-დი-აი“-ის კვლევა და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მსგავსმა კვლევებმა საზოგადოების განწყობებზე?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ კვლევას თუ დავუჯერებთ, საქართველოში ეკლესიისა და სამღვდელოების ავტორიტეტი დღითიდღე მცირდება. მათი შეფასებით, ეს შეუქცევადი პროცესია და მას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს... რა აზრის ხართ ამ კვლევაზე?**

— ის, რომ „ენ-დი-აი“, როგორც ქვეყანაში მოქმედი ერთ-ერთი გავლენიანი უცხოური ორგანიზაცია, პოლიტიკური ინსტრუმენტია და მისი ესა თუ ის კვლევა არა რეალობის ასახვას, არამედ გარე ძალების მიერ საქართველოში გარკვეული დღის წესრიგის დამყარებას ემსახურება, არახალია. ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმიდან მოყოლებული გვეთამაშება და ზოგჯერ ეს თამაში მეტისმეტად კომიკური ხდება.

რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, შეფასება, რომ თურმე დღეს გაცილებით მეტნი არიან საპატრიარქოს საქმიანობისადმი უნდობლად განწყობილი ადამიანები, რომ თურმე ეკლესიისა და სამღვდელოების ავტორიტეტი დღითიდღე ეცემა, მეტყველებს ერთადერთ რამეზე — „ქართულ დემოკრატიაზე გულდათუთქული“ ჩვენი დასავლელი „კეთილისმსურველები“ ვერ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად მათი გააფთრებული წინააღმდეგობისა, მიუხედავად მათ მიერ ჯერ კიდევ წლების წინათ დაწყებული ბრძოლისა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, პატრიარქის რეიტინგი, ისევე როგორც მთლიანად ეკლესიისა და სამღვდელოების, მატულობს... ვიმეორებ: დღევანდელი „ენ-დი-აი“ თავისი პოლიტიკითა და იდეოლოგიით არის 21-ე საუკუნის ნეობოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა ოკეანის გაღმა და მისი საქმიანობა ერთი-ერთზე იმეორებს საქართველოს ისტორიაში ავადცნობილი ულმერთოთა კავშირების საქმიანობას. მე მხედველობაში მაქვს 1924-29 წლებში საბჭოთა კავშირში შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც ებრძოდა პატრიარქს, სამღვდელოებას, ეკლესიას და ა.შ. აი, ამ ულმერთოთა ერთ-ერთი უჯრედია დღეს „ენ-დი-აი“, თუმცა თავისი რესურსებით — პიარტექნოლოგიების, პროპაგანდის საშუალებებისა და სხვა თვალსაზრისით, მას, რა თქმა უნდა, მეტი ბერკეტები აქვს საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოსახდენად.

**— რა შეიძლება იყოს მსგავსი კვლევების მიზანი?**

— მიზანი არის საზოგადოებაში ეკლესიისადმი უნდობლობის გაღვივება, ბოღმის, სიძულვილის გაჩენა და საბოლოოდ კიდევ უფრო მომატება ნიჰილიზმისა, რომელიც დღეს ისედაც ჭარბად არის ადამიანებში. „ენ-დი-აი“, „აი-რა-ი“ თუ უცხოეთიდან დაფინანსებული სხვა ორგანიზაციები აქ მოვლენილია ერთადერთი მიზნით: თუ ვინმე ან რამე არსებობს ამ ქვეყანაში, რაც ხელს უშლის საზოგადოების მოქცევას დასავლური ნეოლიბერალური იდეოლოგიის ყალიბში, წელში გადატეხონ. ეს არის ორგანიზაციები, რომელთა მსგავსმა ხატმებრძოლმა ძალებმაც თავის დროზე ეკლესიები დაანგრიეს და ხატები ხელყვეს საქართველოში. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ დახვრიტეს პატრიარქები, როგორებიც იყვნენ, მაგალობა ჩაანაცვლონ საეპისკოპოსო მმართველობით, ეს, პრაქტიკულად, ეკლესიის დაშლა იქნება. რაც შეეხება ისევ „ენ-დი-აი“-სა და საქართველოში მოქმედ სხვა მსგავს ორგანიზაციებს, ჩვენ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ოდნავ მაინც მოფიქრალი ხელისუფლება გვყავდეს, უკვე დიდი ხნის დაწყებული იქნებოდა გამოძიება ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ კვალიფიციური გამოძიების შემთხვევაში გამოჩნდეიცის, რეალურად რისკენ არის მიმართული ესა თუ ის პროპაგანდა. ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდ ანტილიბერალურ საქმეს დღეს აკეთებს თვითონ ლიბერალური პროპაგანდა, რომელიც ისტერიკის რეჟიმშია და თავისი ისტერიკული რიტორიკით სულ უფრო აძლიერებს ადამიანებში უკმაყოფილებას... სხვათა შორის, „ენ-დი-აი“-სა და მის მესვეურებს, რომლებიც ვითომ ადამიანის უფლებების დაცვასა და ტოლერანტობას ქადაგებენ, მინდა, შევახსენო დიდი

**«მიზანი არის საზოგადოებაში ეკლესიისადმი უნდობლობის გაღვივება, ბოღმის, სიძულვილის გაჩენა»**

ლითად, **ამბროსი ხელაია, კირიონ მეორე (საძაგლიშვილი),** საეჭვო ვითარებაში მოკლული გამოჩენილი მიტროპოლიტი **გაბრიელ ჩაჩანიძე**, გამოჩენილი მღვდლები: **პეტრე** და **ანდრია კარბელაშვილები** (ძმები) და ა.შ. თუმცა ფაქტია ისიც და ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული გამძვინვარებული კამპანიის თვალსაზრისით, არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, ეს არის მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესი, რომელიც მიმართულია ქრისტიანული ზნეობის წინააღმდეგ, მართლმადიდებლობა კი, როგორც მთავარი ფუნდამენტი ამ ყველაფრის, რა თქმა უნდა, უპირველესი მიზანია. ამ ანტიმართლმადიდებლური კამპანიის ერთ-ერთი „გმირი“ არის მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოსი; კაცი, რომელმაც, ფაქტობრივად, მოშალა და დაანგრია საბერძნეთის ეკლესია და ახლა ზუსტად იგივე უნდა დამართონ საქართველოს...

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება მათი ეს მცდელობები?**

— თუნდაც იმაში, რომ გარკვეულ ძალებს ეკლესიაში უნდათ, საპატრიარქო მმართველობა კანონდარღვევის უამრავი ფაქტი, რომლებიც სამართლებრივი საფუძველი გახდება ამ და სხვა მსგავსი ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვისა საქართველოში, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც ამერიკის საელჩოდან იმართება, რა თქმა უნდა, ასეთი გამოძიების ჩამტარებელი არ არის...

**— როგორ ფიქრობთ, ის პროპაგანდა, რომელიც მიმართულია ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ და საზოგადოებაში უნდობლობის გაღვივებას ცდილობს, რეალურად ახდენს გავლენას ადამიანების ცნობიერებაზე?**

— დარწმუნებული ვარ, რომ „ენ-დი-აი“-ს მსგავსი ნეოლიბერალური ორგანიზაციები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ვერაფერს დააკლებენ. **შაჰ-აბასმა, თემურ-ლენგმა** და სხვა უფრო სასტიკმა დამპყრობლებმა ვერ შეარყიეს ჩვენი სარწმუნოება, იმიტომ, რომ **იესო მაცხოვარი** ბრძანებს: **„ამას კლდესა ზედა აღვაშენო მე ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“.**

პროპაგანდას რაც შეეხება, საბედნიეროდ, დღეს საზოგადოება კარგად არჩევს შავსა და თეთრს; იმ პროცესების ფონზე, რომლებიც დასავლეთში ვითარდება, ყველამ ამერიკელი სასულიერო მოღვაწის — **სერაფიმ როუზის** სიტყვები. **ის ამბობს, რომ ამერიკა და მთლიანად დასავლეთი ჩავარდნილია მატერიალიზმის ჭაობში და ეცოდება ეს საზოგადოება, რადგან განწირულია.** მატერიალიზმის ჭაობში ჩაძირული ხატმებრძოლების ხროვა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ვერ დაანგრევს. პირიქით, მათი ბინძური კამპანია უფრო აძლიერებს ჭეშმარიტებას, ამტკიცებს და ამყარებს საზოგადოებას, რომელიც სწორ პოზიციაზე დგას. რაც შეეხება იმ ნაწილს ადამიანებისა, რომლებიც, შესაძლოა, დააბრმავა და მოწამლა ამ წლების განმავლობაში ლიბერალურმა სიბინძურემ, ყოველთვის დარჩება მარგინალურ უმცირესობაში, რომელსაც ჩვენი დროის ყველაზე სამარცხვინო ადამიანები უმაგრებენ ზურგს.

**— კონკრეტულად ვინ?**

— მაგალითად, ცრუ მამა **პეტრე,** აწ განყენებული ეკლესიის წიაღიდან; **დეკანოზი მამალაძე,** რომელიც უმძიმესი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს... სხვებზე არაფერს ვამბობ. თუმცა, რა ბრალდებებიც უნდა შეთითხნონ ამ ადამიანებმა პატრიარქის წინააღმდეგ, რა პროპაგანდაც უნდა ააგორონ და მერე იძახონ, აგერ, ვილაცის დანაშაულების მტკიცებულებები გვაქვსო, საზოგადოებას ვერ დააბრმავებენ...

**— სხვათა შორის, ამას წინათ თორნიკე მამალაძემ, დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმამ, მედიასთან განაცხადა, რომ მალე გაასაჯაროებს პატრიარქის დანაშაულების მტკიცებულებებს. როგორ ფიქრობთ, უნდა ველოდოთ დისკრედიტაციის ახალ კამპანიას?**

— ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, რომ ამ განცხადებას მალევე მოჰყვა „ენ-დი-აი“-ს კვლევა. ეს ერთი პროცესია, რომელიც გარკვეული იდეოლოგიური ლოგიკითა და ურთიერთკოორდინაციით მიდის. რა შეიძლება ამას დავუპირისპიროთ? პირველ რიგში, საზოგადოებამ უნდა იცხოვროს ქრისტიანულად და უფრო უნდა დაუახლოვდეს უფალს. ფორმალურად კი არ უნდა იარონ ტაძარში, გულით უნდა სწამდეთ. მეორე — ქვეყანაში უნდა გაერთიანდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალები, რომლებიც დღეს დაქსაქსული არიან და ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან.

**— საგარეო-პოლიტიკური კურსის მიმართულებით რა ცვლილებების აუცილებლობას ხედავთ?**

— პირველი და უმთავრესი, რაც, ჩემი აზრით, მოსაგვარებელია, ეს არის რუსეთთან ურთიერთობა. აუცილებელია პირდაპირი დიალოგი და ბლეფია ის, რომ ჩვენს პრობლემებს ამერიკა ან ევროპა მოაგვარებს. ჩვენ, კიდევ ვიმეორებ, ერთი-ერთზე, პირდაპირ, შუამავლების გარეშე უნდა ველაპარაკოთ ჩრდილოელ მეზობელს. ეს დიალოგი სჭირდება არა მხოლოდ საქართველოს, რუსეთსაც, იმიტომ, რომ რუსეთიც მართლმადიდებელი ქვეყანაა და მისთვის ძალიან მძიმე ტვირთია პატარა მართლმადიდებელ საქართველოსთან დაპირისპირება. სხვათა შორის, რუსების უდიდესი წმინდანი **სერაფიმე საროველი** ერთი საუკუნის წინათ ბრძანებდა, რომ ივერია, რომელიც არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, უნდა იყოს დაცული და ხელშეუხებელი. ეს რუსებმა ძალიან კარგად იციან და ამაზე სასულიერო წრეებში ხშირად საუბრობენ. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების პირობებში შედეგზე ორიენტირებული დიალოგის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. მათ არც ნება აქვთ საამისო, არც რესურსი და არც მოტივაცია; მათი უმთავრესი ინტერესი არის ძალაუფლების შენარჩუნება, რომლის ერთადერთ გარანტადაც დასავლეთი წარმოუდგენიათ და, ბუნებრივია, ამის გამო ყოველთვის დარჩებიან მათ ყურმოჭრილ მონებად. აი, ზუსტად ამიტომაა დღეს აუცილებელი ძირეული გარდაქმნები, რომელთა შემდეგაც **პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა სამუდამოდ უნდა აეკრძალოს გარედან მართულ, ფულსა და ძალაუფლებას დახარბებულ ყველა ძალას. ამის გარეშე, უბრალოდ, საუბარიც ზედმეტია მომავალზე, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, არ გვაქვს და ახლო ხანებში, ალბათ, არც გვექნება...**

**«პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა სამუდამოდ უნდა აეკრძალოს გარედან მართულ, ფულსა და ძალაუფლებას დახარბებულ ყველა ძალას. ამის გარეშე, უბრალოდ, საუბარიც ზედმეტია მომავალზე, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, არ გვაქვს და ახლო ხანებში, ალბათ, არც გვექნება»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან უმრავლესობას ჯერჯერობით ისევ უუნარო, ფარჩაკი ქოცი გვირჩევნია ჭკვიან, უნარიან, მაგრამ მაინც მარად ახვარ (ბოდიში ამ თბილისური სლენგისთვის), 9 წლის განმავლობაში ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე ნაცებს და ღმერთმა დაგვიფაროს საპირისპიროსგან. არადა, ეს „ჯერჯერობით“ უკანასკნელად რომ „იმუშავებს“ (ისე უალტერნატივოდ, როგორც თუნდაც 2016-ში არა, მაგრამ მაინც) 2020-ის არჩევნებზე, ამის ნიშნები უკვე აშკარაა.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცხვრის ტყავში გახვეული ტურა, ვაზელინის დეფიციტი და ჰეი, ვოვა, როდის გაიყვან საქართველოდან ჯარს?!

**ბოლო პერიოდში იმდენი რამ მოხდა საქართველოში, რომ ძნელია რიგითობის თუ მნიშვნელობის მიხედვით მათი დალაგება. ისე ძნელია, რომ ლამის ალფაბეტს მივმართო და მის მიხედვით დავალაგო შაპიტოს ცირკში მიმდინარე პროცესები; შაპიტოს ცირკში, რომელსაც მავანი ქართულ პოლიტიკასაც უწოდებს — და ამ შემთხვევაში, ჟარგონით თუ ვიტყვით, ალფაბეტით სარგებლობა ხომ ერთგვარი „ორიოლ-რეშკაა“? ჰოდა, შაპიტოს ცირკის არენაზე მიმდინარე ტრაგიკომედიაში მონაწილე კლოუნებმა, რომელი უფრო ჭკვიანია (წაიკითხე,შტერი) და ვაჟკაცი (წაიკითხე, ჯაბანი), „ორიოლ-რეშკას“ მიანდონ ამ მარათონსა თუ სპრინტში საპრიზო ადგილების განაწილება; კლოუნებმა, რომელთაც, ზემოთ ხსენებული ქართული პოლიტიკისა არ იყოს, მავანი რატომღაც პოლიტიკოსებსაც ეძახის...**



ეს, რომ იტყვიან, ნახევრად ხუმრობით. სერიოზულად კი, ისე მობეზრდა ქართველ საზოგადოებას ქართული პოლიტიკის სცენაზე თუ შაპიტოს ცირკის არენაზე დადგმული წარმოდგენის ყურება, რომ პოლიტიკისა და პოლიტიკოსის უბრალო ხსენებაც კი, უკაცრავად პასუხია და, გულისრევის განცდას იწვევს. თუმცა ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია და, ბოლო 30 წელიწადია, ცუდსა და უარესს შორის უწევს ქართველს არჩევანის გაკეთება.

ამიტომაც **ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან უმრავლესობას ჯერჯერობით ისევ უუნარო, ფარჩაკი ქოცი გვირჩევნია ჭკვიან, უნარიან, მაგრამ მაინც მარად ახვარ (ბოდიში ამ თბილისური სლენგისთვის), 9 წლის განმავლობაში ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე ნაცებს. ღმერთმა დაგვიფაროს საპირისპიროსგან. არადა, ეს „ჯერჯერობით“ უკანასკნელად რომ „იმუშავებს“ (ისე უალტერნატივოდ, როგორც თუნდაც 2016-ში არა, მაგრამ მაინც) 2020-ის არჩევნებზე, ამის ნიშნები უკვე აშკარაა...**

საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ნელ-ნელა გამოდის ის ახალგაზრდობა, რომელსაც „სააკაშვილის ბუჩქებში“ გაზრდილ-აღზრდილს ვუწოდებ. ახალგაზრდობას, რომლის უმრავლეს ნაწილს, უკაცრავად და, სულ ფეხებზე ჰკიდია სამშობლო, პატრიოტიზმი, წინაპართა საფლავები, ისტორია, ეკლესია, მშობლების პატივისცემა და ა.შ. სხვა რამ, რასაც ქართული ჰქვია.

როდესაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი მძვინვარებდა, ეს ახალგაზრდები 8-10 წლის ბავშვები იყვნენ და ამიტომ დღეს ის 9-წლიანი კოშმარი მათთვის შორეული, გნებავთ, უფროსების მიერ გაზვიადებული დაუჯერებელი ამბავია; ან თუ სჯერათ, უკეთეს შემთხვევაში, „მერე რა მოხდა“ აკერიათ პირზე: მიგრანტებმა შეგვჭამეს — მერე რა მოხდა?! დავითგარეჯა წაგვართვეს — მერე რა მოხდა?! პედერასტები აღლუმს მართავენ — მერე რა მოხდა?! და ა.შ. იმდენია ეს „მერე რა მოხდა“, რომ ამ თაობას, „სააკაშვილის ბუჩქებთან“ ერთად, „მერე რა მოხდაც?!“ შეიძლება ვუწოდოთ.

არადა, „მერე რა მოხდა“ არ არის ნარკომანია, პროსტიტუცია, ბასიანის მსგავსი პედერასტული ღამის კლუბები, ეშმაკის ბორბალზე სექსის ტელე-აფიშირება, დეისაძე-ბულაძე-ტურაშვილების უნიტაზის ლიტერატურა და სხვა გარყვნილება.

საბედნიეროდ, ასეთ ახალგაზრდებს ჯერჯერობით არჩევნებიც ფეხებზე ჰკიდიათ (საბედნიეროდ, რადგან არჩევნებზე, როგორც წესი, საშუალო და უფროსი თაობის ხალხი დადის), მაგრამ 2024 წლის არჩევნებისთვის ჩემი (63 წლის ვარ) და უფროსი თაობის ამომრჩევლების უმრავლესობა საიქიოს წავალთ, ხოლო სააქაოს დარჩენილები, ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი უმრავლესობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, რადგანაც „სააკაშვილის ბუჩქებისა“ და „მერე რა მოხდას“ თაობები წამოიჩიტებიან, „გაგირჩდებიან“ და მერე მოგეცათ ლხენა — მრავალტანჯული 3-ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობისა და დიდი კულტურის მქონე ქართველი ერი პედერასტული დასავლეთისკენ მიმავალ გზას დაადგება.

ეს რომ არ მოხდეს, **2020 წელს არჩევნების გზით ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ეროვნულად მოაზროვნე იმდენი დეპუტატი, რომ დასავლეთის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში ჩანერგილმა ნეოლიბერასტებმა (ბოკერიას „ევროპულმა საქართველომ“ და ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ) ვერ შეძლონ ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური, ერთი სიტყვით, ილიას ანდერძის („მამული, ენა, სარწმუნოება“) საწინააღმდეგო კანონების მიღება.**

რა პერსპექტივა, რა რესურსი გვაქვს ამ მხრივ? სახარბიელო არაფერი: ხელისუფლება თუ ოპოზიცია (უმცირესი გამონაკლისის გარდა) ვაზელინობას აწვება — ვინ უფრო სწრაფად შეუძვრება დასავლეთს (წაიკითხე, აშშ) და, შესაბამისად, ვინ უფრო მაგრად აგინებს რუსეთს.

ვაზელინის მოყვარულებს, აბა, სრულად ვინ ჩამოთვლის, მაგრამ?..

ტრაგიკომედია არ არის, რომ ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, მიუხედავად მტაცებლობისა, მაინც კეთილშობილ, არა გაუმაძღარ, აქედან გამომდინარე, „პიროვნებად“ (ვისაც „მაუგლი“ წაუკითხავს, დამეთანხმება) არის წარმოჩენილი მრავალი ხალხის ზღაპრებში და ამიტომ არ მინდა, მგელი შეურაცხვყო და მას შევადარო, ვისაც ვგულისხმობ. **ამიტომ ცხვრის ტყავში გახვეულ ტურას ვუწოდებ „თი-ბი-სი ბანკის“ პრეზიდენტ მამუკა ხაზარაძეს, რომელსაც ეყო „ნაგლობა“ და „ლელოს“ საშუალებით საქართველოს გადარჩენას გვპირდება და რომლის ბანკის „მოღვაწეობის“ შედეგად უამრავი ადამიანი უსახლკაროდ არის დარჩენილი.**

ცხვრის ტყავში გახვეულ ტურას ვუწოდებ «თი-ბი-სი ბანკის» პრეზიდენტ მამუკა ხაზარაძეს, რომელსაც ეყო «ნაგლობა» და «ლელოს» საშუალებით საქართველოს გადარჩენას გვპირდება და რომლის ბანკის «მოღვაწეობის» შედეგად უამრავი ადამიანი უსახლკაროდ არის დარჩენილი. ანდა, როგორი მოსასმენია გიგა ბოკერიას ლექციები ადამიანის უფლებების დაცვაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის მკვლელობებზე, თანაც ცინიკური «გარნირით» — შეცდომები ჩემს ხელისუფლებასაც ჰქონდაო?!

ანდა, როგორი მოსასმენია **გიგა ბოკერიას** ლექციები ადამიანის უფლებების დაცვაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის** მკვლელობებზე, თანაც ცინიკური „გარნირით“ — შეცდომები ჩემს ხელისუფლებასაც ჰქონდაო?!




„ქართული ოცნების“ ფარჩაკობის მთავარი მაგალითი არის ის, რომ ისევ და ისევ ბოკერიას შანტაჟის შიშით ბიძინა ივანიშვილმა, აგერ უკვე რამდენი წელიწადია, ვერ შეასრულა ქართველი ხალხისთვის მიცემული მთავარი დაპირება, რომ რუსეთთან ურთიერთობებს მოაგვარებდა.

მოაგვარა კი არა, ორი ქვეყნის ურთიერთობები **აბაშიძე-კარასინის** უაზრო რანდევუებს ვერ გასცდა. არადა, თუნდაც ოკუპანტი რუსეთის მიმართ პოზიტიური, პრაგმატული და, რაც მთავარია, ლეგიტიმური ჟესტის გაკეთების შანსი **ბიძინა ივანიშვილმა** მაშინ გაუშვა ხელიდან, როდესაც გერმანულ ფაშიზმზე სსრკ-ის გამარჯვების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს, რომელსაც რუსეთისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრულად განწყობილი ევროპელი ლიდერებიც კი ესწრებოდნენ, ქართული დელეგაცია არ დაესწრო. არადა, სამხედრო აღლუმზე სიმბოლურად ჩაიარეს დიდ სამამულო ომში მონაწილე რესპუბლიკების ბატალიონებმა, რომელთა შორის არ იყო საქართველო, რომელმაც პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო ფაშიზმის დამარცხების საქმეში. **ბოკერიების საამებელი ეს უაზრო დემარში რომ არა, იქნებ ორ ქვეყანას შორის დიალოგი მაშინ დაწყებულიყო და, მავთულხლართების კი არა, სოხუმ-ცხინვალის საქმე წამოეწია წინ?**

**დიდი სამამულო ომი და მართლმადიდებლობა — აი ის, რაც გვაერთიანებს და, თუ ამას „მივაწვებით“ და იმის ძებნას არ დავიწყებთ, რაც გვთიშავს, ეგებ გამოჩნდეს (თუ უკვე გვიანი არ არის?) გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.**

ამას წინათ, მგონი, პარიზში რაღაც მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მიმავალ **ვლადიმერ პუტინს** საფრანგეთის პრეზიდენტის სასახლესთან საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთმა ტელეჟურნალისტმა გოგონამ ტუტუცური კითხვა „ესროლა“ — **როდის გაიყვანთ ჯარს საქართველოდან?** ასეთი შტერობის გამგონეს, მართლა შემრცხვა. კი ბატონო, ნებისმიერი კითხვის დასმა შეიძლება, მაგრამ სად, როდის და რა გარემოში, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?!

ამიტომ შევურჩიე კითხვის „ხულიგნური“ პერიფრაზი წინამდებარე წერილს სათაურად და პუტინის პასუხსაც „ხულიგნური“ ვარიანტით გაგაცნობთ. ჯერ თვითონ ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანმა ადამიანმა (დასავლური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით), რუსეთის პრეზიდენტმა მისგან 20-30 მეტრით დაშორებული გოგონა შეამჩნია, უკვე დიდი პატივი იყო, ხოლო ტუტუცობაზე პასუხი — ადეკვატური: მაშინ გავიყვანთ ჯარს, როდესაც ამას რუსეთის ხელისუფლება ჩათვლის საჭიროდ, **ანუ, „ხულიგნურად,“ — როცა ხოში მექნებაო!**

წერილის ბოლოს რატომ გავიხსენე ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო რამ?

საქმე ის არის, რომ 27 იანვარს სრულდება 75 წელიწადი მას შემდეგ, რაც სსრკ-ის ჯარებმა მარშალ **როკოსოვსკის** (წარმოშობით პოლონელის) მეთაურობით პოლონეთის ის ტერიტორია გაათავისუფლეს, რომელზეც გერმანელ ფაშისტებს მოწყობილი ჰქონდათ ყველაზე საშინელი საკონცენტრაციო ბანაკი ოსვენციმი, რომელშიც მილიონობით ებრაელი დახოცეს გაზის კამერებში.

სწორედ ეს დღე, 27 იანვარი, მიჩნეულია ე.წ. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ და მისი 75 წლისთავის აღსანიშნავად ისრაელში მიწვეულნი არიან ყველა დიდი თუ პატარა ქვეყნის მეთაურები და მათ შორის საქართველოს პრეზიდენტად წოდებული **სალომე ზურაბიშვილიც,** რომლის სადმე გაშვება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ძალიან სახიფათოა — ემანდ რამე სისულელე არ თქვას და თავი არ მოგვჭრას ქართველებსო, მაგრამ აქ სხვა რამითაც არის სახიფათო საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი...

ისრაელში შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ ვლადიმერ პუტინი და სალომე ზურაბიშვილი და ოპოზიციამ, რომ იტყვიან, შეუკიკინა სალომეს, — ასეთ შემთხვევაში რას ეტყვი ოკუპანტი ქვეყნის პრეზიდენტსო?

რა უნდა უთხრას? ბოკერიებისგან დაშანტაჟებულმა სალომემ თუ ზემოხსენებული ჟურნალისტივით საქართველოდან ჯარების გაყვანაზე დაიწყო ლაპარაკი, მაშინ სირცხვილი და თავის მოჭრა არ აგვცდება, რადგან 27 იანვარს ისრაელში სახელმწიფოთა შორის „საქმის გარჩევა“, რომ იტყვიან, არ მოსულა.

ისრაელში რუსეთის მიწვევის გამო პროტესტის ნიშნად არ ჩავა პოლონეთის პრეზიდენტი **ანდრეი დუდა**, რადგან ძალიან არ მოეწონა ის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ამას წინათ გაასაჯაროვა დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება ებრაელი ხალხის გენოციდში პოლონელების აქტიური მონაწილეობა.

სიტყვამ მოიტანა და, რუსეთში მოხდა დიდი პოლიტიკური ძვრები (ვლადიმერ პუტინი, მგონი, რუსეთის უგვირგვინო მეფე გახდა, ხოლო **დიმიტრი მედვედევის** თამადობით გადადგა მთელი მინისტრთა კაბინეტი. ახალ პრემიერ **ვალერი მიშუსტინს** ანალიტიკოსები უკვე **ნიკოლოზ II**-ის პრემიერმინისტრ **სტოლიპინს** ადარებენ), რომლებმაც არ შეიძლება, რომ საქართველოზე გავლენა არ იქონიოს. საქართველოზე, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაზელინის სერიოზული დეფიციტია, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა, რომელზეც, ალბათ, გაზეთის შემდეგ ნომერში ვისაუბრებ.

**დავით მხეიძე**

ხალხი და საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ასე მნიშვნელოვანია ძაღლებისა და კატების ბედი, სახელმწიფომ გააკეთოს ერთი დიდი თავშესაფარი, წაიყვანოს იქ მაწანწალა ცხოველები და მიხედოს, უბანიც დაისვენებს და დედებიც, ძაღლების შიშით რომ არ უშვებენ ბავშვებს ეზოში; ხალხს კი სხვა საზრუნავზე ფიქრისთვის მეტი დრო დარჩება.**

# ირგვლივ უპატრონო ადამიანებიც არიან და მათაც სჭირდებათ თბილი საკვები, თავზე ხელის გადასმა და მოფერება

**ჩინელებს, პირველად რომ დაიწყეს მასობრივად შემოსვლა საქართველოში, გაოცებული სახეები ჰქონდათ, ვერ წარმოედგინათ, რომ არსებობდა ქვეყანა, რომლის ქუჩებშიც მათი საყვარელი კერძის მოსამზადებელი ცხოველები ასე უპატრონოდ დადიოდნენ, და ჩინელები ძაღლებს დაერივნენ. იმხანად ამით ადგილობრივებმაც „იხეირეს“, ჩააბამდნენ საბელს მაწანწალა ძაღლს, მიჰგვრიდნენ ჩინელებს და ყიდდნენ. მერე და მერე, ჩინელებმა უარი თქვეს მაწანწალა ძაღლებზე, რადგან არ არსებობდა ცნობა მათი ჯანმრთელობის შესახებ.**

ომგამოვლილ საქართველოს მაწანწალა ძაღლებისთვის არ ეცალა. ახლა კი მოვიცალეთ და თანაც როგორ — სოციალურ ქსელში ათეულობით ჯგუფია შექმნილი, რომლებიც მაწანწალა ძაღლებზე ზრუნავენ, ხელისუფლება იჭერს, აცრას და სტერილიზაციას უკეთებს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი ეკისრებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ოთხფეხა მეგობრებს უდიერად მოეპყრობიან. ამ მიმართულებით, ძალიან გვსურს, მივბაძოთ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს. მაგალითად იაპონიის დედაქალაქი ტოკიო ავიღოთ. იქ, მაწანწალა ძაღლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ზოოპარკში ცხოველების მოსავლელად წლიურად 3 მილიარდი დოლარი იხარჯება და ორი თვით ზოოპარკი დაკეტილია, ცხოველებმა მნახველებისგან რომ დაისვენონ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან კარგია. კარგია ის, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შიშით, ადამიანთა გარკვეული კატეგორია შეგნებულად აღარ აჯახებს მანქანას მაწანწალა ცხოველს. კარგია ისიც, რომ ვიღაც გასართობად აღარ ხოცავს მათ (ასეთებიც იყვნენ). ისიც გვახსოვს, ახალი ნაგვის ურნები რომ დაიდგა, ცხოველთა უფლებების დამცველებმა გააპროტესტეს: ნაგვის ახალ ურნებს სახურავი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძაღლები იქიდან საკვებს ველარ ამოიღებენ და ხელისუფლებამ მაწანწალა მეგობრები შიმშილისთვის გაწირაო. ჰო, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ...

**ნაგვის ურნებით** დავიწყოთ. სწორედ მას შემდეგ, რაც სახურავიანი ურნები შემოვიდა, ადამიანებსა და ძაღლებს შორის კონკურენცია დასრულდა, ადამიანებმა „გაიმარჯვეს“. სტატისტიკის მიხედვით, **საქართველოში მშიერ ძაღლებზე არანაკლები რაოდენობის მშიერი ადამიანები არიან. ის ადამიანები, რომლებიც ნაგვის ურნების სახურავის ახდით იწყებენ დილას და მთელი დღის საკვებს სწორედ ნაგავში პოულობენ.** ძაღლი მეც მყავს, თანაც — ორი და, მერწმუნეთ, თითო ძაღლის მოვლა არ ჯდება იმაზე იაფი, ვიდრე ბავშვის მოვლა, ოჯახის წევრებივით არიან, სჭირდებათ საკვები, სჭირდებათ ექიმი, მუდმივი ყურადღება და, თუ ამის შესაძლებლობა არ აქვს ადამიანს, ძაღლი არ უნდა იყოლიოს. ისეთებიც ბევრნი არიან, ძაღლს მოდის გამო რომ აიყვანენ ხოლმე, მერე ხვდებიან, რომ მოვლა და შენახვა იოლი საქმე არ არის და ისე მშვიდად გაუშვებენ ქუჩაში, როგორც არაფერი. შემდეგ ეს ძაღლი ან თავშესაფარში ხვდება, ან რომელიმე კორპუსის ეზოს წევრი ხდება, ან, თუ შინაურ პირობებშია გაზრდილი, სხვა მაწანწალა ძაღლები გლეჯენ.

დარწმუნებული ვარ, ცხოველთა უფლებების დამცველები ამის გამო სასტიკად გაგვაკრიტიკებენ, მაგრამ... რაღაც არ მახსოვს, რომ სოციალურ ქსელში მენახოს ჯგუფი „დავეხმაროთ მაწანწალა ბავშვებს“. არ მინახავს, ვინმეს ეთქვას, რომ მის უბანში ცხოვრობს მაწანწალა ბავშვი, რომელთანაც ყოველდღე მიაქვს საკვები, დაჰყავს ექიმთან, თუ შეატყო, სამედიცინო ჩარევა სჭირდება, ზრუნავს მის თავშესაფარზე, ღამით რომ არ შესცივდეს. სამაგიეროდ, ასეულობით არის ისეთი ადამიანი, რომლებიც ყოველდღიურად სოციალურ ქსელში დებენ ფოტოს, როგორ მიუტანა თბილი საჭმელი მისი კორპუსის ეზოში შეფარებულ უპატრონო ცუგას, როგორ მოუწყო პატარა სახლი, რომ ჰყავდა ვეტექიმთან, რადგან ცუგამ დააცემინა. ასეთი ისტორიები სოციალურ ქსელში ძალიან ბევრია, აღფრთოვანებული ადამიანების რაოდენობაც დიდია და არც კომენტარებია ურიგო — „რა კეთილი ხარ, რა გული გაქვს“.

ასპროცენტიანი სიზუსტით შეგვიძლია იმის თქმა, რომ **იმავე უბანში, იქვე მდგარ ურნასთან ყოველ დილით მოხუცი ან ბავშვი მიდის და ნაგავში იქექება, მაგრამ მასთან არც თბილი საჭმელი მიაქვს ვინმეს და არც ექიმთან მიჰყავს. არც მათთან გადაღებულ ფოტოს დებენ და არც მათი სახელები იციან. არადა, თბილი საჭმელი შეიძლება იმ ადამიანისთვის (ჰო, ადამიანისთვის) იმ დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს და შეიძლება ათ ურნაში ვერ ნახოს გადაყრილი საჭმელი, იმიტომ, რომ სხვებსაც არ ულხინს და ნაგავში საკვებს იშვიათად ყრიან.** იმასაც გვეტყვიან, — ეგ სახელმწიფოს საქმეა და იმან მიხედოსო, მაგრამ, თუ სახელმწიფოზე მიდგა საქმე, სახელმწიფომ მაწანწალა ძაღლებსაც უნდა მიხედოს, კატებსაც და აგერ, ჩემს უბანში ორი კვირა უპატრონოდ ვირი რომ დადიოდა და მერე გაქრა, იმაზეც. იმედია, იმ ვირით რომელიმე საშაურმის მეპატრონემ არ „იხეირა“.

ყოველდღე ჩნდება ახალი ინფორმაცია, რომ პატარა ბავშვს დაავადების გამო დახმარება სჭირდება. ათასობით კომენტარში, ძირითადად, წერია: „უფალო, დაეხმარე“, მაგრამ საკმარისია, მეტ-ნაკლებად ჯიშიანი მაწანწალა ძაღლის ფოტო დაიდოს, ვინმეს ხომ არ უნდა, გავაჩუქებო, რომ მაშინვე ატყდება ამბავი: „აუ, მე მინდა“, „აუ, რა საყვარელია“. მაწანწალა ძაღლებსა და კატებს უფლის იმედად კი არ ვტოვებთ, ვუვლით, ვპატრონობთ და არ ვფიქრობთ, რომ სწორედ იმ თანხით ძალიან მარტივად შეიძლება შეფობა მშიერ და მაწანწალა ბავშვზე ავიღოთ. არ არის გამორიცხული, ვიღაც ძაღლების პარალელურად მაწანწალა ბავშვს ან მოხუცსაც პატრონობდეს (იქნებიან ერთეულები), მაგრამ ამან ისეთივე მასობრივი სახე რომ მიიღოს, როგორც ცხოველების შემთხვევაშია, ურიგო ნამდვილად არ იქნება.



**დედაქალაქის მერიაში აღნიშნეს, რომ უსახლკარო ადამიანებისთვის აშენებულ თავშესაფრებში ბევრი ადგილია, თუმცა იქ მისვლა არავის სურსო. ბატონებო, იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ქუჩაში სიცივეში ძილი და ნაგვის ურნებში ქექვა რატომ ურჩევნიათ ამ ადამიანებს? ესე იგი, იქ, თავშესაფრებში, რაღაც ისე არ არის და, ეს «რაღაც» წლობით რომ გრძელდება, ხომ უნდა დაინტერესდეთ? ხომ უნდა მოუსმინოთ ამ ადამიანებს, რატომ ერიდებიან თავშესაფრებს?**



**თუ გახსოვთ, შარშან, ზამთარში, დაიწყო პროექტი „გააზიარე სითბო“. ქუჩაში დადგეს კარადები, რომლებშიც ადამიანები თბილ ტანსაცმელს ტოვებდნენ მათთვის, ვისაც ამ ტანსაცმლის ყიდვის შესაძლებლობა არ ჰქონდა. იცით, რატომ აღარ არის წელს ეს თემა აქტუალური? იმიტომ, რომ კარადებს მეორადი ტანსაცმლების გამყიდველები აცარიელებდნენ და ჩვენ მიერ მიტანილი სამოსი ბოლოს დახლზე ხვდებოდა.** ამაზე ხმა არავინ ამოიღო, მაგრამ აბა, გააკეთეთ იგივე ცხოველების მიმართ, დადგით ყუთი, რომელიც მათი საკვებისთვის იქნება განკუთვნილი და, თუ ვინმე შეეხება და ძაღლის საკვების ჭამას დაიწყებს, ატყდება ვაი-უშველებელი, — ცხოველებს საჭმელს პარავსო. ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები სიუჟეტებს მოამზადებენ, ძვირად ღირებულ ვიდეორგოლებსაც გადაიღებენ და ეს თემა განხილვის საგანი კვირების განმავლობაში იქნება. რატომ? იმიტომ, რომ **ადამიანის უფლებების დასაცავად საერთაშორისო ორგანიზაციები არაფერს იხდიან, ცხოველთა უფლებების დაცვაში კი ასიათასობით დოლარსა თუ ევროს რიცხავენ. იქ, დაწყობილ თუ აწყობილ ქვეყნებში, მდიდრები მილიონებს უტოვებენ შინაურ ცხოველებს და ეს პრაქტიკა მიღებულია. საქართველოში ჯერჯერობით ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, მაგრამ არც ეს დრო არის შორს. ისიც გემახსოვრებათ, ქალაქის მერმა მაწანწალა ძაღლი რომ შეიფარა და პატრონობს, რამხელა გამოხმაურება და დადებითი ემოციები მოჰყვა ამ ფაქტს. ხომ დარწმუნებული ხართ, რომ იმ ძაღლის ბედს „ძაღლი არ დაჰყეფს“?**

ისე, რა მოხდებოდა, **კახა კალაძეს** რომელიმე უპატრონო ბავშვზე აეღო შეფობა? ვერ შეძლებდა მოვლას? შეძლებდა! ვერ შეინახავდა და ვერ მისცემდა განათლებას? რა თქმა უნდა, მოახერხებდა. ერთი ძაღლის გაზრდას, ერთი ბავშვი რომ გაეზარდა, განათლება მიეცა და გზაზე დაეყენებინა, უფრო კარგი არ იქნებოდა? **თუ ასე მნიშვნელოვანია ძაღლებისა და კატების ბედი, სახელმწიფომ გააკეთოს ერთი დიდი თავშესაფარი, წაიყვანოს იქ მაწანწალა ცხოველები და მიხედოს, უბანიც დაისვენებს და დედებიც, ძაღლების შიშით რომ არ უშვებენ ბავშვებს ეზოში; ხალხს კი სხვა საზრუნავზე ფიქრისთვის მეტი დრო დარჩება.**

ისიც ვთქვათ, რომ დედაქალაქის მერიაში აღნიშნეს, უსახლკარო ადამიანებისთვის აშენებულ თავშესაფრებში ბევრი ადგილია, თუმცა იქ მისვლა არავის სურსო. ბატონებო, იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ქუჩაში სიცივეში ძილი და ნაგვის ურნებში ქექვა რატომ ურჩევნიათ ამ ადამიანებს? ესე იგი, იქ, თავშესაფრებში, რაღაც ისე არ არის და, ეს „რაღაც“ წლობით რომ გრძელდება, ხომ უნდა დაინტერესდეთ? ხომ უნდა მოუსმინოთ ამ ადამიანებს, რატომ ერიდებიან თავშესაფრებს?

მანამდე კი ეგებ იმაზე იფიქროთ, რომ უპატრონო ცხოველების გარდა ირგვლივ უპატრონო ადამიანებიც არიან და მათაც სჭირდებათ თბილი საკვები, თავზე ხელის გადასმა და მოფერება.

**ბესო ბარბაქაძე**

ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდია საფრთხე, რომ საქართველოს კვლავ ჩაითრევენ ანტირუსულ (და ანტიქართულ) ავანტიურაში. ლობისტები არ ისვენებენ — ამერიკელმა ნეოლიბერალებმა (თუ ნეოკონსერვატორებმა, ამ ორი ცნების ურთიერთგამომრიცხაობის მიუხედავად, ეს ერთი და იგივე ჯგუფია) საქართველოში დამატებითი დასაყრდენი შეიქმნეს მამუკა ხაზარაძის დაჯგუფების სახით. ხაზარაძე ბიზნესმენისთვის შეუფერებელი პრიმიტიულობით გაიძახის, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი ტრასა რუსული ტანკების საქართველოში დაუბრკოლებლად შემოსვლის საფუძველი გახდება.**

# აშშ-ის ახალი ელჩი დეგნანი საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ წაქეზებას ხელს შეუწყობს?




**თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ აშშ-ს საქართველოში, როგორც იქნა, კვლავ ჰყავს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი. ელჩი თბილისში უმოკლეს ვადაში ჩამოვა. რა ინსტრუქციებით მოდის ამერიკის ელჩი? — ისმის კითხვა და აი რატომ:**

საქართველო თავისი ფორმალური დამოუკიდებლობის ბოლო 28 წლის განმავლობაში მიჩვეულია ინსტრუქციებით არსებობას — საქართველოს არც ერთ მთავრობას ჯერ არ ჰქონია დამოუკიდებელი საშინაო და, მით უმეტეს — საგარეო პოლიტიკა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ საქართველოსადმი აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის თითქმის ნულოვანი ინტერესისა და, აქედან გამომდინარე, უელჩობის პერიოდში ჩვენს ქვეყანას ინსტრუქციების ნაკლებობა დაეტყო. ვითარება ნაკლებად სტაბილური შეიქნა და თითქმის ყველაფერი ერთმანეთში აირია: 20 ივნისის ამბები, პარლამენტის წინ კარვობანას თამაში, პროპორციული საარჩევნო სისტემის დაპირება და შემდეგ მასზე სკანდალური უარი, პარლამენტის შენობაში ტოქსიკური ნივთიერების დასხმა... გალიმებული **ნინო ბურჯანაძე გიგა ბოკერიას** გვერდით ჯდება და მერე მოსკოვში მიდის, ჩნდება ახალი ე.წ. გმირი — ვაჟა ექიმი, **შალიკო ნათელაშვილი** ამერიკით ემუქრება ივანიშვილს, ამასობაში ლარის კურსი და ინფლაცია ახალ ნეგატიურ რეკორდებს ამყარებს.

ამ ფონზე სახელმწიფო რუსოფობია მხოლოდ საშინაო მოხმარების საგნად იქცა — დღევანდელ ხელისუფლებას არც შესაძლებლობა არ აქვს და არც სურვილი, აქტიურად დაუპირისპირდეს რუსეთს. ეს კარგია. სწორედ ამიტომ ისკანდალეს ამერიკელმა ლობისტებმა და მათზე მიბმულმა ქართველმა „ტრანსატლანტისტებმა“, რომლებსაც **ირმა ინაშვილი** „მიუვარდა“ და „არატრანსატლანტიკურად“ მოექცა.

**მაგრამ დიდია საფრთხე, რომ საქართველოს კვლავ ჩაითრევენ ანტირუსულ (და ანტიქართულ) ავანტიურაში. ლობისტები არ ისვენებენ — ამერიკელმა ნეოლიბერალებმა (თუ ნეოკონსერვატორებმა, ამ ორი ცნების ურთიერთგამომრიცხაობის მიუხედავად, ეს ერთი და იგივე ჯგუფია) საქართველოში დამატებითი დასაყრდენი შეიქმნეს მამუკა ხაზარაძის დაჯგუფების სახით. ხაზარაძე ბიზნესმენისთვის შეუფერებელი პრიმიტიულობით გაიძახის, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი ტრასა რუსული ტანკების საქართველოში დაუბრკოლებლად შემოსვლის საფუძველი გახდება.**

ამ ფონზე ჩამოდის საქართველოში აშშ-ის ელჩი **კელი დეგნანი**. იმედია, მას „სწორი“ ინსტრუქციები ექნება, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ამ დღეებში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებული გაფრთხილება:

**„დაძაბულობის ესკალაციის რეალური საფრთხე და სამხრეთ კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა არის ნატოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაჩქარებული სამხედრო-პოლიტიკური განვითარება. ჩვენ მოწმენი ვართ ალიანსისა და ვაშინგტონის მოწინავე პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობისა საქართველოსთან.**

**ვიმედოვნებთ, რომ აშშ და ნატო სერიოზულად მიიღებენ ჩვენს გაფრთხილებებს და შეწყვეტენ საქართველოს წაქეზებას, დაუპირისპირდეს რუსეთს. ჩვენი მხრიდან, მუდმივი ინტერესი რჩება ორმხრივი ურთიერთობის თანმიმდევრული ნორმალიზებისთვის“,** — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

ვითომ შემთხვევით გაკეთდა ეს განცხადება საქართველოში ამერიკის ახალი ელჩის გამოგზავნის წინ?!

**გულბაათ რცხილაძე**

# ფეიკგამოკითხვები და სახელმწიფო უსაფრთხოება

**ამერიკელმა ნეოლიბერალებმა ამჯერად ისევ „ენ-დი-აი“-ს, ანუ „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ სახით, კვლავ შემოყარეს ე.წ. გამოკითხვის შედეგები და ცდილობენ, გავლენა მოახდინონ ქართულ პოლიტიკაზე.**

საზოგადოება მიეჩვია, რომ ამერიკული ე.წ. ინსტიტუტები — NDI და IRI ავრცელებენ განზრახ დამახინჯებულ რეიტინგებს, რასაც ყოველთვის ნაციონალებისა და სხვა ლიბერასტური, ანტიქართული ძალების სასარგებლოდ აკეთებენ.

მიუხედავად ამისა, ლიბერალური ოპოზიციის ჯიბის ტელევიზიები და სხვა მედიასაშუალებები ამ ყალბ შედეგებს ისტერიკული ტონით უწევენ რეკლამას. ცნობილი რომც იყოს საზოგადოებისთვის, რომ ეს სიყალბეა, მასმედია თავისას შვრება — იქმნება ნერვიული, ხანდახან ისტერიკული ფონი, რომელიც იწვევს საზოგადოების შიშს, გაურკვევლობის განცდას. ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ხდება სახელმწიფოს უსაფრთხოების ხელყოფა.


ლორა ტორნტონი

**მაშინ, როდესაც მოდურია საუბარი ფეიკნიუსებზე, ანუ გაყალბებულ ახალ ამბებზე, ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი ამ სიყალბეში საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებაა. საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაყალბებით. ამას ემატება „გამომკითხველთა“ კომენტარები, როგორც ახლა ამერიკული ინსტიტუტის ქართული ფილიალის შეფი ლორა ტორნტონი „შეშფოთებას“ გამოხატავს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ხალხის ნდობის მკვეთრად შემცირებაზე.**

ნორმალური სახელმწიფო უკვე დიდი ხნის წინათ მოსთხოვდა პასუხს ამერიკულ ინსტიტუტებს და იურიდიულ ნორმებს აამოქმედებდა მათ წინააღმდეგ; შესაბამისი ორგანოები მოსთხოვდნენ „მკვლევარებს“, რომ გაასაჯაროონ თავიანთი კვლევის მეთოდები, გამოკითხული კონტინგენტის გეოგრაფიული არეალი და სხვა აუცილებელი სოციოლოგიური მახასიათებლები, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია აშშ-ის კოლონიადქცეულ საქართველოში.

ge.news-front.info

# ხაზარაძე საქართველოს ამერიკული ჩექმით ემუქრება

**მევახშე მამუკა ხაზარაძე, რომელსაც მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა, ცდილობს, საქართველოს თავს მოახვიოს ამერიკელი ლობისტების ინტერესები და მათთან ერთად დიდი ფული „აკეთოს“ ქვეყნის ხარჯზე. ხაზარაძის თავხედობა ყველა ზღვარს სცდება, რაც ქვემოთ მოცემული ინფორმაციით დასტურდება:**

„ანაკლიის პროექტი უნდა განხორციელდეს და ღრმაწყლოვანი პორტი ამერიკული ინვესტიციით აშენდეს“, — ტელეარხ „ფორმულას“ ინფორმაციით, სწორედ ეს გზავნილი დაუტოვა საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირებსა და ანაკლიის კონსორციუმის წარმომადგენლებს **უესლი კლარკმა.**

ნატოს გადამდგარი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი, გავლენიანი ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსანი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების პრაიმერიზში მონაწილეობდა, თბილისში რამდენიმე დღით სწორედ მას შემდეგ ჩამოვიდა, რაც ანაკლიის პროექტის ბედი ხელისუფლების გადაწყვეტილების შემდეგ საეჭვო და ბუნდოვანი გახდა.

**ანაკლიის პორტის განვითარების კონსორციუმის დამფუძნებლებსა და ამერიკელ გადამდგარ გენერალს შორის დახურული შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ გაიმართა. „ფორმულას“ ინფორმაციით, უესლი კლარკმა ხაზარაძეს ამერიკის ადმინისტრაციის ოფიციალური პოზიცია გააცნო და ხელისუფლებასთან შეთანხმება შესთავაზა. ამერიკული მხარის მოთხოვნით, ანაკლიის პორტი ამერიკელი ინვესტორების მონაწილეობით უნდა აშენდეს.**

„ლელოს“ დამფუძნებელ მამუკა ხაზარაძის ინფორმაციით, ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს ამერიკელების ჩართულობით. **„ეს არის აშშ-ის მკვეთრი პოზიცია. დეტალებზე საუბარს არ ვაპირებ. კლარკი არის ჩვენი დიდი ხნის მეგობარი და მასთან ვთანამშრომლობით“,** — აცხადებს ხაზარაძე.


მამუკა ხაზარაძე


უესლი კლარკი

შეხვედრის დეტალებზე მამუკა ხაზარაძე არ საუბრობს, თუმცა არ უარყოფს, რომ ის ამერიკელ გენერალს დახურულ კარს მიღმა ესაუბრა ანაკლიის პორტის მომავალზე.

შეთანხმების მიხედვით, ანაკლიის კონსორციუმი ხელისუფლების გადაწყვეტილებას საერთაშორისო არბიტრაჟში აღარ გაასაჩივრებს. ეს წინადადება მისაღებია ხელისუფლებისთვისაც, ისინი საერთაშორისო სკანდალს აიცილებენ თავიდან. მეორე მხრივ კი, **ხაზარაძე-ჯაფარიძის** ტანდემს უნდა დაუბრუნდეს დახარჯული 75 მლნ დოლარი.

**იუგოსლავიის დაშლის ერთ-ერთი ავტორი, ევროპაში სეპარატიზმის მხარდამჭერი პირსისხლიანი გენერალი — უესლი კლარკი არ მალავს, რომ მას საქართველო ფეხებზე ჰკიდია და ჩვენი ქვეყნისგან ანაკლიის პორტის დაფინანსებას ითხოვს საფინანსო გარანტიების სახით. როგორც ჩანს, კლარკს ძალიან სჭირდება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის გამოწვევა, რადგან შეუძლებელია, მას არ ესმოდეს, რომ რუსეთი ანაკლიაში ამერიკელების სამხედრო ობიექტის გაჩენას არ დაუშვებს.**

მამუკა ხაზარაძე კი საქართველოში ამერიკელი ავანტიურისტების მთავარ ლობისტად გადაიქცა. იგი, აგრეთვე, აკრიტიკებს ყაზბეგის შემოვლითი გზის მშენებლობას, რომელიც საქართველოს ჰაერივით სჭირდება, რათა განიტვირთოს გუდაური-კობის გზის მონაკვეთი და მთლიანად საქართველოს სამხედრო გზა. გარდა ამისა, ქვეყნის სატრანზიტო შემოსავლები გაიზრდება და ეს უფრო მეტი შემოსავალია, ვიდრე ანაკლიის პორტის ქიმერა.

ხაზარაძე ამბობს: **„ნახევარ მილიარდ ვალს ვიღებთ და ვდებთ პროექტში, რომლითაც ვაძლევთ კომფორტულად ტანკების შემოსვლის ახალ შესაძლებლობას რუსეთს“.**

ხაზარაძე, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, როგორც ჩანს, იდიოტიცაა (რადგან მისი არგუმენტები ბავშვურბრიყვულია) ან ხალხს მიიჩნევს ბრიყვად. რა, რუსეთის ტანკები ცხინვალიდან ვერ შემოვლენ უფრო მარტივად, კავკასიონის ქედის გადმოლახვის გარეშე, ყაზბეგის შემოვლითი გზა რომ არ გამოიყენონ? მაშინ, ანაკლიის პორტი რომ დაიკავოს რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა, მას წინ ხაზარაძის აფერისტი პარტნიორი უესლი კლარკი აღუდგება?

**ალბათ, დროა, მოხდეს რევოლუციური ცვლილებები და ამ ტკიპას ჩამოერთვას ქართველი ხალხის ეროვნული კუთვნილება — ბორჯომის წყაროები (წილი, რომელიც მას დარჩა) და მოხდეს ამ უნიკალური მონაპოვრის ნაციონალიზაცია!**

**„ნიუსფრონტი-საქართველო“**

გრიგოლ ოนიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კაცი, რომელსაც შთამომავლობამ აღმაშენებელი უწოდა, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ისეთი, როგორც მისი ერი — კეთილიც და ბოროტიც, შემწყალეც და შეუბრალებელიც, მიმტევებელიც და შურისმაძიებელიც, ნათელმხილველიცა და მზერადახშულიც, მაგრამ ზნეობრივი არსით ჰუმანური და პროგრესული. ყოველივე ამას პირობით შეიძლება დავითიანიზმი ვუწოდოთ, თუმცა იგი, როგორც ფსიქოფიზიკური ფენომენი, აღმაშენებლამდეც იყო ცნობილი. დავითიანიზმი პრინციპულად განსხვავდება მაკიაველიზმისგან, რადგან იგი არის არა დაბრკოლებათა გადალახვის თვითმიზანი, არამედ პიროვნების, ერის წინამძღოლის ბუნებითი მდგომარეობისა და შინაგანი სამყაროს თავისთავადი ძალდაუტანებელი ფიქსაცია, ერისკაცობის ღვთივდადგენილი წესი.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №01, 2020 წელი

# ორი დიდი ქართველი

**„ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი?
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!“**
*სიმონ ჩიქოვანი*

**დავით აღმაშენებელი** ისეთი მნათობია, რომლის ელვარება დროთა მდინარებამ ვერ დაჩრდილა. პირიქით — ყოველ მომდევნო საუკუნეში იგი ახალი, ცხოველმოსილი შუქით ანათებდა საავდრო ღრუბლებით ჩამოგრაგნილ სამშობლოს ზეცას. ჩვენი ქვეყნის უახლესმა ისტორიამ კი საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ დავითის სახით საქართველოს ჰყავს უკვდავის სახეში პერსონიფიცირებული მარადიული იპოსტასი მისი უკვდავებისა და განახლებისა. სახარების მცნებები, „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე და „ქართლის ცხოვრების“ სიდიადე საოცარი ჰარმონიულობით შეზავდა ამ ერთ პიროვნებაში, რომელიც თავისი ხალხისთვის ლეგენდად და ისტორიის წყვდიადით მოსილ მღელვარე ოკეანეში აციმციმებულ იმედის შუქურად იქცა.

დავით აღმაშენებელი იყო ყველაზე იღბლიანი ქართველი ყველა ქართველთა შორის და, ამასთანავე, ყველაზე უიღბლოც.

დაიბადა საქართველოში. იყო მეფე ქართველთა (კავკასიელთა)... ემსახურებოდა ქართულ საქმეს (კავკასიურს)... დაღვარა სისხლი ქართული (კავკასიური)... მიაღწია ქართული სახელმწიფოს არნახულ აღმავლობას (კავკასიურის)... მრავალგზის გაიკილა ქართველთა (კავკასიელთა) მიერ... დაიმარხა ქართულ სავანეში! გულზე დაეყარა ქართული მიწა! მის საფლავზე დღესაც ლოცულობს ქართველი! ერთდროულად იყო მძვინვარე ნაციონალისტი და გონიერი კოსმოპოლიტი. მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე იარა და ერთხელაც არ გაცუდებია ნაბიჯი. მისი გოროზი მზერა სწვდებოდა ჩრდილოეთით რუსეთს და სამხრეთით — წინა აზიას. და, მიუხედავად ამისა, კავკასიური გეოპოლიტიკური და ეთნოკულტურული სამყაროს უბადლო მოღვაწედ არის აღიარებული.

თითქოსდა, წინასწარ ხვდებოდა ამ საფრთხეს დავითის ანონიმი მემატიანე, როდესაც ნაღვლიანად წერდა ალექსანდრეთა შორის უდიადესის მიმართ ნათქვამ სიტყვებს: **„არა დიდ იყავ აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა“** და იქვე დასძენდა უკვე საკუთარ მოსაზრებას: **„ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“.**

თუ აქილევსს **ჰომეროსი** ჰყავდა მაქებრად და იმიტომ არის დიდი, სტალინის სახელისთვის არაფერი შეუმატებია, ისეთი დიდი მაქებრის სიტყვებს, როგორიც ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიო პოლიტიკის ბებერი ლომი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უისტონ ჩერჩილი** იყო, რომელიც წერდა:

„ბატონებო, თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით გამორჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი. რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო ყველაზე გამოჩენილი ადამიანი, რომელიც შეეფერებოდა ჩვენს ცვალებად და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას. სტალინს, უწინარესად ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა; თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში ისე დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და ეპოქის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ ჰქონდა... როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული. ის იყო ყველაზე რთული გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ყვებოდა ემოციებს და ეძლეოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. **ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!“**

ისტორიის ფოლიანტებში ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის არშიაზე შემდეგი შინაარსის შენიშვნას ვკითხულობთ: „უფალო, დაიფარე მკლავითა შენითა მაღლითა მეფე დავით, მხოლოდ მამისა უმამოსა მამა“.



**დავითის სახით საქმე გვაქვს უაღრესად რთულ პიროვნებასთან. მისი მრავალფეროვანი საქმიანობაც ნაკლებად თავსდება საყოველთაოდ ცნობილ სტერეოტიპებში. იგი არ შეიძლება ყოფილიყო აბსოლუტურად კეთილი, რადგან თვითონ ეპოქის შინაარსი გამორიცხავდა მხოლოდ სახარების პრინციპებით რეალური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. ამასთანავე, იგი არ შეიძლება ყოფილიყო ბოროტი. იგივე ეპოქა თავისი ბობოქარი ვნებებით წარმოუდგენელი იყო კეთილი საწყისის გარეშე**

როგორც ვხედავთ, მადლიერი თანამედროვე ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფეს მამად მოიხსენიებს, რითაც მოწიწებას გამოხატავს მისი პერსონის მიმართ. რას ნიშნავს ეს? როგორ გავიგოთ მინაწერის ავტორის სიტყვები? ჩვენ, ოცდამეერთე საუკუნის ქართველებს, ისტორიის გამოცდილება სიფხიზლისკენ მოგვიწოდებს. დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის მესაფლავეს შევღაოდით — „მამავ, დიადო“. და დღესაც ვზღავთ მისი ქართული წარმოშობის გამო. რაიმე მსგავს მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე წინაპრის შემთხვევაში? ან რა მოხდა ასეთი, რამ აიძულა სხვა შემთხვევაში საკუთარი თავისადმი კრიტიკულად განწყობილი „კალამბრიგვნილი“ მეისტორიე, აღმაშენებლის გამეფების აღწერისას, მისთვის ესეოდენ უჩვეულო სიტყვაკეკლუცობას რომ მიმართა და ქვეყნიერებას მესიის მოვლენასავით ამცნო: **„ბნელსა უკუნისას შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგმამან დავით. ღრთისა მამისმან და თვით სამოცდამეთვრამეტან შვილმან ამის დავითისამან.“** მემატიანე წყვდიადში მზის აღმოცისკრებას ადარებს დავითის გამეფებას. იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ამაში არაფერია უცნაური და ხაზგასმით აღსანიშნავი, რადგან ზემოთ დამოწმებული სტრიქონების ავტორი მეფის კარის ისტორიკოსი იყო, მისი აპოლოგეტი, სოციალურ დაკვეთას ასრულებდა და, რა გასაკვირია, თუ პატრონის საამებლად დითირამბების არსენალი გამოიყენა.

**დავითის სახით საქმე გვაქვს უაღრესად რთულ პიროვნებასთან მისი მრავალფეროვანი საქმიანობაც ნაკლებად თავსდება საყოველთაოდ ცნობილ სტერეოტიპებში. იგი არ შეიძლება ყოფილიყო აბსოლუტურად კეთილი, რადგან თვითონ ეპოქის შინაარსი გამორიცხავდა მხოლოდ სახარების პრინციპებით რეალური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. ამასთანავე, იგი არ შეიძლება ყოფილიყო ბოროტი. იგივე ეპოქა თავისი ბობოქარი ვნებებით წარმოუდგენელი იყო კეთილი საწყისის გარეშე.**

კაცი, რომელსაც შთამომავლობამ აღმაშენებელი უწოდა, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ისეთი, როგორც მისი ერი — კეთილიც და ბოროტიც, შემწყალეც და შეუბრალებელიც, მიმტევებელიც და შურისმაძიებელიც, ნათელმხილველიც და მზერადახშულიც, მაგრამ ზნეობრივი არსით — ჰუმანური და პროგრესული. ყოველივე ამას პირობით შეიძლება დავითიანიზმი ვუწოდოთ. თუმცა იგი, როგორც ფსიქოფიზიკური ფენომენი, აღმაშენებლამდეც იყო ცნობილი, დავითიანიზმი პრინციპულად განსხვადება მაკიაველიზმისგან, რადგან იგი არის არა დაბრკოლებათა გადალახვის თვითმიზანი, არამედ პიროვნების, ერის წინამძღოლის ბუნებითი მდგომარეობისა და შინაგანი სამყაროს თავისთავადი ძალდაუტანებელი ფიქსაცია, ერისკაცობის ღვთივდადგენილი წესი.

დავითს არასოდეს ავიწყდებოდა, რომ იგი პატარა ქვეყნის მმართველი იყო, „ჭეშმარიტად ღატაკთა და უპოვართა მეფე“ და დიადი სახელმწიფოს შექმნისკენ მიმართული მისი მიზანი, განუხორციელებელ ქიმერად დარჩებოდა უპოვართა წიაღიდან ამოტუმბული სასიცოცხლო ენერგიის გარეშე.

მის თანამედროვეთ ხშირად უხილავთ დავითი „დამალტობელად ღაწუთა თვისთთა ცრემლითა“. ამის მიზეზი გახლდათ ის უამრავი ავადმყოფი და დავრდომილი, რომელთა რაოდენობა განუზომლად დიდი იყო საქართველოში XI საუკუნის მიწურულს. სწორედ ამან შექმნა საფუძველი, ჭარმაგ და ჯანგაუტეხელ მეფეს თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზენიტში დაეწერა **„გალობანი სინანულისანი“**, რომლის ავტორობაც ისევე მიეწერება ღმერთს, როგორც ადამიანს.

აქ კვლავ უნდა გავიხსენოთ დავით IV-ის მემატიანის სიტყვები:

„არც ისეთი დიდი იყავ აქილევს, მაგრამ შეგხვდა შენთა საქმეთა შექებაში ჰომეროსი, რომელმაც კიდევ უფრო განადიდა შენი საქმენი, მე კი ჰომეროსი არა ვარ და ვერც ისე წარმოვაჩინე საქმენი დიდი დავითისა, როგორც მას ეკუთვნის.“

მცირეოდენი ფრაგმენტები ორი დიდი ქართველის მოღვაწეობის შესახებ, წარმოადგენს არა მათი შეჯიბრების საფუძველს, არამედ შეხსენებას იმ ორი დიდი ქართველის ღვაწლისა, რომელიც მათ გასწიეს თავიანთი ქვეყნისთვის. სწორედ ამით აიხსნება დავითის პიროვნების ერთი შეხედვით ძნელად გასაგები დუალისტური ბუნება, ერთი მხრივ — მრისხანე, სისხლისმღვრელი მონარქი და, მეორე მხრივ — საოცრად გულჩვილი პიროვნება, რომლისთვისაც უცხო არასოდეს ყოფილა არაფერი ადამიანური.

ვიღაც ტვინნაკლულს, მუცლითმეზღაპრეს ეჭვი შეუტანია დიდი დავითის პიროვნებაში და მაკე ვირზე ამხედრებული, სახედრის კუდიტ ხელში ქვეყანას ამცნობს: „რას ნიშნავს ეს? როგორ გავიგოთ მინაწერის ავტორის სიტყვები — როცა შევღაოდით „მამავ დიადოს“?

მე ეს ანონიმი ამოცნობილი მყავს და წერილის მესამე ნაწილში უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ მასზე. ახლა კი იმ „ბღავილზე“ განვაგრძობ საუბარს, რომელიც ანონიმმა ზემოთ წამოაყრანტალა.

შენ, ვინც დაბადებული არ იყავი სტალინის პერიოდში, შენ, ვინც სტალინის აშენებულისა და შექმნილის გაყიდვითა და მაქინაციებით გაისქელე ჯიბე და ისე გასივდი, რომ დღე-დღეზე გასკდები და აქ ქვეყანას აამყრალებ, იქ კი — ჯოჯოხეთს, რა იცი, ვინ რისთვის „ბღაოდა“ ან რატომ „ბღაოდა“ მსოფლიო იმ „მაოხარის“ გარდაცვალების გამო?! შენ ამით საზოგადოებას კბილი მოუსინჯე, რომ შემდეგ უფრო გაბედულად გააშავო ქართული სულიერების, ლიტერატურის, ქვეყნის გამაერთიანებელ-გამძლიერებელი კაცის სახელი. ფიქრობ, სტალინზე, რაც მოგეხოშება, ის უნდა თქვა, იმიტომ, რომ ხალხს სტალინის სახელი, გგონიათ, გამოურეცხეთ თავიდან? დავითზე ამას ჯერჯერობით ვერ ბედავთ და გინდათ, თანდათანობით შეგვაჩვიოთ ჩვენი სალოცავების მიფურთხებას, როგორც თქვენ მიეჩვიეთ უკანალის მიცემას, ▶

გრიგოლ ოსიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, დრო გავა და ახალი თაობები მზერას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და გამარჯვებებს მიაპყრობენ. ისინი თავიანთი მამებისა და პაპების დროშას კვლავ მაღლა აღმართავენ და ჩვენ უკლებლივ მოგვიზღვავენ იმას, რისი ღირსიც ვართ. თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე ააშენებენ“.

◀ თქვე მესაჯდომეებო?! მგონი თემიდან გადავუხვიე და ამიტომ მკითხველს ბოდიშს ვუხდი!..

როგორც 1917 წლის ოქტომბერში, ისევე დღეს, საუკუნის გასვლის შემდეგ, ეჭვი არავის ეპარება, რომ დიდი ოქტომბრის სოცილისტური რევოლუცია სტალინის შემოქმედებაა, მაგრამ ეს რუს ხალხს არ მოეწონებოდა. სტალინმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ოქტომბრის დროშის წითელ ფონზე, სტალინის ინიციატივით, გაჩნდა ლენინის „მარად უკვდავი“ სახის ბარელიეფი, რომელიც ბრძოლის ყველა უბანზე დაჰქონდა...

ქვეყნისთვის უმძიმეს დღეებში სტალინი შეუპოვრად იბრძოდა რეგულარული მუშურ-გლეხური წითელი არმიის შესაქმნელად, რომლის არასაჭიროებაში ტროცკიმ და მისმა გარემოცვამ ლენინიც კი დააეჭვა. საქმე ის არის, რომ ბრესტის ზავის დადების შემდეგ ტროცკიმ დეპეშა გაუგზავნა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკს არმიის დაშლისა და საყოველთაო დემობილიზაციის შესახებ.

როგორც კი შეიტყო სტალინმა დეპეშის ამბავი, პირდაპირი სატელეფონო ხაზით ლენინს დაუკავშირდა და საყვედურით მიმართა, რომ არ აპირებდა ოქტომბრის მონაპოვრის უარყოფას ტროცკის ჭირვეულობის გამო, არ დაუშვებს არმიის დაშლას და ქვეყნის კატასტროფას, რომ ის უპირისპირდება რევოლუციურ კომიტეტს და არ შეასრულებს ბელადის მითითებას. ლენინთან ასეთი საუბარი სტალინს უკვე მეორედ მოუწია, პირველად — როდესაც ლენინი რევოლუციის დაწყების დღეს ნაადრევად მიიჩნევდა და მეორედ ახლა, როდესაც შეიარაღებული ძალების საკითხი წყდებოდა. ლენინმა ვერ გაუძლო სტალინის მხრიდან კონფრონტაციის მუქარას და სამსაათიანი კამათის შემდეგ კალამს ხელი მოჰკიდა და ამ შინაარსის დეპეშას მოაწერა ხელი:

„მთავრსარდლის ბანაკს!

**დღევანდელი დეპეშა ზავისა და ყველა ფრონტზე არმიის საყოველთაო დემობილიზაციის შესახებ გააუქმეთ. ყველა თქვენს ხელთ არსებული საშუალებით გადაეცით არმიის ყველა კომისარსა და ბონჩ-ბრუევიჩს, შეაჩერონ ტროცკისა და კრილენკოს ხელმოწერილი ყველა დეპეშა არმიის დაშლის შესახებ. ლენინი. 1918 წლის 12 თებერვალი“** (თხზულებანი, ტ. 44, გვ. 21-22).

სტალინს დედამიწის ერთი მეექვსედი მტკიცედ უჭირავს ხელში, იწყებს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი არმიის შექმნას. 1918 წლის 23 თებერვალს სტალინის ინიციატივით სახკომსაბჭოს გამოაქვს დადგენილება მუშურ-გლეხური რეგულარული არმიის შექმნის თაობაზე. 1918 წლის ივნისის დასაწყისში, პარტიის დავალებით, სტალინი მის მიერ შექმნილი წითელი არმიის რაზმით, ორი ჯავშნიანი ვაგონით მიემგზავრება სამხრეთში მოსკოვისა და ლენინგრადის მოსახლეობის შიმშილით ამოწყვეტის საფრთხის სალიკვიდაციოდ, რათა „პური არსობისა“ მიაწოდოს რუსეთის ცენტრალურ ქალაქებს.

ადგილზე ჩასულ სტალინს სრული ქაოსი და განუკითხაობა დახვდა არა მხოლოდ პურის დამზადების საქმეში, არამედ ფრონტზეც, სადაც რუსეთის არმია ვერ უმკლავდებოდა თეთრგვარდიელ გენერალ დენიკინს. ოქტომბრის მონაპოვარი საფრთხეში იყო. ტროცკისტებს გაყიდული ჰყავდათ როგორც რუსი ხალხი, ისე მისი ტერიტორიებიც, ამის ორგანიზატორი კი გახლდათ ამერიკიდან მოვლენილი ლევ **ტროცკი**, რომელსაც გადაბირებული ჰყავდა **ლენინი.**

მიუხედავად ფრონტზე შექმნილი ვითარების შესახებ არა ერთი საგანგაშო ტელეგრამისა, კრემლმა პასუხი არ გასცა სტალინს. მან ბოლო დეპეშა გაუგზავნა ლენინს:

„სურსათის საკითხი გადახლართულია სამხედრო საკითხთან, საქმის სასარგებლოდ ჩემთვის აუცილებელია სამხედრო რწმუნებანი. უკვე მოგწერეთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ძალიან კარგი, რაკი ასეა, მე ფორმალობის დაუცველად ჩამოვაგდებ იმ სარდლებსა და კომისრებს, რომლებიც საქმეს ღუპავენ. ასე მკარნახობს საქმის ინტერესი და, რასაკვირველია, ტროცკის ნაკუწი ქაღალდის უქონლობა ვერ შემაჩერებს.

სტალინი. ცარიცინი, 10 ივლისი“.



## «ის იყო ყველაზე რთული გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ყვებოდა ემოციებს და არ ექლოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!»

სტალინი, რომელიც არავის გაუგზავნია სამხედრო საქმეების მოსაგვრებლად და არც აქვს ამის კომპეტენცია, მთავრობის თავმჯდომარის, ლენინის, რევკომის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრ ლევ ტროცკის, პოლიტბიუროსა და მთავრობის განკარგულების გარეშე ხელში იღებს სამხრეთ რუსეთის, როგორც პოლიტიკურ და სამეურნეო, ასევე თავდაცვის საქმეს და ბოლომდე მიჰყავს იგი. ვილაცის „მოწაფე“ თურმე უფრო ავტორიტეტულია, ვიდრე მისი მასწავლებელი.

აქვე შემოგთავაზებთ სტალინის ანდერძს, რომელიც **ალექსანდრა კოლონტაიმ** ჩაიწერა სტალინის კაბინეტში. **„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრი საქმე,** — ამბობდა სტალინი, — **დამახინჯდება და გაილანძღება, უწინარეს ყოვლისა, საზღვარგარეთ, თუმცა ჩვენს ქვეყანაშიც ასე მოხდება. სიონიზმი, რომელიც მსოფლიოზე ბატონობას ესწრაფვის, სასტიკად იძიებს შურს ჩვენზე წარმატებებისა და მიღწევების გამო. ის რუსეთს ჯერ კიდევ ბარბაროსულ ქვეყნად, ნედლეულის ბეღლად მიიჩნევს და მეც ცილს დამწამებენ, გამთათხავენ. მე ბევრ ბოროტმოქმედებას მომაწერენ. მსოფლიო სიონიზმი ძალ-ღონის დაუზოგავად ეცდება ჩვენი კავშირის განადგურებას, რათა რუსეთი უკვე ვერასოდეთ გაიმართოს წელში. სსრკ-ის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. სიონიზმის მახვილი, უწინარესად, მიმართული იქნება ამ მეგობრობის წინააღმდეგ, სიონიზმი მიზნად დაისახავს რუსეთისგან მისი განაპირა მხარეების მოწყვეტას. ამ მიმართულებით ჩვენ, უნდა ვაღიაროთ, ყველაფერი არ გაგვიკეთებია. ამ მხრივ დიდი სამუშაო სივრცეა გადაშლილი. განსაკუთრებული ძალით წამოჰყოფს თავს ნაციონალიზმი. ის რაღაც დროით შეავიწროებს ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს. ხალხების წიაღში წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გაჩნდება ერის მოღალატე ბევრი ბელადი-პიგმეი. მთლიანობაში განვითარება უფრო რთულად, გააფრთებულადაც კი წარიმართება, მოსახვევები მკვეთრი იქნება. საქმე იქით მიდის, რომ განსაკუთრებით აფორიაქდება აღმოსავლეთი. წარმოიშობა მწვავე წინააღმდეგობები დასავლეთთან“.**

**„და მაინც, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, დრო გავა და ახალი თაობები მზერას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და გამარჯვებებს მიაპყრობენ. ისინი თავიანთი მამებისა და პაპების დროშას კვლავ მაღლა აღმართავენ და ჩვენ უკლებლივ მოგვიზღვავენ იმას, რისი ღირსნიც ვართ.**

**თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე ააშენებენ“** (ციტატა **რ. კოსოლაპოვის** სტატტიიდან „როგორია ის, სიმართლე სტალინზე?“ „პრავდა“, 1998 №55, 2-4 ივნისი).

ახლა კი გაგაცნობთ რამდენიმე ფრაგმენტს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისა“-დან:

* „თვითმპყრობელობის მემკვიდრეობით მიღებულ პორფირთან ერთად სხვადასხვა სამეფოთა გვირგვინებიც მომანდე, უფალო, ხოლო მე ბილწ ვნებებს მონად მივყიდე თავი, რამეთუ კაცი, რისგანაც იძლევა, მისი მონაა სწორედ...

*** კაენური საზრისი, სეთის ძეთა ავხორცობა, ხუთქალაქელთა წაბილწვის მყრალი ლაფი კიდევ უფრო ვამრავლე და ვაძლიერე, ვითარცა აღმართისკენ მიმჩქეფარე ბოროტების მდინარემ...**

* ეგვიპტური სისასტიკე, ქანაანური ჩვეულებანი, ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა, მისნობა და მარჩიელობა, თმის დალალები და სხვა, რისი არმიბაძვაც შენ ბრძანე, უფალო, უთავხედურესად შევიძინე...

* მე ვარ უფსკრული, რომელშიც გროვდება უწმინდურების ნიაღვარი...

* ურჯულოებს ვბაძავდი, კერპებს ვუკმევდი და ციურ ძალებს თაყვანს ვცემდი...

*** ფეხით გავთელე საღმრთო წერილისა და ახალი ჭეშმარიტი კანონები, კანონი გონებისა ცოდვებისა და ხორციელების კანონს დავუმორჩილე...**

* სოლომონის წურბელასავით გაუმაძღარი, ახალ მხარეებს ვეძებდი დასაპყრობად და ამ სურვილს საქრისტიანოს ფარგლების სიმცირით ვამართლებდი...

*** ბოროტად დავარღვიე საზღვრები და შემოვიერთე ახალი სამფლობელოები. სუსტებსა და უმწეოთ წავართვი საკუთარი წილხვედრი და ვესწრაფოდი უმეზობლობას, რათა მხოლოდ მე ვყოფილიყავი მსოფლიო მბრძანებელი...**

* უმოწყალოდ ვარღვევდი ღვთის მცნებებს, ვმრუშობდი და საძაგელი მაგალითის მიცემით ცოდვებისკენ ვუბიძგებდი ერს...

*** მიწასავით დავაგროვე ვერცხლი და შარაგზის ტალახივით — ოქრო, ანგარების მამონას ისე ვემონე, როგორც ძველები — ბაალს, ასტარტეს და ქამოსს...**

* ერთგულთა ნათქვამს ყურად არ ვიღებდი, მლიქვნელთა მზაკვრულ სივერაგეს ვიწონებდი, დამსმენთა ბჭობას ვიზიარებდი და უმართებულო განაჩენი გამომქონდა...

*** ქვრივ-ობოლთა გულამომჯდარი ტირილი არ მესმოდა, არ გავეცი მოწყალება გლახაკთა ზედა..**

* ვინც ლოყაში გამარტყა, მისთვის მეორე ლოყა არ მიმიშვერია, თუმცა ესოდენ გახრწნილს, შენზე ხელი არ ამიღია და სხვა ღმერთი არ მიწამია....

მე სტალინს არ განვიხილავ არც ქართველ პოლიტიკოსად და არც ქართველ მოღვაწედ. სტალინმა 1952 წელს უარი განუცხადა კანდიდ ჩარკვიანს თბილისში სტუმრობაზე: **„ახლა თბილისში რომ გესტუმროთ, ყველა რესპუბლიკის ხელმძღვანელი თავისთან მიმიწვევს, იქაც რომ არ ჩავიდე, უხერხული იქნება, ამის დრო კი ნამდვილად არ გამაჩნია. არ გეწყინოთ, კანდიდ ნესტორი ძევ“,** — იგონებს ჩარკვიანი.

„ილია ჭავჭავაძე მსოფლიო იმპერატორად გამოდგებოდა. მისთვის საქართველო არწივის გალიაა“, — ეს სიტყვები სტალინს ეკუთვნის. არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს, რომ სტალინი მსოფლიოს ოლიმპზე იჯდა და თბილისელ კინტოებთან ორთაჭალაში „კინტოურს“ ვერ იცეკვებდა.

რაც შეეხება დავით აღმაშენებელს, ეს ის გიგანტია, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა **ალექსანდრე მაკედონელს**, მაგრამ, ამას მე ვფიქრობ და ეს მხოლოდ ჩემი აზრია — დავით აღმაშენებელმა ვერ გამოანგრია ის რკინის გალია, რომელშიც კავკასიური არწივი იჯდა, მაგრამ, რასაც მისწვდა მისი ჭკუა და გონებ ეყო, ის ბრწყინვალედ გამოიყენა.

მესამე ნაწილში მკითხველს გავაცნობ ზოგიერთი ქართველისა და მათი დამკვეთების მიერ მომზადებულ პროექტს, როგორ თანდათანობით უნდა გამოგვაცალონ ხელიდან მეორე ბუმბერაზი ქართველი — **დავით IV აღმაშენებელი.**

## «ილია ჭავჭავაძე მსოფლიო იმპერატორად გამოდგებოდა. მისთვის საქართველო არწივის გალიაა», — ეს სიტყვები სტალინს ეკუთვნის. არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს, რომ სტალინი მსოფლიოს ოლიმპზე იჯდა და თბილისელ კინტოებთან ორთაჭალაში «კინტოურს» ვერ იცეკვებდა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მკრეხელობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, 2019 წელს ევროპაში დაახლოებით 3 ათასამდე სალოცავს დაესხნენ თავს, დაარბიეს და გადაწვეს — ეს ანტიქრისტიანული სიძულვილის გამოვლენის სარეკორდო მაჩვენებელია. ამას ერთვის პოლიციის განსაცვიფრებელი უძლურება — გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული თავდასხმები ხდებოდა და ხდება არა ომსა და ქაოსში ჩაძირულ ახლო აღმოსავლეთში, არამედ ისეთ მშვიდობიან და მდიდარ ქვეყნებში, როგორებიც არის გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი.**

# ანტიქრისტიანული სიძულვილი სიტყვის თავისუფლების გამოვლენად იქცა

**ბრაზილიის უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კომედია „ქრისტეს პირველი ცდუნების" ჩვენების აკრძალვის შესახებ. ფილმის ჩვენება აკრძალული იყო მისი უკიდურესად თავხედური და მკრეხელური შინაარსის გამო, მაგრამ ნაკადური ვიდეოს სერვისმა, ამერიკულმა Netflix-მა, რომელმაც გამოუშვა ეს ფილმი, ქვეყნის უზენაეს სასამართლოს მიმართა და გამარჯვებას მიაღწია — სასამართლომ ფილმი სიტყვის თავისუფლების გამოვლენად ჩათვალა. ეს გვაიძულებს, დავფიქრდეთ მკრეხელობაზე და, პირდაპირ ვთქვათ, ანტიქრისტიანულ სიძულვილზე, როგორც გლობალურ იდეოლოგიურ მოვლენაზე, რომელიც ვიღაცის გრძნობების შეურაცხყოფის ჩარჩოებიდან ძალიან შორს გავიდა.**

ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, 2019 წელს ევროპაში დაახლოებით 3 ათასამდე სალოცავს დაესხნენ თავს, დაარბიეს და გადაწვეს. ეს ანტიქრისტიანული სიძულვილის გამოვლენის სარეკორდო მაჩვენებელია. მას ერთვის პოლიციის განსაცვიფრებელი უძლურება. გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული თავდასხმები ხდებოდა და ხდება არა ომსა და ქაოსში ჩაძირულ ახლო აღმოსავლეთში, არამედ ისეთ მშვიდობიან და მდიდარ ქვეყნებში, როგორებიც არის გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი.

დავუბრუნდეთ Netflix-ს. გართობის ინდუსტრიის ამ გიგანტის საქციელიც გასაკვირია. კომერციული კომპანიები, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ სკანდალებს — თანამშრომლები, რომლებიც თავს უფლებას მისცემენ, სოციალურ ქსელში შეურაცხყონ მომხმარებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა, თუნდაც თავიანთი ექაუნთების გამოყენებით, დაუყოვნებლივ კარგავენ სამსახურს, ხელმძღვანელობა კი ბოდიშს იხდის.

და აი **NETFLIX-მა გადაწყვიტა, მძიმედ განზრახ შეურაცხყოს ყველა ქრისტიანი.** ეს უზარმაზარი კომპანიაა და შეიძლება რაღაც მომენტში შეცდომა გაეპარათ, მაგრამ, როცა გრანდიოზული სკანდალი ატყდა, შეგროვდა 2,5 მლნ ხელმოწერა Netflix-სადმი თხოვნით, უარი ეთქვა ამ ფილმის ტრანსლაციაზე, მაგრამ მაინც დაიწყო სასამართლო პროცესი, ცხადი შეიქნა, რომ ამ შეურაცხყოფას აქვს გარკვეული ფასი — მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი უარს იტყვის გამოწერაზე, ზოგიერთი მეწარმე, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან სკანდალებით, აღარ ითანამშრომლებენ ასეთ კომპანიასთან და ა.შ.

და როგორი იყო Netflix-ის რეაქცია? **ხალხის თხოვნის ხაზგასმით უგულებელმყოფელი სერვისი დაჟინებით ამბობდა, რომ აუცილებლად მოხდებოდა მკრეხელური ფილმის ტრანსლაცია და მიაღწია კიდეც ამისთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღებას ბრაზილიის სასამართლოში. კომერციის მხრივ ეს ძალიან უცნაური საქციელი იყო — „ქრისტეს პირველი ცდუნების" ტრანსლაციიდან მიღებული სარგებელი სკანდალით გამოწვეულ ზარალს ვერ დაფარავს. აქედან გამომდინარე, NETFLIX-ის მოტივები კომერციის ჩარჩოებს სცილდება. არსებობს იდეოლოგიური მოტივები, რომლებიც მოგებაზე მნიშვნელოვანია.**

თუკი ვინმე იტყვის, რომ ეს პრინციპული დამოკიდებულებაა თავისუფლებისადმი, ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად გამოთქვან აზრი, შექმნან, გამოიგონონ და სცადონ, თუნდაც ეს ვიღაცას შეურაცხყოფდეს — ეს აშკარა სიცრუეა.

**როგორც წესი, კომპანიები არც ცდილობენ თავხედი თანამშრომლების დაცვას სიტყვის თავისუფლების მომიზეზებით. კერძო კომპანია არ არის სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია თქვას: „ჩვენ ამას არ მივესალმებით, მაგრამ მის აღკვეთის იურიდიული შესაძლებლობები არ გვაქვს". კომპანია თვითონ განსაზღვრავს თავის პოლიტიკასა და შინაგანაწესს.**

მაგრამ, რაც მნიშვნელოვანია, ლაპარაკი საერთოდ არ არის პრინციპებზე. პრინციპები — ეს არის ის, რაც ვრცელდება ყველა ადამიანზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმე სულაც არ გვაქვს თვითგამოხატვის თავისუფლების ფანატიკოსებთან.

თანამედროვე კორპორაციული სამყარო — ეს არ არის შეუზღუდავი თავისუფლების სამყარო. მასში არის ძალიან ხისტი წესები, რომელთა დარღვევაც ძალიან მკაცრ რეაქციას იწვევს.

ნებისმიერი რემარკა, რომელიც შეიძლება ინტეგრირებული იყოს, როგორც „რასისტული" ან „ჰომოფობიური", იწვევს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. კომიკოსი შონ გილისი (და არა მხოლოდ ის) სამსახურიდან გააგდეს ხუმრობისთვის, რომელშიც ფხიზელმა მაყურებლებმა რასისტული და ჰომოფობიური მინიშნებები შეამჩნიეს. ყველასა და ყველაფერზე ხუმრობა დაშვებული არ არის არც Netflix-ში, არც ინდუსტრიის სხვა გიგანტებში და ეს არც მომავალში იქნება გათვალისწინებული, ისევე, როგორც, საერთოდ, კორპორაციულ სამყაროში.



**მკრეხელობის მიზანი არის არა ის, რომ ქრისტიანებს გული ატკინონ, ეს მისი თანამდევი ეფექტია. მას აქვს პოლიტიკური მიზანი — დაანგრიოს ადამიანის, როგორც თავისი ხალხისა და ქრისტიანული ცივილიზაციის წარმომადგენლის, იდენტობა; მოამზადოს ის ახალ მსოფლიო მოქალაქედ გარდასაქმნელად, რომელიც მბრძანებლებს დაემორჩილება**

რეკლამისთვის მოზიდულ ცნობილ ადამიანებთან დადებული კონტრაქტები მყისვე ირღვევა, თუკი ისინი თავს ისეთი რაღაცის უფლებას მისცემენ, რაც ამა თუ იმ ჯგუფის მიერ შეფასებული იქნება, როგორც უპატივცემულობის გამოვლენა. მეტიც, თუ გაირკვევა, რომ ეს ცნობილი ადამიანი 10 წლის წინათ თავს ისეთი რაღაცის გაკეთების უფლებას აძლევდა, რაც იმხანად დანაშაულად არ ითვლებოდა, ახლა კი შეიძლება დაგმონ, მაგალითად, კარნავალზე ინდიელის კოსტიუმის ჩაცმა ან შავი გრიმის წასმა, მასთან შეიძლება ურთიერთობა გაწყვიტონ. **საზოგადოების გულისწყრომამ რომელიღაც კულტურისა და ტრადიციების, განსაკუთრებით — სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლის აბუჩად აგდების გამო, შეიძლება სრულიად გაანადგუროს დამნაშავის კარიერა, ან ნახევრადდამნაშავის, ან, უბრალოდ, დაუდევარი ადამიანის.**

მეტიც, როგორც კი ლიბერალები მოიპოვებენ არა მხოლოდ კორპორაციულ, არამედ სახელმწიფო ძალაუფლებას, განსაცვიფრებელი მძვინვარებით იწყებენ თავიანთი იდეოლოგიის შეურაცხმყოფელთა დევნას. ცოტა ხნის წინათ მომხდარი ამის აშკარა ილუსტრაციაა. **აშშ-ის შტატ აიოვაში 30 წლის ადოლფო მარტინესმა, რომელსაც უთანხმოება მოუვიდა ბარში, გადაწყვიტა, ამ დაწესებულების ტრანსგენდერი მეპატრონისთვის სამაგიერო გადაეხადა და ბარის წინ ლგბტ-თა დროშა ჩამოხსნა და დაწვა. აი ამ წვრილმანი ხულიგნობისთვის, რომლის გამოც ნებისმიერი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ალბათ, 15 დღით დააპატიმრებდნენ, მარტინესს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ბევრ ქვეყანაში 15-წლიან პატიმრობას მკვლელობის გამო უსჯიან.**

არავინ აპირებს სიცოცხლის გაწირვას სხვების (განსაკუთრებით საკუთარი თანამშრომლების) უფლების გამო — ილაპარაკოს, რაც მოესურვება, მაგრამ არიან ჯგუფები, რომლებისთვისაც სიტყვის გადაკვრაც არ შეიძლება.

როდესაც გველაპარაკებიან „სიტყვის თავისუფლების წმინდა პრინციპებზე", უბრალოდ, ცრუობენ.

თანამედროვე ლიბერალიზმი (რომელიც არ უნდა ავურიოთ კლასიკურ ლიბერალიზმში, რომელთანაც მას საერთო არაფერი აქვს) — ეს არის რევოლუციური ტოტალიტარული იდეოლოგია, რომლისთვისაც ნებისმიერ პრინციპს სამსახურებრივი ხასიათი აქვს.

ლიბერალიზმი ეუფლება ძალაუფლებას ხანგრძლივი პროცესის შედეგად, რომელიც გერმანელმა ნეომარქსისტმა აქტივისტმა **რუდი დუჩკემ** აღწერა, როგორც „ხანგრძლივი მარში ინსტიტუტების გავლით". ეს არის საზოგადოების

**კლაივ ლუისის რომანში «უსაზიზღრესი ძლიერება» «შიგა წრის» წევრები პოტენციურ ადეპტს «ობიექტურობის კურსს» უტარებენ, რათა მასში დაანგრიონ ძველი ფასეულობები და მიდრეკილებები. როგორც რომანშია ნათქვამი, «ის შეჭამს რაღაც საზიზღრობას, დაიწყებს ქექვას სისხლსა და სიბინძურეში, შეასრულებს უხამს რიტუალებს». ერთ-ერთ ეტაპზე ადეპტს მოსთხოვენ, ფეხით გათელოს ჯვარცმა. მას გაუკვირდება: რისთვის? ისედაც არ ვარ მორწმუნე?!**

**პროცესი საკმაოდ შორს წავიდა, ლიბერალები პირდაპირ და არაორაზროვნად უარყოფენ სიტყვის თავისუფლებას ლოზუნგით: „სიძულვილის ენით ლაპარაკზე სიტყვის თავისუფლება არ ვრცელდება“, ხოლო „სიძულვილის ენა“, მათი გაგებით, არის ნებისმიერი ფორმით გამოხატული უთანხმოება ლიბერალურ ტოტალიტარიზმთან. იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ სუსტი არიან, პირიქით — აპელირებენ სიტყვის თავისუფლებაზე, რათა იღვაწონ ძველი სიწმინდეების წასაბილწად და ძველი წესების გასანადგურებლად.**

მკრეხელობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აფეთქება ინფილტრაციის მეშვეობით მის ისეთ სტრუქტურებში, როგორებიც არის განათლება, კულტურა და ეკლესიაც კი.

**პროცესი საკმაოდ შორს წავიდა, ლიბერალები პირდაპირ და არაორაზროვნად უარყოფენ სიტყვის თავისუფლებას ლოზუნგით: „სიძულვილის ენით ლაპარაკზე სიტყვის თავისუფლება არ ვრცელდება“, ხოლო „სიძულვილის ენა“, მათი გაგებით, არის ნებისმიერი ფორმით გამოხატული უთანხმოება ლიბერალურ ტოტალიტარიზმთან. იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ სუსტი არიან, პირიქით — აპელირებენ სიტყვის თავისუფლებაზე, რათა იღვაწონ ძველი სიწმინდეების წასაბილწად და ძველი წესების გასანადგურებლად.**

კაცობრიობის გარდაქმნის ლიბერალურ გლობალურ პროექტს ჰყავს თავისი ბუნებრივი მტრები — რწმენა, ოჯახი და სამშობლო. ჩამოთვლილი მიზეზები ადამიანის ცხოვრებას აძლევს აზრს და ლოიალურობას, რომელიც განსხვავდება გლობალური პროექტის ლოიალურობისგან. ადამიანები, რომლებიც ინარჩუნებენ ერთგულებას თავიანთი ტრადიციების, განსაკუთრებით, რწმენის მიმართ, გლობალურ იდეოლოგიას დამცინავად უყურებენ.

ისინი გულგრილნი არიან თვით კარგი რეჟისორების მიერ განხორციელებული პროექტების მიმართაც კი, როგორიც არის, მაგალითად, **გრეტა ტუნბერგი.**

ამიტომ **ადამიანები გლობალურად რომ გარდაქმნან კეთილ ადამიანებად, მათ ლოიალურობას ძველი სამყაროს ისეთი ინსტიტუტების მიმართ, როგორებიც არის ოჯახი, ეკლესია და სამშობლო, ძირი უნდა გამოუთხარო.**

მით უმეტეს, რომ ამ ინსტიტუტებს წარმოგვიდგენენ აუტანლად დამთრგუნველ ინსტიტუტებად. ისინი ქადაგებენ ისეთ ქცევებსა და ურთიერთობებს, რომლებიც ამართლებს ბოროტებასა და უსამართლობას მსოფლიოში. აქ ხაზგასმულ მკრეხელობას აქვს სრულიად გამოყენებითი და რაციონალური მიზანი — დაანგრიოს ადამიანების ემოციური ერთგულება „დაწყევლილი წარსულის“ ფასეულობების მიმართ.

**კლაივ ლუისის** რომანში „უსაზიზღრესი ძლიერება“ „შიგა წრის“ წევრები პოტენციურ ადეპტს „ობიექტურობის კურსს“ უტარებენ, რათა მასში დაანგრიონ ძველი ფასეულობები და მიდრეკილებები. როგორც რომანშია ნათქვამი, „ის შეჭამს რაღაც საზიზღრობას, დაიწყებს ქექვას სისხლსა და სიბინძურეში, შეასრულებს უხამს რიტუალებს“. ერთ-ერთ ეტაპზე ადეპტს მოსთხოვენ, ფეხით გათელოს ჯვარცმა. მას გაუკვირდება: რისთვის? ისედაც არ ვარ მორწმუნე. აუხსნიან:

**„თქვენ ზედაპირულად მსჯელობთ. ქრისტიანულ საზოგადოებაში რომ არ გაზრდილიყავით, ეს სავარჯიშო არ შეგეხებოდათ. რა თქმა უნდა, ეს ცრურწმენაა, მაგრამ სწორედ ის ამყოფებს წნეხში ჩვენს ცივილიზაციას ასწლეულების განმავლობაში. შეიძლება ექსპერიმენტულად დამტკიცდეს, რომ ის არსებობს ქვეცნობიერში იმ პირებისა, რომლებიც მას ცნობიერად უარყოფენ. აქედან გამომდინარე, სავარჯიშო მიზანშეწონილია და აქ სამსჯელო არაფერია. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მის გარეშე არ შეიძლება“.**

იმისთვის, რომ დაანგრიონ კავშირი (ბუნდოვანი) ადამიანისა ქრისტესთან, წინაპრებთან, რომლებსაც ის სწამდათ, ცივილიზაციასთან, რომელიც მათ შექმნეს, ადამიანს აიძულებენ, ფეხქვეშ გათელოს ჯვარცმა — თავდაპირველად, დაითანხმონ, რომ ეს მისაღები და დასაშვებია, არ გინდა — არ გათელო, უბრალოდ, სხვას არ შეუშალო ხელი, შემდეგ



კადრი ფილმიდან „ქრისტეს პირველი ცდუნება“

**აშშ-ის შტატ აიოვაში 30 წლის ადოლფო მარტინესმა, რომელსაც უთანხმოება მოუვიდა ბარში, გადაწყვიტა, ამ დაწესებულების ტრანსგენდერი მეპატრონისთვის სამაგიერო გადაეხადა და ბარის წინ ლგბტ-თა დროშა ჩამოხსნა და დაწვა. აი ამ წვრილმანი ხულიგნობისთვის, რომლის გამოც ნებისმიერი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ალბათ, 15 დღით დააპატიმრებდნენ, მარტინესს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ბევრ ქვეყანაში 15-წლიან პატიმრობას მკვლელობის გამო უსჯიან**

ირიბად დაუჭირო მხარი — ისინი, ვინც ჯვარცმის გათელვის წინააღმდეგია, არიან ფანატიკოსები და მათ გამო მეუხერხულება — შემდეგ პირდაპირ ჩაერთო ჯვარცმის ფეხით გათელვაში.

ხოლო **დამორჩილება ადამიანისა, რომლის გულმაც, როგორც პოეტმა თქვა, „ბოლო სირცხვილი განიცადა და მასში ყველაფერი შებილწულია“, ადვილია. დიქტატს წინააღმდეგობა რომ გაუწიო, საჭიროა ფასეულობები, ადამიანს კი, რომელმაც ისინი NETFLIX-ის გამოწერაზე გაყიდა, ფასეულობები უკვე აღარ აქვს. ამიტომ აუცილებლად უნდა გვქონდეს კანონი, რომელიც აღკვეთს რელიგიის შეურაცხყოფას. ეს კანონი დაიცავს ჩვენს კულტურასა და ცივილიზაციას დანგრევის მცდელობებისგან.**

მკრეხელობის მიზანი არის არა ის, რომ ქრისტიანებს გული ატკინონ. ეს მისი თანამდევი ეფექტია. მას აქვს პოლიტიკური მიზანი — დაანგრიოს ადამიანის, როგორც თავისი ხალხისა და ქრისტიანული ცივილიზაციის წარმომადგენლის, იდენტობა, მოამზადოს ის ახალ მსოფლიო მოქალაქედ გარდასაქმნელად, რომელიც მბრძანებლებს დაემორჩილება.

**რა თქმა უნდა, ჩვენგან გააფთრებით მოითხოვენ მკრეხელობის თავისუფლებას სიტყვის თავისუფლების ნიღბით — იმ მიზეზებით, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.**

მაგრამ სიტყვის თავისუფლება — მათ შორის ანტირელიგიური პოლემიკის თავისუფლება — ტოლფასი არ არის მკრეხელობის თავისუფლების. როდესაც ლიბერალები იბრძვიან მკრეხელობის თავისუფლებისთვის სიტყვის თავისუფლების ნიღბით, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ცრუობენ. როგორც კი ისინი მოიპოვებენ საკმარის ძალაუფლებასა და გავლენას, ისინი მყისვე ზღუდავენ სიტყვის თავისუფლებას ისე, რომ ყველას მოუწევს, დაუკვირდეს, რას ამბობს. **და არც ერთ შემთხვევაში, ძლიერი გაღიზიანების მომენტშიც კი, თავს უფლება არ უნდა მისცეთ, უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატოთ ცისარტყელასფერებიანი ლგბტ დროშის მიმართ. ლიბერალები არ მოითმენენ თავიანთი სიწმინდის შეურაცხყოფას.**

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უნდა მივბაძოთ ლიბერალებს მძვინვარებაში და ადამიანები 15 წლით ციხეში არ უნდა გამოვამწყვდიოთ, მაგრამ მკრეხელობის ჩამდენნი კარგად უნდა შევაჯანჯღაროთ, თუკი შეგვრჩა ღირსებები — ადამიანური, რელიგიური, ეროვნული, ცივილიზაციური, მათთვის უნდა ვიბრძოლოთ!

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ვინ არიან ლგბტ პროპაგანდის სპონსორები

**რატომ ვრცელდება ლგბტ იდეოლოგია ასე სწრაფად დასავლეთში? კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ აშშ-ში გეები არა მხოლოდ მდიდრები არიან ნორმალურ ადამიანებზე, არამედ უფრო მეტ ფულს ხარჯავენ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, კორპორაციებიც და პატარა ფირმებიც დაინტერესებულნი არიან, გააკეთონ ისეთი რაღაცის საწინააღმდეგო, რასაც აკეთებს გერმან სტერლიგოვი (რუსი მეწარმე, რუსეთში სასაქონლო ბირჟის თანადამფუძნებელი, მონარქისტი, მართლმადიდებელი, რომელიც აბორტებისა და სექსუალური უმცირესობის წინააღმდეგ გამოდის) — თავიანთ ოფისებზე გამოაკრან ცისარტყელასფერებიანი დროშა, რათა მიიზიდონ და თავიანთ კლიენტად აქციონ აუდიტორიის ეს გადამხდელუნარიანი ნაწილი.**

აი რას წერს ბესტსელერების ავტორი, მრავალი კერძო კომპანიის მარკეტინგის კონსულტანტი, მრჩეველი და მასწავლებელი, მულტიმილიონერი **დენ კენედი:**

„...თუ რაღაც მიზეზების გამო, რომლებიც დაკავშირებული არ არის ბიზნესთან, თქვენ განზრახული გაქვთ, არ მიაწოდოთ საქონელი მდიდარ გეებსა და ლესბოსელებს, უბრალოდ, იცოდეთ, რომ ეს ცუდი საქმიანი გადაწყვეტილებაა და, თუკი აწარმოებთ ბიზნესს, რომელშიც თქვენ გარდა არიან სხვა აქციონერებიც, მაშინ ეს ფინანსურად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაცაა“.

*** კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ გეების 80%-ს საშუალოზე მეტი შემოსავალი აქვს; 40% გამოიმუშავებს 100 ათას დოლარზე მეტს წელიწადში;**




*** ლგბტ-თა საერთო მსყიდველობითი უნარი 2016 წელს 915 მლრდ დოლარი იყო და ის განაგრძობს მატებას;**

*** მოგზაურობისას გეები 30%-ით მეტს ხარჯავენ, ვიდრე ნორმალურები;**

*** გეები 2-ჯერ უფრო ხშირად ყიდულობენ ქალაქგარეთ სახლს, 6-ჯერ ხშირად ყიდულობენ საშინაო კინოთეატრს, ვიდრე ჰეტეროსექსუალები.**

იაპონურმა ავტომწარმოებელმა „სუბარუმ“ თავისი პრობლემები გადაჭრა იმ ჯგუფის მეშვეობით, რომელსაც სხვა ავტომწარმოებლები ყურადღებას არ აქცევდნენ. კვლევებმა აჩვენა, რომ მანქანების მყიდველთა დიდი რაოდენობა ლესბოსელი იყო. კომპანიამ სპეციალურად მათთვის გააკეთა რეკლამა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთი იყო: „ეს არჩევანი არ არის, ჩვენ ასე ვართ მოწყობილი“. და სარეკლამო კამპანიაში ჩართო ლგბტ თემის ცნობილი წარმომადგენლები, მაგალითად, ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა.**

როგორც ხედავთ, საქმე გვაქვს თვითმხარდამჭერ სისტემასთან. გეი მდიდარია საშუალო ამერიკელზე, კორპორაციები თავიანთ რეკლამას მიმართავენ გეებზე, მასობრივი სარეკლამო კამპანია კი ამ პრივილეგიურ ბანაკში კიდევ მეტ „რეკრუტს“ იზიდავს.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

«სიკვდილის აბი»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებშიც ევთანაზია ნებადართულია, ნიდერლანდებში მას იყენებენ არა მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სასიკვდილოდ არიან ავად და საშინელ ტკივილს განიცდიან. ევთანაზიით სიკვდილის საბაბი შეიძლება იყოს ნებისმიერი გაურკვეველი „ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა — მათი ხარისხის განსაზღვრა დამოკიდებულია ექიმსა და პაციენტზე.“ ამას გარდა, ევთანაზია შეიძლება ჩაუტარდეს ფსიქიკურად ავადმყოფებს, მიუხედავად იმისა, რომ, დიაგნოზის მიხედვით, ისინი შეიძლება სრულად ვერც აცნობიერებდნენ, რასაც აკეთებენ. ევთანაზია პრაქტიკულად უფასოა — მის ღირებულებაში შედის სტანდარტული სამედიცინო დაზღვევა, რომელიც ყველა ნიდერლანდელს აქვს.**

# ცივილიზებული დასავლეთის სწრაფი დეგრადაცია: ნიდერლანდებში 2002 წლიდან ევთანაზია 12-დან 17 წლამდე ათეულობით ბავშვის მიმართ გამოიყენეს

**ნიდერლანდების იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროები 2 წლის წინათ გამოვიდნენ ერთობლივი საკანონმდებლო ინიციატივით — ქვეყანაში მცხოვრები 70 წელზე მეტი ხნის თითოეული მოქალაქე უზრუნველეყოთ უფასო „სიკვდილის აბით“. ეს აბი მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ექიმთან კონსულტაციის გარეშე. ექიმების დახმარებით ჩადენილი თვითმკვლელობების მიხედვით, ნიდერლანდები მსოფლიო დედაქალაქად იქცა, თუმცა მომხდარის უკან იმალება კრიმინალისა და მასობრივი მანიპულაციის ზღვარზე არსებული სტატისტიკის ბოროტად გამოყენება.**

ევთანაზიის პრაქტიკამ ჰოლანდიელი საზოგადოება და ექიმები უამრავი უხერხული კითხვის წინაშე დააყენა, უწინარესად, ეთიკური კითხვების.

ამქვეყნიდან ექიმის დახმარებით ნებაყოფლობითი წასვლა 2002 წელს ევთანაზიის შესახებ კანონის მიღებამდეც ხდებოდა ნიდერლანდებში. მოსამართლეებს გადაწყვეტილება ყოველთვის ექიმების სასარგებლოდ გამოჰქონდათ, რომლებიც პაციენტებს სასიკვდილო ინიექციებს უკეთებდნენ. 1990-იანი წლების შუაში ევთანაზიას იყენებდნენ ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანების მიმართაც, თუკი ისინი ამას მოითხოვდნენ.

2002 წელს კი მიიღეს კანონი ევთანაზიის შესახებ. ნიდერლანდებმა პლანეტის დანარჩენ ქვეყნებს გაუსწრო — თვითმკვლელობის მიმართ ასეთი ლიბერალური მიდგომა ჯერჯერობით არც ერთ სახელმწიფოში არ არის. ევთანაზია შეიძლება მოითხოვოს ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ, თუკი მას შეუსრულდა 12 წელი. თუ პაციენტი 16-დან 18 წლამდეა, მისი გადაწყვეტილების შესახებ მშობლებს აცნობებენ, მაგრამ მათი აზრი ვერაფერს შეცვლის. 16 წლამდე ბავშვისთვის კი აუცილებელია მშობლების თანხმობა ევთანაზიის პროცედურის ჩასატარებლად.

განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებშიც ევთანაზია ნებადართულია, ნიდერლანდებში მას იყენებენ არა მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სასიკვდილოდ არიან ავად და საშინელ ტკივილს განიცდიან. ევთანაზიით სიკვდილის საბაბი შეიძლება იყოს ნებისმიერი გაურკვეველი „ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა — მათი ხარისხის განსაზღვრა დამოკიდებულია ექიმსა და პაციენტზე“. ამას გარდა, ევთანაზია შეიძლება ჩაუტარდეს ფსიქიკურად ავადმყოფებს, მიუხედავად იმისა, რომ, დიაგნოზის მიხედვით, ისინი შეიძლება სრულად ვერც აცნობიერებდნენ, რასაც აკეთებენ. ევთანაზია პრაქტიკულად უფასოა — მის ღირებულებაში შედის სტანდარტული სამედიცინო დაზღვევა, რომელიც ყველა ნიდერლანდელს აქვს. პაციენტის სიკვდილის გამო კანონი ათავისუფლებს მედიკოსებს ყველანაირი პასუხისმგებლობისგან.

**2002 წლიდან ევთანაზიის გამო ექიმების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არც ერთი შემთხვევა არ აღრიცხულა. ქვეყანაში ათასობით ექიმი ეხმარება პაციენტებს თვითმკვლელობაში და არავინ ფიქრობს იმაზე, როგორ მიესადაგება ეს ჰიპოკრატეს ფიცს.**

ბოლო წლებში ნებაყოფლობითი თვითმკვლელობა მოდური შეიქნა. ნიდერლანდები „ევთანაზია ტერორიზმის“ მსოფლიო დედაქალაქად იქცა და ამ მხრივ ლიდერობა ჩამოართვა შვეიცარიას, სადაც ყველაფერი ძალიან ძვირია. თვით ჰოლანდიელებმაც მასობრივად დაიწყეს შედგენა ანდერძებისა, რომლებშიც წერდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაავადდებოდნენ ალცჰაიმერით ან დემენციით (შეძენილი გონებასუსტობა) და ველარ გააცნობიერებდნენ ვითარებას, ნათესავებს მათთვის ევთანაზიის ჩატარება უნდა უზრუნველეყოთ. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სიცოცხლის ნებაყოფლობით მოსწრაფება თავისებურ პრესტიჟულ მოთხოვნად იქცა. ევთანაზიის მასობრივად დანერგვის მთავარი მომხრეები არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ყველაზე შეძლებულ ფენას ეკუთვნიან.

**ამჟამად ქვეყანაში აღრიცხულია ევთანაზიის დაახლოებით 6,5 ათასი შემთხვევა წელიწადში. საინტერესოა, რომ ეს შემთხვევები გათვალისწინებული არ არის თვითმკვლელობის სტატისტიკაში. ევთანაზიის გარეშე კი თვითმკვლელთა რაოდენობა 2 ათასამდეა. ამ მანიპულაციებით ნიდერლანდები შესანიშნავად გამოიყურება მსოფლიოს ქვეყნების სარეიტინგო სიაში სუიციდის რაოდენობის მიხედვით.**

გარდაცვალების კიდევ 32 ათასი შემთხვევა წელიწადში არაბუნებრივი გზით არის გამოწვეული — რაღაც მომენტში ნათესავები ან ექიმები, უბრალოდ, აპარატს უთიშავენ უგონო მდგომარეობაში მყოფ პაციენტს, შემდეგ სიკვდილის მიზეზად წერენ „გაუწყლოებას“ ან „გამოფიტვას“. აპარატიდან გათიშვაც, რა თქმა უნდა, სტატისტიკაში არ ხვდება და მკვლელობად არ ითვლება. საერთო ჯამში, ნიდერლანდებში ყოველწლიურად სიკვდილის 40 ათასი შემთხვევა „არაბუნებრივია“ — ეს არის ან ევთანაზია, ან აპარატიდან გათიშვა, რაც ქვეყანაში სასიკვდილო შემთხვევების 40%-ზე მეტია.



ბევრისმნახველი ნიდერლანდელი ექიმები ბოლო პერიოდში დაეჭვდნენ ევთანაზიის შესახებ კანონის ასეთი ლიბერალურობის მართებულობაზე. 2002 წლიდან დღემდე ევთანაზია გამოყენებული იქნა

**2002 წლიდან ევთანაზიის გამო ექიმების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არც ერთი შემთხვევა არ აღრიცხულა. ქვეყანაში ათასობით ექიმი ეხმარება პაციენტებს თვითმკვლელობაში და არავინ ფიქრობს იმაზე, როგორ მიესადაგება ეს ჰიპოკრატეს ფიცს**

12-დან 17 წლამდე ათეულობით ბავშვის მიმართ. ამერიკელი ფსიქოლოგი **სკოტ კიმი** თავის ესეში აღწერს ისტორიას სრულიად ჯანმრთელი ქალისა, რომელიც უზრუნველყვეს ევთანაზიით, იმიტომ, რომ ერთი წლის განმავლობაში ვერ გაუმკლავდა ქმრის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას. საქმე ის არის, რომ **ხანგრძლივი მწუხარება შედის მეთოდოლოგიაში, რომელსაც ეწოდება „დაავადების მსოფლიო კლასიფიკაცია“.**




მიუხედავად იმისა, რომ ევთანაზიის ჩატარების შესახებ თითოეულ ანგარიშს განიხილავს ექიმების „სამეული“, რომელშიც აუცილებლად შედის ბიოეთიკის სპეციალისტი, ამ პროცედურის ორგანიზატორების მიმართ სულ უფრო ხშირად გაისმის რთული ეთიკური კითხვები.

გაზეთ „გარდიანის“ ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუებში, რომლებიც ევთანაზიის საკითხებს ეხებოდა, ნიდერლანდელმა მედიკოსებმა გაიხსენეს საშინელი შემთხვევები თავიანთი პრაქტიკიდან. მაგალითად, მოქალაქეები, რომლებმაც დაწერეს ანდერძი ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში ევთანაზიის ჩატარების თხოვნაზე, სულ უფრო ხშირად ეწინააღმდეგებიან მათთან მისულ სპეციალისტებს. მეორე ექიმის თქმით, ერთ-ერთი პაციენტი, რომელიც შეეწინააღმდეგა ევთანაზიას, ნათესავებმა გათოკეს და ასე ეკავათ, სანამ ექიმი ინიექციას უკეთებდა.

**სხვა მოხუცს ევთანაზია ჩაუტარეს ცოლის მოთხოვნით, თუმცა მას, დემენციით დაავადების შემდეგ, შეეშინდა თავისი გადაწყვეტილების და უარს ამბობდა სიცოცხლის მოსწრაფებაზე.**

2016 წელს გახმაურდა **ელკო დე გოიერის** მშობლების ისტორია. მათი 38 წლის შვილი ფიზიკურად ჯანმრთელი იყო, მაგრამ გონებრივად ჩამორჩენილი და ფსიქიკური დაავადებით იტანჯებოდა. მშობლებმა, ფაქტობრივად, დაითანხმეს შვილი, ჩაეტარებინა ევთანაზია და მისი სახელით შესაბამისი განცხადებაც შეიტანეს.

რამდენიმე ექიმმა უარი განაცხადა, სასიკვდილო ინიექცია გაეკეთებინა ელკოსთვის — ისინი მიიჩნევდნენ, რომ მამაკაცი მშობლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ვერ ხვდებოდა, რას სთხოვდნენ. ელკოს მშობლებმა მიმართეს კლინიკას „სიცოცხლის ბოლოს“. ეს არის ქვეყანაში უდიდესი დაწესებულება, რომელიც აქტიურად იყენებს ევთანაზიას მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლების მიმართ.



სიკვდილის წინ ელკო მხიარული იყო და ეხუმრებოდა კიდეც ექიმს, რომელიც მასთან ინიექციის გასაკეთებლად მივიდა. ელკოს ევთანაზიის შემდეგ მის მშობლებზე დაწერეს ნიდერლანდულმა გამოცემებმა. მათ გამოაქვეყნეს მკითხველთა უამრავი წერილი. უმრავლესობა მხარს უჭერდა გოიერებს. „ნებაყოფლობითი ევთანაზიის ჰოლანდიურმა საზოგადოებამ“ — სპონსორმა კლინიკისა „სიცოცხლის ბოლო“ — გოიერების შვილის სიკვდილს „იდეალური ევთანაზიის სანიმუშო მაგალითი“ უწოდა.

ევთანაზიის შესახებ კანონის მიღებას ახლდა მისი მოწინააღმდეგეების მრავალათასიანი მიტინგები, დღეს მათ მხარეს შეიძლება გადავიდეს ბევრი ექიმი, რომლებიც რეალურად შეეჯახნენ ამ უცნაურ პრაქტიკას, მაგრამ ევთანაზიას ჰყავს თავისი გავლენიანი ლობიც.

იმავე **„ნებაყოფლობითი ევთანაზიის ჰოლანდიურ საზოგადოებაში“ 170 ათასი კაცია გაერთიანებული — უფრო მეტი, ვიდრე ნიდერლანდების ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიაში. ეს საზოგადოება რეგულარულად მართავს მრავალრიცხოვან შეკრებებს, მიტინგებს. მას მიიჩნევენ „ერთ-ერთ გავლენიან ჯგუფად ქვეყანაში. მისი წევრების უმრავლესობა ქვეყნის ყველაზე შეძლებული, პროფესიონალურად წარმატებული და განათლებული ადამიანები არიან. ისინი შეუზღუდავ ევთანაზიას უჭერენ მხარს.**

ცხოვრებიდან ნებაყოფლობით წასვლას, აგრეთვე, უჭერენ მხარს სადაზღვევო კომპანიები, მათ ერთი ევთანაზია 3 ათასი ევრო უჯდებათ, მოხუცის მოვლა კი — ათი და, ზოგჯერ, 100 ათასი ევრო. სარგებელი აშკარაა.

სხვათა შორის, სიცოცხლესთან გამოსალმება შეიძლება კიდევ უფრო მარტივი და იაფი იყოს. ორი წლის წინათ ნიდერლანდების იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ 70 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს უფასოდ დაურიგდეთ „სიკვდილის აბები“. ამ აბს მოქალაქე ექიმთან კონსულტაციის გარეშე მიიღებს.

კანონპროექტი ჯერჯერობით „გაყინულია“, მაგრამ, ნიდერლანდების რეპუტაციის პროგრესულობის გათვალისწინებით, ქვეყანა ოვერტონის ამ სარკმლის გაღებასაც შეძლებს.

**ნიდერლანდებმა პლანეტის დანარჩენ ქვეყნებს გაუსწრო — თვითმკვლელობის მიმართ ასეთი ლიბერალური მიდგომა ჯერჯერობით არც ერთ სახელმწიფოში არ არის. ევთანაზია შეიძლება მოითხოვოს ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ, თუკი მას შეუსრულდა 12 წელი. თუ პაციენტი 16-დან 18 წლამდეა, მისი გადაწყვეტილების შესახებ მშობლებს აცნობებენ, მაგრამ მათი აზრი ვერაფერს შეცვლის. 16 წლამდე ბავშვისთვის კი აუცილებელია მშობლების თანხმობა ევთანაზიის პროცედურის ჩასატარებლად**

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ქალაქ ლენინგრადს ალყა შემოარტყეს 1941 წლის 7 სექტემბერს და ეს საშინელება თითქმის 900 დღეს გაგრძელდა. გაყინულმა ლადოგის ტბამ გასწია გზის მაგივრობა, რომლითაც ლენინგრადელებისთვის სურსათ-სანოვაგე გადაჰქონდათ. ამ გზას „სიცოცხლის გზა" უწოდეს. ბლოკადის პერიოდში, სხვადასხვა მონაცემით, დაიღუპა 400 ათასიდან 500 ათასამდე ადამიანი, მათი უმრავლესობა შიმშილმა შეიწირა.

# ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის 77 წლისთავი



**77 წლის წინათ, 1943 წლის 18 იანვარს, ოპერაცია „ისკრის" მიმდინარეობისას საბჭოთა მეომრებმა ლენინგრადის ბლოკადა გაარღვიეს.**

ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტის ქვედანაყოფები ლადოგის ტბის სამხრეთ ნაპირზე შეერთდნენ, მაგრამ ბლოკადის სრულად მოხსნას ლენინგრადელები კიდევ 1 წელიწადს ელოდნენ.

ლენინგრადის ბლოკადა ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია საბჭოთა და, საერთოდ, მსოფლიოს ისტორიაში. გერმანელებმა ქალაქ ლენინგრადს ალყა შემოარტყეს 1941 წლის 7 სექტემბერს და ეს საშინელება თითქმის 900 დღეს გაგრძელდა. გაყინულმა ლადოგის ტბამ გასწია გზის მაგივრობა, რომლითაც ლენინგრადელებისთვის სურსათ-სანოვაგე გადაჰქონდათ. ამ გზას „სიცოცხლის გზა" უწოდეს. ბლოკადის პერიოდში, სხვადასხვა მონაცემით, დაიღუპა 400 ათასიდან 500 ათასამდე ადამიანი, მათი უმრავლესობა შიმშილმა შეიწირა.



# ვლადიმერ პუტინი: «საჭიროა, დაიწყოს სერიოზული და პირდაპირი საუბარი სტაბილური მსოფლიო წესრიგის ძირითად პრინციპებზე»

**რუსეთის მთავრობის გადადგომისა და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ გავრცელებული ინფორმაციების ფონზე ცოტამ თუ მიაპყრო ყურადღება წინადადებას, რომელიც რფ-ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის გამოსვლაში თქვა. მან ყველას შესთავაზა, რომ „დაიწყოს სერიოზული და პირდაპირი საუბარი სტაბილური მსოფლიო წესრიგის ძირითად პრინციპებზე", ე.ი. საერთაშორისო საქმეებში ახალ წესებსა და მსოფლიოს ახალ გადანაწილებაზე.**

„...სერიოზული და პირდაპირი საუბარი სტაბილური მსოფლიოს დღის წესრიგი ძირითად პრინციპებზე, იმ უმწვავეს პრობლემებზე, რომლებსაც აწყდება კაცობრიობა, რა თქმა უნდა, მომწიფდა. უნდა გამოვავლინოთ პოლიტიკური ნება, სიბრძნე, სიმამაცე. დრო ითხოვს ჩვენი საერთო პასუხისმგებლობისა და რეალური ქმედებების გაცნობიერებას. ამის მაგალითი მსოფლიოს უნდა მისცენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელმა ქვეყნებმა. სახელდობრ, ბირთვული იარაღის მქონე 5 სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კაცობრიობის შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების საქმეში. 5-მა ერმა, უწინარესად, უნდა დაიწყოს გლობალური ომის წინაპირობების აღმოფხვრა, პლანეტაზე მშვიდობის უზრუნველსაყოფად გამოიმუშაოს განახლებული მიდგომები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ასპექტები..."

ექსპერტთა აზრით, ამ წინადადების მთავარი ადრესატები არიან აშშ და ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი ნახსენები იყვნენ ფორმალურად, ზრდილობის გამო.

# რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ვარშავის გათავისუფლების 75 წლისთავზე საიდუმლო დოკუმენტები გაასაჯაროა

**17 იანვარს 75 წელი შესრულდა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ფაშისტი დამპყრობლებისგან გათავისუფლებიდან. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თავისი არქივიდან დოკუმენტები გამოამზეურა.** სამხედრო უწყებამ თავის ვებგვერდზე შექმნა ახალი ისტორიული განყოფილება, რომელშიც გამოქვეყნდა უნიკალური დოკუმენტები. ეს დოკუმენტები ასახავს პერიპეტიას ვარშავის აჯანყებისა, რომელიც მოხდა 1944 წელს. აგრეთვე, გამოქვეყნებულია კადრები ბელორუსიის 1-ელი ფრონტის ოპერატიული სამმართველოს ალბომიდან. მათზე აღბეჭდილია დაცვის გარღვევა, შტურმისა და საარტილერიო მომზადების შედეგები. ვებგვერდის ახალ განყოფილებაში გამოქვეყნებულია ფაშისტების მიერ პოლონეთში ჩადენილი დანაშაულებისა და წითელი არმიის ზურგში 1944-1945 წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე „არმია კრაიოვას" ტერორისტული საქმიანობის შესახებ დოკუმენტები.




რფ-ის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ ეს დოკუმენტები გამოაქვეყნეს ისტორიული სიმართლის შესანარჩუნებლად და ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად. ამ დღის აღსანიშნავად მოსკოვში, გამარჯვების პარკში, დააქუხეს გამარჯვების სალუტი და გაუშვეს ფოიერვერკი.



# მიშუსტინი: მთავრობის ყველა წევრი პერსონალურად აგებს პასუხს

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გამართულ მოსმენებზე რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა მიხეილ მიშუსტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია მომავალი მთავრობის პასუხისმგებლობის ამაღლება.**

„თუ თქვენ მხარს დაუჭერთ ჩემს კანდიდატურას, გარწმუნებთ, რომ მთავრობის ყველა წევრი პერსონალურად აგებს პასუხს განვითარების ეროვნული მიზნების მიღწევაზე... მიმაჩნია, რომ მთავრობამ უნდა იგრძნოს, რომ მას ყოველთვის მოსთხოვენ პასუხს", — აღნიშნა მიშუსტინმა.

# ევროპის გათავისუფლება: სარაევოში გამარჯვების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა

**ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში ფაშისტებისგან აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.**

ექსპოზიცია ეძღვნება წითელი არმიისა და მისი მოკავშირეების მოქმედებებს იუგოსლავიაში 1944 წელს. ლაპარაკია ბელგრადის შეტევით ოპერაციაზე, ბრძოლების გმირებზე, იმის შესახებ, როგორ ეხმარებოდა სსრკ ქვეყანას იარაღითა და ტექნიკით, იუგოსლავიელი ხალხის დამოკიდებულებაზე განმათავისუფლებლების მიმართ.

ბევრი დოკუმენტი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა გრიფით „საიდუმლო". ასეთი გამოფენები უკვე გაიმართა ბულგარეთში, პოლონეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში.





გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერი, რომელიც „ჰთაკილობს სხვისგან ჭკუის სწავლებას“, არ ითვისებს „სხვის ავკარგიანობას“, კარგავს საკუთარ ისტორიასაც, ნაციონალურ ფასეულობებსაც, განვითარების შესაძლებლობებსაც, ის ვერ გაუფრთხილდება იმას, რაც აქამდე შეუქმნია და ვერც რამე ახალს შექმნის.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ერი, რომელიც სულ სხვის ჭკუაზე დადის, სხვისგან ითვისებს ათასგვარ სიგლახეს, დასაღუპადაა განწირული

**ქართველი ხალხის განვითარებისთვის აუცილებელ პირობად ილია საერთაშორისო სინამდვილის გაცნობიერებას და ამ სივრცეში საკუთარი ადგილის მოპოვებას მიიჩნევს. ამის დასტურია ის, რომ ილიას პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სხვადასხვა ხალხისგან განვითარების საუკეთესო გამოცდილებების ათვისებასა და სხვათა მცდარი გზების ანალიზს. მისი საგანგებო ყურადღების საგანია დასავლეთის დაწინაურებული ქვეყნები, რომელთა გამოცდილების გაზიარება და მათ მიერ არჩეული განვითარების გეზის გათავისება საქართველოს ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებად ესახება. ჩვენ კი დღეს ევროპიდან ისეთი ცხოვრების წესის გადმოღებასა და ისეთი სიმახინჯეების დანერგვას გვთავაზობენ, რომლებიც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების პროგრესის შესაძლებლობას კი არა, ერის გადაგვარებასა და სახელმწიფოს მოშლას უფრო შეუწყობს ხელს.**

თავისი დროის ევროპის წინსვლას ილია ასე აფასებს: „ისტორია და წარმატება მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისთვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელნი და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის ულღის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. **ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგან ამისთვის ბარიც აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი.**

ამ მეცნიერებას და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა“ *(ილია ჭავჭავაძე, „აზია წინათ და ეხლა“, 1889)*, ხოლო აზია, „რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა, და რომელსაც დღესაც ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი, და ეხლა თუ ვინმე ახსენებს, — ან იმისთვის, რომ როგორ და რა გზით გამოვწოვო მისი ხელუხლებელი სიმდიდრეო, ან იმისთვის, რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე და ყურმოჭრილ ყმად იყმოს იმ მხარის მემკვიდრენი, ისევ — რასაკვირველია — გამოსაწოებლად და მოსაწველად“. ეს იმიტომ, რომ **„მეცნიერებით, ხელოვნებით, ხელოსნობით შეჭურვილმა და ძლევამოსილმა ევროპამ პირში ჩალა გამოავლო ამ მოხუცს ქვეყანას, რომელიც ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა, და ეხლა იმ ქვეყნის შვილობა, სად პირველ ფეხი აიდგა ცივილიზაციამ და საიდამაც მისი შუქი მთელს ცასაქვეშეთს პირველ მოეფინა, სამარცხვინოდ მიაჩნიათ უფრო, ვიდრე სასახელოდ. ეხლა აზიელობა უფრო საბიაბრუო სახელია, ვიდრე თავმოსაწონებელი“.**

იქვეა განმარტებაც: **„ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავისთავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას — ავია თუ კარგი ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს — რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად“.**

**„რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას?**

**რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინმავალი ქვეყანა ეხლა ასე უკან რამ დააყენა?“**

იმან, რომ, „რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელო, იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება რაო ქვეყნიერობაზედ. ამით კმაყოფილმა თავი ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო“.

ილიას აზრით, ერი, რომელიც „ჰთაკილობს სხვისგან ჭკუის სწავლებას“, არ ითვისებს „სხვის ავკარგიანობას“, კარგავს საკუთარ ისტორიასაც, ნაციონალურ ფასეულობებსაც, განვითარების შესაძლებლობებსაც, ის ვერ გაუფრთხილდება იმას, რაც აქამდე შეუქმნია და ვერც რამე ახალს შექმნის. მაგრამ ცხოვრებამ ისიც დაადასტურა, რომ ერი, რომელიც სულ სხვის ჭკუაზე დადის, სხვისგან ითვისებს ათასგვარ სიგლახეს, დასაღუპადაა განწირული.

ყოველივე ამის გააზრებასა და გადახარშვას განათლებული, გონებაგახსნილი ადამიანები სჭირდება, რომლებსაც, უპირველესად, სკოლა უზრდის ქვეყანას. დღეს საქართველოში განათლების სისტემას „რამდენად საბუთიანად უკიჟინებენ, რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებს“, ამაზე არაერთხელ გვისაუბრია. ერის მამაც ამ საკითხს მეტად საჭირბოროტოდ მიიჩნევდა და ყურადღებას ამახვილებდა სკოლის პრობლემებზე. „ბევრს გამოუთქვამს აზრი და ყველა ეს აზრი, სხვადასხვაფერად გამოთქმული, ერთს საფუძველზეა აგებული, ერთის სათავიდამ წარმომდინარეებს. ეს საფუძველი, ეს სათავე ის არის, რომ **სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადამბული უნდა ვიდოდეს სკოლაში. წურთნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს — სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი — გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე.** საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიიღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე, იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს **კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს.**

**ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია.** ეს ყველამ იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. რათ უნდა იყოს კაცი ავი, როცა მხოლოდ სწავლულია და არა ზნე-ხასიათ გაწურთნილიცა? **სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა, ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა — სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს.** უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობათა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი. ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, **ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწრთვნელი.** ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ, თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს. რასაკვირველია, ზნე-ხასიათის წარსამატებულად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თავისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთს მშვენიერს ამბავს გვიამბობს ერთი მწერალი მასზედ თუ, — წინდახედულად და გონიერად მოქცევა ოსტატისა რის შემძლებელია ზნე-ხასიათის წურთვნისათვის. თუმცა გრძელია ეს ამბავი, მაგრამ ისე კარგი რამ არის, რომ გვსურს, სულ ამოვწეროთ და მით ვასიამოვნოთ ჩვენს მკითხველებსა. აი ის ამბავი: რა ადვილად შესაძლოა ბავშვს შთააგონოს კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძლევა თავის დანიშნულებას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენისამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი განაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი, ბავშვობიდამ ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყო ბავშვებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი ქაღალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არცკი მოიხედა და განაგრძო წერა, მითამ და საყურადღებო არა მოხდა-რაო“.

როცა გაათავა წერა, ვინმესთან კი არ გაქცეულა საჩივლელად, — გაკვეთილის ჩატარებაში ხელს მიშლიანო, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინიდისსა. აბა იფიქრეთ, — მას შემდეგ, რა უპატიურებაც მომაყენა ერთმა თქვენგანმა, — რა გამწარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდამ, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!..“

დღეს ჩვენს სკოლაში მსგავსი პრობლემების მოგვარებაში მასწავლებელს მანდატურები ეხმარებიან.

ვინ არიან ისინი?

ენციკლოპედია გვეუბნება, რომ მანდატური ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ხელჯოხიანს, საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის დაბალ მოხელეს. მანდატურები ჩვენს საჯარო სკოლებში პირველად 6 წლის წინათ გამოჩნდნენ, როგორც სკოლასა და პედაგოგებზე კონტროლის ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტი. თუ ილიას მიერ მოყვანილ მაგალითს გავითვალისწინებთ, კარგ პედაგოგს მოსწავლეებთან ურთიერთობაში არავის დახმარება არ სჭირდება, ის თვითონ აგვარებს პრობლემებსაც და იხვეჭს ავტორიტეტს შეგირდებს შორის. „დეე განიკითხოს ის იმისმავე სინდისმა, —



**«ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავისთავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას — ავია თუ კარგი ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს — რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად»**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული?“ რა თქმა უნდა, არა.





ანურ რაჯ ფათაჰი: „თქვენ ტოვებთ ამ ნაყოფიერ მიწებს და სხვაგან მიდიხართ. მიწა არ უნდა იყოს უპატრონოდ! არ გინდათ საკუთარი მიწა? მაშინ ჩვენ მოვალთ და ვუპატრონებთ! შრომა არ გვეზარება!

◀ განაგრძო მასწავლებელმა, — მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი. იქნება, თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ, დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ — იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა, ცოტად თუ ბევრად, იმაზე გული ამაყრევინოს. როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულისპასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს: „ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგი გთხოვენ, გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“. ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შეგირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც იგი ასწავლიდა“. **ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანისა.** ჩვენ ამ ამბავმა მეტად გაგვიგრძელა წერილი და რაც სათქმელი გვქონდა, იმასაც გადაგვახვევინა. ჩვენა გვგონია, რომ ამით ბევრი არა დაშავდა-რა და თუ დაშავდა, ვეცდებით, შემდეგში დანაშაული ვიპატივოთ“.

მეც იმავეს გავიმეორებ, რომ მთავარი სათქმელიდან გადავუხვიე, მაგრამ ამით არც ამჯერად „ბევრი არა დაშავდა-რა“, რადგან განათლების გარეშე სხვა ქვეყნების განვითარების საუკეთესო მოდელების ათვისება შეუძლებელია.

**ილია ევროპისა და აზიის ქვეყნების გამოცდილებათა შეპირისპირებით ქართველებს აჩვენებს, ერთი მხრივ, რა საშიშია იზოლაცია და, მეორე მხრივ, როგორ პერსპექტივებს ქმნის კულტურული გახსნილობა, განვითარების საუკეთესო მოდელების ათვისება.**

„წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალს საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის.

> **იმ პრობლემათა ზღვაში, რომლებიც ქვეყანაში დაგვიგროვდა, ძნელია ბედნიერებაზე საუბარი; ძნელია, რადგან სამშობლოს ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ქართველი ტოვებს, მკვიდრი მოსახლეობის ადგილს ჩვენი ისტორიული მტრების შთამომავლები იკავებენ, უმუშევარი და ნაგვის ურნებში სარჩოს მძებნელთა რაოდენობა კი არ მცირდება...**

**ბეკონმა, ინგლისელმა ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქმნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით.** მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამა და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალისწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღესაქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც-კი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. **ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვაგლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, — პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას.**

ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად.

ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარეშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ **რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა,** და აქ ღვაწლდადებული იგი საუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალ-ღონემაო.

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: **დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის.** დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს.

> **«მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის»**

მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“ *(მეცხრამეტე საუკუნე 31 დეკემბერი, 1899 წელი).*

„სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვისო“, — ამბობს ერის მამა. უფრო უხვი მოსავალი კი XX საუკუნემ დაახვედრა XXI-ს, იქნება ეს მეცნიერება, კულტურა თუ ცხოვრების დონე... წესით, დღეს უფრო ბედნიერი უნდა იყოს ადამიანი, ამდენი სიკეთით გარემოცული, მაგრამ **იმ პრობლემათა ზღვაში, რომლებიც ქვეყანაში დაგვიგროვდა, ძნელია ბედნიერებაზე საუბარი; ძნელია, რადგან სამშობლოს ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ქართველი ტოვებს, მკვიდრი მოსახლეობის ადგილს ჩვენი ისტორიული მტრების შთამომავლები იკავებენ, უმუშევარი და ნაგვის ურნებში სარჩოს მძებნელთა რაოდენობა კი არ მცირდება...**

მწარე სიმართლეა ისიც, რომ ადამიანური, რელიგიური, ეროვნული ღირსებების დაკარგვის მიზნით ისეთ ქცევებსა და ურთიერთობებს გვიქადაგებენ, რომლებიც პროპაგანდას უწევს აღვირახსნილობასა და გარყვნილებას, ანგრევს ადამიანების ერთგულებას ისტორიული ფასეულობების მიმართ; ხოლო სიტყვის თავისუფლების ნიღბით ჩვენგან გააფთრებით მოითხოვენ მკრეხელობის თავისუფლებას...

„აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა“, რომელსაც „ერთ ბეწო ხანს“ არათუ თვალი არ უნდა მოვუხუჭოთ ერმა და ბერმა, საერთო ძალით უნდა ვუწამლოთ და ვუსაშველოთ.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# რომან პოლანსკიმ ჰარვი ვაინშტაინი ცილისწამებაში დაადანაშაულა

**რეჟისორის განცხადებით, ვაინშტაინის პრესსამსახურის ერთი თანამშრომელი იყო პირველი, ვინც მას „ბავშვებზე მოძალადე“ უწოდა. დასძინა, რომ სწორედ კინოპროდიუსერმა შეუწყო ხელი, გაუპატიურების შესახებ ბრალდება კვლავ გააქტიურებულიყო, რათა მის ფილმ „პიანისტისთვის“ შემცირებულიყო „ოსკარის“ პრემიის მინიჭების შანსები.**

„ვაინშტაინმა ააგორა კამპანია ჩემ წინააღმდეგ, ამერიკული კინოაკადემიის პრემია რომ არ მიმეღო. სწორედ მან გამოჩხრიკა **სამანტა გეიმარის** ძველი საქმე, რომლის შემდეგ 25 წელიწადი გავიდა და რომელიც არავის აინტერესებდა. პარადოქსია, რომ მე მაინც მივიღე „ოსკარი“ როგორც საუკეთესო რეჟისორმა“, — თქვა პოლანსკიმ.

86 წლის რეჟისორი რომან პოლანსკი ათეულობით ჯილდოს მფლობელია. ადრე მას გაუპატიურებაში დებდნენ ბრალს. 1977 წელს მისი მსხვერპლი გახდა **სამანტა გეიმერი.**

პროკურორების დასკვნით, პოლანსკიმ შამპანიურით დაათრო და ნარკოტიკებით გააბრუა 13 წლის ამერიკელი გოგონა და აიძულა სექსუალური ურთიერთობა.

**კინემატოგრაფისტმა ბრალი აღიარა სასამართლოსთან შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ გაიქცა ევროპაში, როცა შეიტყო, რომ მოსამართლეს შეუძლია გააუქმოს შეთანხმება და ციხეში ხანგრძლივი ვადით გაამწესოს.**



# 16 წლის გოგონას 30 წუთის განმავლობაში აუპატიურებდნენ ლიცეუმის დერეფანში

**გაზეთი The Sun წერს, რომ გოგონას არავინ მიშველებია. ამ გამაოგნებელ შემთხვევას ადგილი ჰქონდა აშშ-ის ტეხასის შტატში. უბედური ამტკიცებს, რომ ემუდარებოდა მოძალადეს, დაენდო იგი, მაგრამ ამაოდ, ხოლო მისი კივილი, საშველად რომ უხმობდა ადამიანებს, უპასუხოდ დარჩა.**

ინციდენტი ჰიუსტონის Mayde creek High School-ში მოხდა. გოგონას თქმით, იგი შესვენებისას სასადილოდ მიდიოდა. სწორედ ამ მომენტში მას მიეჭრა თანაკლასელი ყმაწვილი, რომელიც ადრე მასთან გამიჯნურებას ცდილობდა.

„მან იატაკზე დამაგდო, ჩამხადა შარვალი და გენიტალიებზე ხელი წამითათუნა. დამაწვა მთელი ტანით და გაუპატიურება დამიწყო“, — განაცხადა გაოგნებულმა მეთერთმეტეკლასელმა. დაზარალებულის თქმით, სექსუალური აქტი 30 წუთს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში არავინ მიშველებია, მიუხედავად იმისა, რომ იგი განუწყვეტლივ და მთელი ხმით ყვიროდა. მოძალადე მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა სასკოლო ზარის ხმა გაისმა. მან სასწრაფოდ ამოიცვა შარვალი და გაკვეთილზე დასასწრებად გაიქცა.

ამ შემთხვევამ გააოგნა მასწავლებლები და გოგონას მშობლები. დაზარალებულის დედამ ბრალი წაუყენა სკოლას, რომელიც ვერ იცავს ბავშვების უსაფრთხოებას. **ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააიმედა, რომ აუცილებლად გამოიძიებს სკანდალურ საქმეს და დასჯის მოძალადეს, თუ ბრალდება დადასტურდება.**

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ეკლესიის საკურთხეველში ადამისა და ევას ნაცვლად გეები გამოსახეს

**შვედეთის ქალაქ მალმიოს კათოლიკურ ეკლესიაში გაჩნდა „ტოლერანტული“ საკურთხეველი, რომელშიც ადამის, ევასა და მათი შემცდენი გველის ნაცვლად გამოსახულია ერთნაირსქესიანთა წყვილი, რომლებსაც ტრანსგენდერი აკრძალულ ნაყოფს აწვდის.**



„ლგბტ-სამოთხის“ ამ სურათის ავტორია ფოტოგრაფი და მხატვარი **ელიზაბეტ ოლსონ ვალინი,** რომელიც სექსუმცირესობის წარმომადგენელია. ეს „შედევრი“ მან 2012 წელს შექმნა. და, საერთოდ, მისი „შემოქმედება“, თუ შეიძლება ამ ქალ-კაცას ავადმყოფური წარმოსახვანი ასე მოვიხსენიოთ, რელიგიურ თემატიკაში ტრიალებს და გახრწნილი ურთიერთობების რწმენად ჩამოყალიბებას ემსახურება.

შვედეთში პოპულარულია „მხატვრის“ გამოფენა Ecce Homo, რომელზეც წარმოდგენილია იესო ქრისტეს გამოსახულებანი ჰომოსექსუალებსა და ტრანსგენდერებს შორის.



ვალინი აცხადებს, რომ მისი ნახატები შთაგონებულია აღორძინების ეპოქის ოსტატ **ლუკას კრანახის** (უფროსის) შემოქმედებით. ამტკიცებს, რომ „სექსუალური უმცირესობანი მოხვდებიან არა ჯოჯოხეთში, არამედ სამოთხეში“.

პრესა იუწყება, რომ „მხატვარს“ თავდაპირველად სურდა, სურათი „ლგბტ-სამოთხე“ ეჩუქებინა თავისი მშობლიური ქალაქ სკარასთვის იმ დღეებში, როცა ეკლესია თავის 1000-წლიან ისტორიაში პირველად აპირებდა ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების კურთხევას. „ჰომოაქტივისტი“ ნადედაკაცარის სიტყვით, მას სურდა, შეემოწმებინა, მართლა არის თუ არა ეკლესია ტოლერანტული ერთი და ერთი იმავე სქესის პირთა ურთიერთობის მიმართ.

ეკლესიამ ზრდილობიანად აირიდა საჩუქარი და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რწმენასთან, არამედ პოლიტიკურ აქტივობასთან.

მალმიოს წმინდა პავლეს ეკლესიამ კი მიიღო მირთმეული ნახატი და საკურთხევლის გასაფორმებლადაც გამოიყენა.

**აქტივისტი ლგბტ-ელის ნამუშევარმა სოცქსელში აღშფოთების ტალღა ააგორა. მორწმუნენი მიიჩნევენ, რომ „ტოლერანტულმა“ შვედურმა ეკლესიამ, რომელიც ამაყობს თავისი „პროგრესული“ შეხედულებებით, ძალიან ღრმად შეტოპა. გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ მრევლს ეკლესიის ასეთი პოზიცია არ მოსწონს და ამიტომაა, რომ ბოლო დროს მასობრივად მიატოვა.**

# პროკურორმა ქალიშვილი პედოფილის მისატყუებლად გამოიყენა

**პედოფილის დასაპატიმრებლად ამერიკელმა პროკურორმა თავისი 13 წლის გოგონა გაიმეტა. Mercury news-ი იუწყება, რომ ეს ინციდენტი სან ხოსეში, კალიფორნის შტატში, მოხდა.**

მამამ აიძულა გოგონა, დაბრუნებულიყო იქ, სადაც ეჭვმიტანილი მასზე ძალადობდა. საოლქო პროკურორის ვარაუდით, პედოფილი ამ სატყუარას წამოეგებოდა და გაიმეორებდა თავის ბინძურ მცდელობას. ფაქტი ვიდეოჩანაწერზე აღიბეჭდებოდა, რაც მისი ბრალის მტკიცებულებად იქნებოდა გამოყენებული.

**76 წლის მამაკაცი ალი მოჰამად ლაჰმირი დააკავეს, მაგრამ ამჯერად ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა პროკურორი, რომელმა თავისი შვილი საფრთხეში ჩააგდო.**

13 წლის გოგონამ შეიტყუა ხანდაზმული გარყვნილი შემთხვევის ადგილზე — ალმადენის დაბლობის ლოს-ალამატოსის ბილიკზე. დასეირნობდა წინ და უკან და ტელეფონითა და ყურსასმენებით უწყვეტი კავშირი ჰქონდა დამყარებული პოლიციელებთან.

მას მიუახლოვდა ულვაშებიანი ბერიკაცი, რომელიც სპორტულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, წელზე მოხვია ხელი და ძალით დასვა სკამზე. აკოცა ტუჩებში, შემდეგ — კეფაზე, მაგრამ გოგონამ შეძლო თავის დაღწევა, დაუსხლტა ამძუვნებულ ბებრუხანას.



ბავშვმა დაადასტურა: ეს მოძალადე ზუსტად ის კაცი იყო, რომელიც რამდენიმე თვის წინათ აეკიდა მას. ამ შემთხვევის შესახებ მან თავის ექიმს უამბო, მოგვიანებით მამამაც შეიტყო და პედოფილის დაჭერა გადაწყვიტა.

ოპერატიულად დაადგინეს ამ კაცის მისამართი, გოგონასთან სექსუალური ბღლარძუნიც გადაიღეს. დამნაშავე მეორე დღესვე დააკავეს. მას ელოდება პატიმრობა 14 წლის ბავშვზე ძალადობის ბრალდებით.

**პედოფილების ლობიმ წაბილწა ყველაფერი ნიდერლანდების სამეფო გვირგვინის ჩათვლით, ამიტომ არავის უკვირს, რომ პედოფილების ფრონტი საქმიანობას წლეულსაც განაგრძობს. პედოფილები ლეგალიზაციას მოითხოვენ, ხალხი აღშფოთებულია, მეფე ლაპარაკობს: თავისუფლები რომ ვიყოთ, უნდა შევეგუოთ მრავალნაირ აზროვნებას სხვებისას და ჩვენც ახლებურად უნდა ვიაზროვნოთო. როგორ აზროვნებენ, ფაქტები ღაღადებს.**

ევროინტეგრაციის პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პედოფილები ევროპის პოლიტიკური ასპარეზისკენ მიისწრაფვიან: ვინ დგას მათ უკან?

**ათიოდე დღის წინათ გაცხადდა, რომ ჰოლანდიელი პედოფილების საზოგადოება „მარტეინი“, რომელიც 2014 წელს დაიშალა და აიკრძალა, 2020-ში აპირებს პოლიტიკური მოძრაობის დაარსებას სახელწოდებით „ახლობელთა სიყვარულის, თავისუფლებისა და მრავალფეროვნების პარტია“.**

გარდაცვლილი და მიწამიყრილი პედოფილები კვლავ წამოყელყელავდნენ და ბავშვებთან სექსის ლეგალიზაციისთვის ბრძოლა დაიწყეს. მათ სურთ არჩევნებში მონაწილეობა და სიბილწეში ოფიციალურად ჩაყურყუმალავება.

მეორედ მოსვლაა, აბა, რა ჯანდაბაა!

მადლობა ღმერთს, რომ ჰოლანდიაში აღმოჩნდა ნორმალური ადამიანი, გაბედული ჟურნალისტი **ერიკ ვან დე ბეკი**, რომელმაც ხმა აღიმაღლა ამ ყროლთა წინააღმდეგ და საპროტესტო ტალღა ააგორა ადამიანთა სიწმინდის დასაცავად.

ნიდერლანდების მეფის **კლაუს გიორგი ფერდინანდის** საშობაო სიტყვა, როგორც წესი, უმნიშვნელოვანეს თემებს შეეხებოდა. მან თქვა, რომ „თავისუფლება არასოდეს არის თავისუფალი. იგი ჩვენგან ყოველთვის რაღაცას მოითხოვს — ერთმანეთისადმი ნდობას, გონიერებას, ერთმანეთისთვის სივრცის მიცემას“.

ამ დროს კი სივრცეში, რომელსაც ეწოდება ინტერნეტი, ის უბედურება ტრიალებს, რომელზეც ზემოთ მიგანიშნეთ — პედოფილიის ლეგალიზაციის მოთხოვნა!

ერიკ ვან დე ბეკმა სოცქსელებში აღმოაჩინა „ბავშვების გათავისუფლების ფრონტი“ და ამ გაუგებარი მოძრაობის წევრებს შეკითხვები დაუსვა, — ვინ ხართ და რისთვის იბრძვითო.

რესპონდენტთაგან ერთმა, გვარად **ნელსონმა**, აღიარა, რომ არის პედოფილების ორგანიზაციის აქტივისტი და რეგულარულად ხვდება ხუთი წლის ბიჭს. გულახდილად და „უსირცხვილოდ ისაუბრა ისეთ დეტალებზე, რომ გავოგნდი“, — ამბობს ჟურნალისტი.

აი, ცენზურაგავლილი ფრაგმენტები ამ ავადმყოფის მონაყოლის: **„იგი (ბავშვი) არასოდეს რჩებოდა ღამ-ღამობით ჩემთან, მაგრამ ამჟამად ორი ღამეა, ჩემთანაა და მხოლოდ ნახევარი დღით მიდის სკოლაში“.**

ჟურნალისტი პედოფილ აქტივისტს ქუჩის საპირფარეშოსთან შეხვდა, იმ არქიტექტურულ „ძეგლთან“, რომელსაც ჰომომონუმენტს უწოდებენ და აგებულია ნაცისტური ოკუპაციის პერიოდში დაღუპული გეებისა და ლესბოსელებისთვის პატივის მისაგებად.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც აქ სურს პედოფილს ჟურნალისტთან შეხვედრა?

**— მე განსაკუთრებული პედოფილი ვარ, — ამბობს ეს უდღეური პუტკუნა ნელსონი, რომელიც 25 წლისაა და სახელი გაითქვა ახლახან გამართულ გეი-აღლუმზე, როცა ლგბტ-ს მოსთხოვა მათ პრაიდში პედოფილების ჩარიცხვა, — შემომეხვივნენ აგრესიული ჰომოსექსუალები და მომთხოვეს, წავთრეულიყავი. გამიკვირდა, ერთ დროს ისინიც ხომ იბრძოდნენ თავიანთი უფლებებისთვის?! არ შეიძლება პედოფილების იგნორირება! ჩვენ უფლება უნდა დაგვრთონ, საკუთარი აზრი გამოვთქვათ ისე, როგორც ამას სხვები აკეთებენ“.**

რისთვის და რატომ?

პასუხი იმდენად მარტივია, რამდენადაც ბინძური და საზიზღარი: იმისთვის და იმიტომ, რომ დღეს თუ ხვალ ბავშვებთან სექსუალური კავშირი კანონით ნებადართული გახდეს.

— 12 და 13 წლის ბავშვებთან? — ეკითხება გაოგნებული ჟურნალისტი.

და ის ყროლი ნელსონი უპასუხებს:

— ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ბავშვზე, მზად არის თუ არა იგი საამისოდ.

— 5 წლის ბავშვთან სექსისთვის მზად ხარ?

— ახლა, რა თქმა უნდა, არა, რადგან ეს კანონით აკრძალულია.

— კანონიერი რომ იყოს?

ნელსონი კუდით დაჭერილი გველივით იკლაკნება, ცდილობს, პასუხს გაექცეს და არ ამბობს „არას“.

ე.ი., კანონით აკრძალული რომ არ იყოს, უარს არ იტყვის.

რაც კანონით აკრძალული არ არის, დასაშვებია, — ასეთია ამ გავრცელებული სენტენციის სარჩული, რომელსაც ჩვენი სამოქალაქო აქტივისტები, საჭიროა თუ არა, გაწვრთნილი თუთიყუშებივით იმეორებენ.

იციან და...

მათგან მოდის, აზრის ნეოლიბერალური გარყვნილებისგან.

ჯერჯერობით მხოლოდ აზრის, რომელიც იქ, მაგალითად, ნიდერლანდებში უკვე რეალობად არის მატერიალიზებული, თუნდაც იმ ფაქტად, რომელიც სულ ახლახან გახმაურდა, მაგრამ, სანამ ამ შემთხვევაზე ვიტყვით რამეს, ვან დე ბეკს მოვუსმინოთ:

**— მათ აქვთ წიგნი, რომელშიც ლაპარაკია, როგორ, რა ფანდით შეიძლება ბავშვის შეცდენა და შემდეგ კვალის დაფარვა. არცთუ დიდი ხნის წინათ ჰიტლერის „მაინ კამპფის“ წაკითხვისთვის შეიძლება ციხეში მოხვედრილიყავი, პედოფილების დამხმარე სახელმძღვანელო კი აკრძალული არ არის. ეს წიგნი მათ შორის ხელიხელ საგოგმანები გახდა, პოლიტიკოსები კი ყურადღებას არ აქცევენ და არაფერს აკეთებენ.**

და ეს ხდება იმ ამბის ფონზე, რომელმაც ააფორიაქა მთელი ქვეყანა და რომელიც საიდუმლო ფერმის საქმედ მონათლეს. იმ ფერმის, რომელშიც ბავშვებზე ძალადობამ შეიძლება ფარდა ახადოს ბინძურ საიდუმლოებას. **ნიდერლანდების პოლიციამ აღმოაჩინა ოჯახი, რომელიც 10 წლის განმავლობაში ფერმაში იმალებოდა მეორედ მოსვლის მოლოდინში.**

ოქტომბრის ერთ საღამოს სოფელ რეინერვოლდის ბარში შედის დაბნეული ყმაწვილი და ერთბაშად ხუთ კათხა ლუდს შეუკვეთავს. იტყვის, რომ სჭირდება დახმარება და არ სურს ფერმაში დაბრუნება.



მარჯვნივ პედოფილი ნელსონი

**რესპონდენტთაგან ერთმა, გვარად ნელსონმა, აღიარა, რომ არის პედოფილების ორგანიზაციის აქტივისტი და რეგულარულად ხვდება ხუთი წლის ბიჭს. გულახდილად და «უსირცხვილოდ ისაუბრა ისეთ დეტალებზე, რომ გავოგნდი», — ამბობს ჟურნალისტი**



გამოუძახებს პოლიციას.

სამართალდამცავები იქ აღმოაჩენენ მის 5 უმცროს დაძმას, რომლებსაც მამა ფერმიდან ფეხის გადგმას უკრძალავდა.

პრესა ამ ოჯახის წევრებს დაუყოვნებლივ სექტანტებად გამოაცხადებს... მაგრამ მართლა სექტანტები იყვნენ?

სოფლის მკვიდრნი ამბობენ, რომ ეს ოჯახი თავისი სამკვიდროდან მოულოდნელად ფერმაში გადასახლდა. რა იყო ამის მიზეზი, არ იციან.

რეპორტიორი **ანტონ ჩეჩულინსკი** მიდის ამ ფერმაში, სადაც დაცვის გარდა არავინაა. დამონტაჟებულია ვიდეოთვალთვალის კამერები.

რა დარჩა იმ ფერმაში ისეთი, რისი ნახვაც უცხო თვალისთვის აკრძალულია? ნუთუ ნივთმტკიცებები დანაშაულის, რომლის შესახებაც ინფორმაციის გავრცელებაზე დღემდე თავს იკავებენ?


დღევანდელი მეფის მამა — პრინცი კლაუსი

ამ ისედაც აბურდულ საქმეში ახალი დეტალები იკვეთება: მაგალითად, **ფერმა დაიქირავა არა ოჯახის უფროსმა, არამედ მისმა ნაცნობმა; ორმა ბავშვმა უკვე აღიარა, რომ მათ აიძულებდნენ უცხო ადამიანებთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებას.**

**დავუმატოთ ამას ისიც, რომ იმ კაცის (რომელიც არსად მუშაობდა) ფერმაში დიდძალი ნაღდი ფული იპოვეს. დაკავშირებული იყო თუ არა ეს ფული ბავშვებზე ძალადობასთან, ამაზე გამოძიება ჯერჯერობით დუმს.**

— ჩრდილოეთ ნიდერლანდებში გვქონდა ბავშვებზე ძალადობის შემთხვევები და ამაში გარეულები იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები, — ამბობს ადვოკატი **ადელ ანდერპლაცი.**

**ერთ საქმეში, რომელიც მას მიჰყავდა, ბრალდებული იყო ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროს გენერალური მდივანი იურის დემინგი.**

დაკითხვისას ორმა ახალგაზრდამ გამოძიებას განუცხადა, რომ, როცა ბავშვები იყვნენ, ისინი დემინგმა გააუპატიურა.

— მან მკითხა, რამდენი წლის ხარო. ვუპასუხე, რომ — თხუთმეტის, და მან ჩემთან სექსუალური ურთიერთობა დაამყარა.

მეორე მაშინ 10-11 წლისა თუ იქნებოდა.

ადვოკატი ყვება, რომ სასამართლოზე წარდგა 6 მოწმე, განიხილეს უამრავი დოკუმენტი, რომლებითაც მტკიცდებოდა გენერალური მდივნის ბრალი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ერთი მოსამართლე ჩავიდა თურქეთში, სადაც დანაშაული მოხდა, რათა ადგილზე დაეკითხა მოწმეები, მაგრამ, როგორც ადვოკატი აცხადებს, სტამბოლში ნიდერლანდელ მოსამართლეს აუკრძალეს დავალების შესრულება.

— ამჟამად საპატიო პენსიაზე გასული დემინგი მშვიდად ცხოვრობს. ისიც სათქმელია, რომ მან დედოფლისგან ჯილდო მიიღო, — აცხადებს **რობერტ რუბენშტეინი,** ერთ-ერთი აქტივისტი, რომელიც მოითხოვს გამოძიების თავიდან ჩატარებას, მაგრამ იცის, რომ მისი ეს მოთხოვნა უშედეგოა. მას სანდო წყაროებიდან ხშირად სმენია, რომ **დღევანდელი მეფის მამა, პრინცი კლაუსი პედოფილების ჯგუფის წევრი იყო. ერთ დროს გერმანელები იძიებდნენ ერთი ბიჭის დაკარგვის საქმეს, რომელიც, ვარაუდობდნენ, იყო იმ იახტაზე, რომელზეც მეფის მამა იმყოფებოდა. ბიჭი შემოაკვდათ და მისი ცხედარი ზღვაში გადააგდეს. დემინგი ეხმარებოდა პრინც კლაუსს იახტაზე მომხდარი ამბის ჩაფარცხვაში.**

**პედოფილების ლობიმ წაბილწა ყველაფერი ნიდერლანდების სამეფო გვირგვინის ჩათვლით, ამიტომ არავის უკვირს, რომ პედოფილების ფრონტი საქმიანობას წლეულსაც განაგრძობს**

პედოფილები ლეგალიზაციას მოითხოვენ, ხალხი აღშფოთებულია, მეფე ლაპარაკობს: თავისუფლები რომ ვიყოთ, უნდა შევეგუოთ მრავალნაირ აზროვნებას სხვებისას და ჩვენც ახლებურად უნდა ვიაზროვნოთო.

როგორც აზროვნებენ, ფაქტები ღაღადებს.

**HTB-ს რეპორტაჟის ქართული საგაზეთო ვერსია მოამზადა**

**არმაზ სანებლიძე**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ფაბერჟეს შოკოლადის პუდინგი, 34500 დოლარი

ეს ძალიან ძვირი კერძი შეგიძლიათ გასინჯოთ სასტუმრო LINDETH HOWE COUNTRY HOUSE-ს რესტორანში. პუდინგი დაამზადა ბრიტანელმა მზარეულმა მარკ გვიბერტმა. მის შემადგენლობაში შედის ბელგიური შოკოლადის 4 სახეობა, ატამი, ფორთოხალი, ვისკი, ოქრო და ხიზილალა შამპანურში. კერძს ამშვენებს ნამდვილი ბრილიანტი. დესერტს მოგართმევენ ძვირად ღირებულ ღვინო „შატო დ'იკემთან“ ერთად.



# ყველაზე ძვირად ღირებული პროდუქტები და კერძები

მდიდარ ადამიანებს შეუძლიათ მიირთვან ყველაფერი, რასაც მოისურვებენ. ალბათ, ამიტომ მსოფლიოში სულ უფრო ხშირად ჩნდება უცნაური პროდუქტები და კერძები, რომლებიც კოლოსალური თანხა ღირს. აი, მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული პროდუქტებისა და კერძების ჩამონათვალი:



### თევზი ფუგუ, 280 დოლარი

ტრადიციული იაპონური კერძი „ფუგუ“ არა მხოლოდ ეგზოტიკური, არამედ სახიფათო პროდუქტია: ეს თევზი ძალიან შხამიანია და არასწორად მომზადების შემთხვევაში შეიძლება სიცოცხლეს გამოასალმოს ის, ვინც მას მიირთმევს, ამიტომ „ფუგუს“ მომზადების წინ შეფმზარეულები სპეციალურ სწავლებას გადიან.



### თეთრი ტრიუფელი, 30 გრამი — 275 დოლარი

თეთრი ტრიუფელი, რომლებიც იტალიის ჩრდილოეთსა და საფრანგეთში მოდის, ისეთი ძვირად ღირებული სოკოა, რომ ბევრი ადამიანი მის შეძენას ვერ შეძლებს. გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატური ცვლილებების გამო თეთრი ტრიუფელის მოსავალი სულ უფრო მცირდება, ამიტომ ის კიდევ უფრო ძვირი და უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი დელიკატესია.



### გლემბურგერი, 1770 დოლარი

ლონდონური რესტორნის — Honky Tonk-ის შეფმზარეულმა 2014 წელს შექმნა მსოფლიოში ყველაზე ძვირი ბურგერი. ეს არის მარმარილოსებრი ხორცისა (ძროხის) და ახალზელანდიური ბატკნის ხორცისგან დამზადებული ბურგერი, რომელსაც დამატებული აქვს ჰიმალაის მარილი, ყველი ბრი, ლობსტერი, ბეკონი, ნეკერჩხლის ვაჟინი, ხიზილალა, იხვის შებოლილი კვერცხი და ეს ყველაფერი დაფარულია ოქროს თხელი ფირფიტით. ამ საშინლად ძვირ ბურგერს მოგართმევენ შამპანურთან ერთად.



### ფლერბურგერი, 5000 დოლარი

ეს ბურგერი ლას-ვეგასის (აშშ) რესტორნის — Fleur de Lys-ის შეფმზარეულმა **იუბერ კელერმა** შექმნა. ბურგერს, რომელიც დამზადებულია ძროხის მარმარილოსებრი ხორცით, მოგართმევენ 1995 წლის მოსავლის „შატო პეტრიუსის“ ბოთლით, ტრიუფელითა და ფუა-გრით.



### შავი საზამთრო დენსუკე, 300-დან 6000 დოლარამდე

ეს იშვიათი შავი საზამთრო იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოზე მოჰყავთ და აუქციონზე ყიდიან. მისი ფასი 3-დან 5 ათას დოლარამდეა.



### პიცა «ლუდოვიკო XIII», 12 ათასი დოლარი

იტალიელი შეფმზარეულის, **რენატო ვიოლას,** მიერ დამზადებული ნებისმიერი პიცა დელიკატესია. სწორედ ვიოლაა შემქმნელი მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული პიცისა, რომლისთვის საჭირო ცომსაც 72 საათის განმავლობაში ამზადებენ. ამ პიცის შემადგენლობაში შედის: შავი ხიზილალა, კამეჩის მოცარელა, ნორვეგიული ლობსტერი და ხმელთაშუა ზღვის კრევეტები. პიცას მოგართმევენ კონიაკ „რემი მარტინი ლუდოვიკო მე-13-სთან“ ერთად.



### დესერტი «მეთევზე ოჩოფეხებზე», 14 500 დოლარი

ამ სახელწოდების დესერტს ამზადებენ The Fortress-ში კუნძულ შრი-ლანკაზე. ის ძალიან ჰგავს იტალიურ კასატას (ტრადიციულ მრგვალ ტკბილღვეზელას), რომელიც მორთულია ხილითა და ლიქიორ „აირიშ ქრიმით“, დესერტის ძირითადი შემდგანელი ნაწილია მანგოს, ბროწეულისა და შამპანურ „პერინიონისგან“ დამზადებული კომპოტი. დესერტი იყიდება შოკოლადისგან ხელით დამზადებული მეთევზის ფიგურასა და 80-კარატიან აკვამარინთან ერთად.



### სანდეი Frrrozen Haute Chocolate, 25 ათასი დოლარი

ნაყინის ეს დესერტი შეიცავს 28 სახეობის (მათგან 14 ყველაზე ძვირად ღირებულია) კაკაოს მარცვლებსა და ბევრ საჭმელ ოქროს. ეს სანდეი იყიდება შესანიშნავ თასთან ერთად. თუ ბედი გაგიღიმებთ, სანდეიში შეიძლება იპოვოთ 18-კარატიანი ოქროსგან დამზადებული სამაჯური. ოქროს კოვზი, რომლითაც დესერტი უნდა მიირთვათ, შეგიძლიათ შინ წაიღოთ.



### ალმასისებრი ხიზილალა, 1 კგ 34 ათასი დოლარი

ეს არის იშვიათი ჯიშის, ალბინოსი-ბელუგას ხიზილალა, რომელიც მარგალიტის ფერისაა. ეს თევზი 60 და ზოგჯერ 100 წლამდეც ცოცხლობს. და დაახლოებით 1000 კგ-ს იწონის. ამ ხიზილალას, რომელიც ოქროს კონტეინერებით იყიდება, ძირითადად, ირანში აწარმოებენ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



მეივეზერი და ჯასტინ ბიბერი

**1998 წელს 21 წლის მეივეზერი შეხვდა ძლიერ, ტიტულოვან მოწინააღმდეგეს — ჯენარო „ჩიკანიტო“ ერნანდესს; ყველასთვის მოულოდნელად, ნოკაუტით დაამარცხა და, WBC-ს (მსოფლიოს კრივის საბჭოს) ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ავტორიტეტულმა გამოცემა RING-მა ფლოიდი წლის მოკრივედ დაასახელა. ეს ტიტული მან კიდევ ოთხჯერ მოიპოვა — 2002, 2005, 2006 და 2007 წლებში. იმ პერიოდის საუკეთესო ბრძოლებად მიიჩნევენ შეხვედრებს არტურო გატისთან, ზაბოი ჯუდოისა და ოსკარ დე ლა ჰოიასთან, რომელმაც კინაღამ დაამარცხა ახალგაზრდა ფლოიდი.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე დღის წინათ პოპულარულმა გამოცემა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა ბოლო ათწლეულში მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი სპორტსმენების სარეიტინგო სია, რომელშიც 915 მლნ დოლარით პირველი იყო ამერიკელი მოკრივე ფლოიდ მეივეზერი. შემოსავლების მხრივ მან დაჯაბნა ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელები, როგორებიც არიან კრიშტიანუ რონალდუ (800 მლნ) და ლიონელ მესი (750 მლნ). ასე რომ, ფლოიდ მეივეზერს ტყუილუბრალოდ არ ეძახიან money-ს (ფულს).**

# დაუმარცხებელი მოკრივე მეტსახელად «ფული»

**ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი** გამოჩენილი სპორტსმენების დინასტიის წარმომადგენელია. ის 1977 წლის 24 თებერვალს დაიბადა მიჩიგანის შტატის ქალაქ გრანდ-რაპიდსში. მამა თავის დროზე კრივში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობდა. ერთ-ერთმა ბიძამ, **როჯერმა,** კი მსოფლიოში უძლიერესის ტიტული მოიპოვა, ამიტომ არავის გაჰკვირვებია, ბიჭმა სპორტის ეს სახეობა რომ აირჩია. ვარჯიშები რომ არ გაეცდინა, ფლოიდმა სკოლას თავი დაანება. ამ ნაბიჯის გადადგმისკენ სიღარიბემ უბიძგა — მამამ ოჯახი მიატოვა, დედა კი შვილებს ძლივს უვლიდა. მოყვარული მოკრივის კარიერა ფლოიდმა 1993 წელს დაიწყო. მან სამი წლის განმავლობაში ზედიზედ მოიგო ნახევრადპროფესიონალთა მთავარი პრიზი — „ოქროს ხელთათმანები“. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა მოკრივემ 90 ბრძოლა გამართა და მათგან მხოლოდ 6-ში დამარცხდა. ფლოიდი ოსტატურად არიდებდა თავს დარტყმებს და მისთვის წარბი არასოდეს გაუხეთქავთ, ამიტომ კოლეგებმა მას ლამაზი ბიჭი შეარქვეს.

ფლოიდ მეივეზერი საერთაშორისო არენაზე პირველად გამოჩნდა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მე-3 ადგილი დაიკავა.

173 სმ სიმაღლის ფლოიდი თავდაპირველად ცოტას იწონიდა — 60 კგ-ს, მაგრამ კარიერის განმავლობაში მან რამდენჯერმე შეიცვალა წონითი კატეგორია. თავისებური სტილით ატარებდა შეხვედრებს. მისი ბრძოლები არ გამოირჩეოდა სანახაობრივად, მაგრამ ძალიან ეფექტიანი იყო, რაც გამარჯვების მოპოვებაში ეხმარებოდა.

**1998 წელს 21 წლის მეივეზერი შეხვდა ძლიერ, ტიტულოვან მოწინააღმდეგეს — ჯენარო „ჩიკანიტო“ ერნანდესს, ყველასთვის მოულოდნელად, ნოკაუტით დაამარცხა და, WBC-ს (მსოფლიოს კრივის საბჭოს) ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ავტორიტეტულმა გამოცემა Ring-მა ფლოიდი წლის მოკრივედ დაასახელა, ეს ტიტული მან კიდევ ოთხჯერ მოიპოვა — 2002, 2005, 2006 და 2007 წლებში. იმ პერიოდის საუკეთესო ბრძოლებად მიიჩნევენ შეხვედრებს არტურო გატისთან, ზაბოი ჯუდოისა და ოსკარ დე ლა ჰოიასთან, რომელმაც კინაღამ დაჯაბნა ახალგაზრდა ფლოიდი.**

2013 წლის სექტემბერში მეივეზერი და **საულ ალვარესი** ერთმანეთს შეხვდნენ WBA Super-ის, WBC-სა და Ring-ის წოდების მოსაპოვებლად.

ალვარესი კარიერაში პირველად დამარცხდა. ტაბლოიდებმა გამოთვალეს, რომ მექსიკელის დამარცხებამ ფლოიდს 75 მლნ დოლარი მოუტანა.

მეივეზერის კარიერაში ერთ-ერთ დაძაბულ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს მისი ორთაბრძოლა **მარკოს მაიდანთან** — ფლოიდი შეხვედრაში კინაღამ დამარცხდა. სწორედ ამ ბრძოლაში, რომელიც 2014 წელს გაიმართა, მიიღო მან ყველაზე მეტი დარტყმა მოწინააღმდეგისგან, თუმცა მატჩი მაინც მოიგო ტექნიკის წყალობით.

ამ პერიოდში ფლოიდი დაუმეგობრდა ახალგაზრდა პოპმომღერალ **ჯასტინ ბიბერს** და მისი მწვრთნელი გახდა.

2015 წელს გაიმართა მეივეზერისა და ფილიპინელი **მენი პაკიაოს** ორთაბრძოლა. მოკრივეებმა 3 პროფესიული ასოციაციისა და ოსკარ დე ლა ჰოიას კომპანია Golden Boy Promotions-ის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლეს წონითი კატეგორიის გაუთვალისწინებლად. ამ ორთაბრძოლისთვის ფლოიდმა 210 მლნ დოლარი მიიღო, ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით — 280 მლნ.

თანამემამულე **ანდრე ბერტოსთან** 49-ე შეხვედრის ჩატარების შემდეგ, რომელშიც კვლავ გაიმარჯვა, ფლოიდ მეივეზერმა როკი მარჩიანოს რეკორდი გაიმეორა წაუგებელი ტურნირების მიხედვით.





**ფლოიდ მეივეზერის მიღწევები:**

*** მსოფლიო ჩემპიონი 5 წონით კატეგორიაში;**

*** ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი;**

*** WBA-ს, WBC-ს, IBF-ის, WBC-ს საჩემპიონო ქამრის მფლობელი;**

*** 50 ბრძოლიდან 50 გამარჯვება.**



2016 წელს პრესამ გაავრცელა ინფორმაცია მეივეზერისა და ირლანდიელ **კონორ მაკგრეგორს** შორის ორთაბრძოლის გამართვის შესახებ. 2017 წლის 26 აგვისტოს ლასვეგასში მაკგრეგორთან გამართული ბრძოლა წლის მოვლენად იქცა.

**პრესკონფერენციამ, რომელზეც ბევრი იყო ურთიერთშეურაცხმყოფელი გამოხდომები, კიდევ უფრო გააღვივა საზოგადოების ინტერესი ორთაბრძოლის მიმართ. იმ მომენტში მეივეზერის ქონება 765 მლნ დოლარად იყო შეფასებული. მან მიიღო გამოწვევა და განაცხადა: სულელი არ ვარ, უარი ვთქვა 300 მლნ-ს გამომუშავებაზეო.**

ირლანდიელი მისთვის დამახასიათებელი მანერით ყოველ შეხვედრაზე არწმუნებდა ჟურნალისტებს, რომ 40 წლის მეივეზერს მეორე რაუნდში დაამარცხებდა, მაგრამ, როგორც ორთაბრძოლამ წარმოაჩინა, ირლანდიელი, როგორც შოუმენი, უფრო ნიჭიერია, ვიდრე როგორც მოკრივე. მეივეზერმა მე-10 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა მაკგრეგორი და საუკუნის ორთაბრძოლა მოიგო. შერეული სტილის ორთაბრძოლების ორგანიზაცია UFC-ს მებრძოლმა **ნეიტ დიასმა** და რუსმა **ჰაბიბ ნურმამედოვმაც** ვერაფერი გააწყვეს მეივეზერთან, აი ამის შემდეგ განაცხადა ფლოიდ მეივეზერმა, რომ დაასრულა კარიერა, თუმცა 2019 წლის ბოლოს კვლავ გავრცელდა ინფორმაცია რინგზე მეივეზერის დაბრუნების შესახებ.

ფლოიდს 4 შვილი ჰყავს 2 სხვადასხვა ქალთან, რომლებზეც არ დაქორწინებულა. პაპარაცები მოკრივეს ხშირად ნახულობენ სტრიპტიზის მოცეკვავეებს შორის. ძალიან მოსწონს ფუფუნებაში ცხოვრება. ჰყავს 14 „როილს-როისი“, აგრეთვე, 3,5 მილიონად ღირებულად „ბუგატი“ და 35 მილიონად შეფასებული თვითმფრინავი Gulf Strem-ი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



მეივეზერი და კონორ მაკგრეგორი



მეივეზერი და მენი პაკიაო

# ლავროვმა მხარი დაუჭირა იდეას საერთაშორისო სამართალზე კონსტიტუციის პრიორიტეტის შესახებ



**რუსეთის კონსტიტუციაში ცვლილებების კომენტირებისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ ეროვნული კონსტიტუციის პრიორიტეტი საერთაშორისო სამართლის ნორმებზე უნიკალური ვითარება არ არის, მსგავსი ნორმები დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს.**

„ეს არ არის რაღაც უნიკალური ვითარება, მსგავსი სამართლებრივი ნორმები მოქმედებს დასავლეთის ქვეყნებშიც, კერძოდ, ეს საერთაშორისო სამართალი პრიორიტეტული არ არის, და ისინი ამ სამართალს პრაქტიკაშიც ასე იყენებენ. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ ქვეყნისთვის საერთაშორისო ვალდებულებები წარმოიქმნება რატიფიკაციის შემდეგ ან სხვა შეთანხმებით. რატიფიკაცია ფორმდება ფედერალური კანონით. კანონები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას", — განაცხადა ლავროვმა.

# «ჩვენ ვაღიარებთ სსრკ-ის წვლილს ნაციზმის განადგურების საქმეში»



**ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარ რინკევიჩმა 10 იანვარს რადიო LR-4-ის გადაცემა „მოქმედ პირებში" ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა რუსეთისა და ლატვიის ურთიერთობაზე.**

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: **„ჩვენ ვაფასებთ საბჭოთა კავშირის წვლილს ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეში. ის, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების 75 წლისთავს აღნიშნავენ როგორც ევროპაში, ისე შორეულ აღმოსავლეთში, შესანიშნავია. გვესმის, რომ ჰიტლერული გერმანიის პირობებში თავისუფალი ლატვია ვერ იარსებებდა".**

ამ განცხადების მიუხედავად, **რანკევიჩმა** განაცხადა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლეს პირებს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ აქვთ, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და გამარჯვების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად მოსკოვში ჩასვლა, და დასძინა, რომ ისინი არც არავის მიუწვევია.

# ტაჯიკეთის პრეზიდენტი 9 მაისს მოსკოვს ეწვევა და გამარჯვების აღლუმს დაესწრება

**ტაჯიკეთის პრეზიდენტი ემომლი რახმონი მონაწილეობას მიიღებს 9 მაისს დიადი გამარჯვების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმსა და დსთ-ის ქვეყნების ლიდერების არაფორმალურ შეხვედრაში, რომელიც 8 მაისს გაიმართება.**



აღლუმში მონაწილეობას მიიღებენ ტაჯიკი სამხედროებიც. ტაჯიკი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ასეულში, რომელიც მარშით გაივლის წითელ მოედანზე, იქნებიან სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის წარმომადგენლები.

ტაჯიკური ასეული, აგრეთვე, მონაწილეობას მიიღებს 9 მაისს ეკატერინბურგში გამართულ სამხედრო აღლუმშიც.

# აშშ, სადაც განლაგებულია გაეროს შტაბ-ბინა, ბოროტად სარგებლობს ამ პრივილეგიით

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც განლაგებულია გაეროს შტაბ-ბინა, ბოროტად სარგებლობს ამ პრივილეგიით და ვიზებს არ აძლევს მისთვის არასასურველი ქვეყნების დიპლომატებს.**

„საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით აშშ უარს ეუბნება მისთვის არასასურველი ქვეყნების წარმომადგენლებს ვიზებზე და ამით მათ ართმევს გაეროს ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას", — აღნიშნა ლავროვმა საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019 წლის მუშაობის გაანალიზებისას.



# ბერლინის კონფერენცია ლიბიის საკითხზე — პოლიგონი პოსტამერიკული მსოფლიო წესრიგისთვის



**19 იანვარს ბერლინში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ლიბიის საკითხზე, რომელშიც მონაწილეობდნენ 10-ზე მეტი ქვეყნის ლიდერები, მათ შორის, რუსეთის, საფრანგეთის, თურქეთის, ბრიტანეთის, იტალიის, ეგვიპტის, ალჟირის პირველი პირები, აგრეთვე, გაეროს, აფრიკის კავშირისა და არაბული სახელმწიფოების ლიგის წარმომადგენლები.**

კონფერენციის მონაწილეებმა შეათანხმეს ლიბიის კონფლიქტის მოგვარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ლიბიაში იარაღის შეტანაზე ემბარგოს დაწესებას. აგრეთვე, მიღწეულია შეთანხმება გაეროს ეგიდით კომიტეტის შექმნაზე, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის მიმდინარეობას. კონფერენციის მონაწილეებმა ლიბიის კონფლიქტში ჩართულ მხარეებს განიარაღებისკენ მოუწოდეს და წინადადება წამოაყენეს, შეიქმნას ლიბიის ეკონომიკური აღორძინების მექანიზმი.

აღსანიშნავია, რომ ვერ გაიმართა მოლაპარაკებები ლიბიის ეროვნული თანხმობის მთავრობის მეთაურ **ფაიზ სარაჯსა** და ლიბიის ეროვნული არმიის სარდალ **ხალიფ ჰაფთარს** შორის.

გამოცემა „დოიჩე ველეს" აზრით, ბერლინის კონფერენცია „გერმანული დიპლომატიის ვარსკვლავურ საათად" იქცა, **ანგელა მერკელმა** კი შეძლო, „საგარეო პოლიტიკურ ინიციატივას დაუფლებოდა, როცა შეეცადა, ლიბიისთვის აეცილებინა „სირიული სცენარი", სადაც კონფლიქტის მოგვარებაში მთავარი ძალა რუსეთი იყო.

რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დეპარტამენტის დოცენტ **გევორგ მირზოიანის** აზრით, „ის, რომ კონფერენცია გაიმართა ბერლინში, პლუსია მერკელისთვის, მაგრამ მას არ შეუძლია პროცესის კონტროლი შიგნიდან — მაგალითად, თურქეთი და ეგვიპტე იქ დამოუკიდებლად მოქმედებენ, მერკელი შეიძლება მხოლოდ მედიატორი იყოს და პუტინის დახმარებით კომპრომისი ეძებოს. უცნაური იქნებოდა მოლოდინი იმისა, რომ კონფერენცია ყველა საკითხს გადაწყვეტდა, რომ სარაჯი და ჰაფთარი ხელს ჩამოართმევდნენ ერთმანეთს. ქვეყანაში არ არის ყველასთვის მისაღები ლეგიტიმური მთავრობა. იქ ყველაფერი ტომობრივი ნიშნით წყდება", — განაცხადა მირზოიანმა და დასძინა: „მხარეები ბერლინში იმისთვის შეიკრიბნენ, რომ ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ. ლიბია უზარმაზარი პოლიგონია, სადაც იკვეთება ინტერესი დიდი სახელმწიფოებისა — აშშ-ის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, საუდის არაბეთის, ეგვიპტის, ჩინეთის. ამ პოლიგონზე, სირიისგან განსხვავებით, მხარეებს შეუძლიათ, ერთმანეთს დაელაპარაკონ მსოფლიოს პოსტამერიკულ და მრავალპოლუსიან დღის წესრიგზე, ამიტომ ბერლინის კონფერენცია პატარა ნაბიჯია ლიბიისთვის და დიდი — კაცობრიობისთვის".

მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894